

78  
89

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

O132-5981

# საქართველო პარტიალი



1989

5

პასუხისმგებელი მდივანი  
გელა გერქინიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე  
ანზო არსენაშვილი  
(მეცნიერ-რედაქტორი)  
ანუშკა გაბიანი  
შოთა გორგოძე  
აკაკი კარანაძე  
დურმიუხან ლორია  
ვასტანო რაჭვაცხელი  
გრიგოლ რინიშვილი  
თამაზ შავჭავჭავაძე  
ვიქტორ შარაშენიძე  
ირაკლი ჩიქოვანი  
სერგო ჯორჯანიძე

Ответственный секретарь  
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.  
Арсанашвили А. Г.  
(научный редактор)  
Габiani А. А.  
Горгодзе Ш. В.  
Джорбенадзе С. М.  
Каранадзе А. Г.  
Лория Д. А.  
Размадзе В. А.  
Роинишвили Г. В.  
Чиковани И. П.  
Шавгулидзе Т. Г.  
Шарашенидзе В. А.



# საქართველოს სამართალი

N<sup>o</sup> 5

ივლისი

1989 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,  
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს  
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი**

## შ ი ნ ა რ ს ი

ყრილობა და სამართლებრივი სახელმწიფო <u>თანაგვიგზროვან მგოგოგოგო</u>	3
რისხვის ზარები <u>მეურნეობა და სამართალი</u>	7
გ. შაინძე — ეკონომიკის მართვის გარდაქმნის საკანონმდებლო უზრუნველყოფა <u>დისკუსია</u>	11
ს. პეტროსიანი — იურიდიული სამსახურის ძნელებდობანი მიზანი — <u>სამართალდარღვევებთან აღკვეთა-ატიღება</u>	16
გ. ბიჭუშვილი — საპასპორტო რეჟიმი და დამნაშავეობის პროფილაქტიკა <u>აღამიანი და საზოგადოება</u>	23
საგანგებო მდგომარეობა <u>ქართული სამართლის ისტორიის ფურცლები</u>	27
ვ. აბაშაძე — ი. ქავჭავაძის ერთი იურიდიული გამოკვლევის გამო <u>ზოგბი რამ წარსულიდან, მგგრამ დღევანდელი თვალთახედვით</u>	30
ბ. სავანელი — დისკუსია თუ ავანტიურა <u>თეორიის საპითხვაი</u>	43
რ. შენგელა — სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, როგორც სამოქალაქო სამართ- ლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების, თანაფარდობის საკითხისათვის <u>სასამართლო მესპერტიზა: სიხლენი და პრაქტიკა</u>	50
ო. ალავიძე, ა. ანჭაფარიძე — სიხლე, რომელიც მხარდაჭერის ღირსია <u>პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში</u>	56
გ. ხუბუა — კანონი სოციალისტურ სამართლებრივ სახელმწიფოში <u>პრიტიკა და ბიგლიოგრაფია</u>	58
თ. ნინიძე — რენე დავიდის „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემის“ მეორე რუსული გამოცემის გამო	65
ქ. ხეცურიანი — საბინაო კანონმდებლობის სოციალური მნიშვნელობა	73
<u>პრიმიენალისტიკის ისტორიიდან</u>	
ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები	75

СОДЕРЖАНИЕ

Съезд и правовое государство	3
<u>Друзья соболезнуют</u>	
Колокола гнева	7
<u>Хозяйство и право</u>	
Г. Шайнидзе — Законодательное обеспечение перестройки управления экономикой	11
<u>Дискуссия</u>	
С. Петросян — Беды юридической службы	16
<u>Цель — Предотвращение-предупреждение правонарушений</u>	
Г. Бичашвили — Паспортный режим и профилактика преступности	23
<u>Человек и общество</u>	
Чрезвычайное положение	
<u>Страницы истории грузинского права</u>	
В. Абашмадзе — Об одном юридическом исследовании И. Чавчавадзе	30
<u>Кое-что из прошлого, но сегодняшним взглядом</u>	
Б. Саванели — Дискуссия или авантюра	43
<u>Вопросы теории</u>	
Р. Шенгелия — По вопросу взаимоотношения государства и его органов, как субъектов гражданско-правовых отношений	50
<u>Судебная экспертиза: новшества и практика</u>	
О. Алавидзе, А. Анджапаридзе — новшество, которое заслуживает под- держки	56
<u>Первые шаги в науке</u>	
Г. Хубуа — Закон в социалистическом правовом государстве	58
<u>Критика и библиография</u>	
Г. Нинидзе — О втором русском издании «Основных правовых систем современности» Рене Давида	65
Дж. Хецуриани — Социальное значение жилищного законодательства	73
<u>Из истории криминалистики</u>	
Известные уголовные дела	75



© „საბჭოთა სამართალი“, 1989 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, ღავით აღმაშენებლის პრ. 108,  
ბ. 95-88-49, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 30.06.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.07.89 წ.  
ფორმატი 70×108<sup>1/16</sup>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.  
შეკვ. № 1594 ტირაჟი 40.500 უე 04676

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი ღრის ორდენისანი სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# ყრილობა და საპარტიოებრივი სახელმწიფო

მოდებამ, ჩვენმა სამეურნეო მუშაკმა თუ იმათმა ბიზნესმენმა თქვა: საქმის ტექნიკაა თვით საქმე. კანონიერების, მართლწესრიგისა და დემოკრატიის საწყისების დასამკვიდრებლად „საქმის ტექნიკის“ როლს პროცედურები და რეგლამენტები ასრულებენ.

კაცმა რომ თქვას, სამართლებრივი სახელმწიფო ან სამართლებრივი რეჟიმში სახელმწიფოში, ეს უპირველესად სამართლებრივი მექანიზმებია: პროცესუალური ნორმები, პროცედურები. თავისთავად კანონი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ნორმატიული აქტი, მხოლოდ დეკლარაცია, ლოზუნგი, დაპირებაა. როგორც ნ. ვ. გოგოლი წერდა: „ბრძანება როგორი აწონ-დაწონილი და განსაზღვრებითიც არ უნდა იყოს, საბლანკო ფურცლის მეტი არაფერია, თუ ქვემოდან არ იქნება ასეთივე წმინდა სურვილი მივუსადაგოთ იგი საქმეს სწორედ იმ მხრიდან, საიდანაც არის საჭირო...“ მხოლოდ პროცედურებსა და რეგლამენტებს, ანუ მექანიზმებს შეუძლიათ მიანიჭონ კანონის სიცოცხლე, ქმედიობა, ძალა.

გავიხსენოთ ჩვენი 1986 და 1977 წლების კონსტიტუციები. უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილში მათში ყველაფერი შესანიშნავია. როგორი გატაცებით ვწერდით, რომ 1977 წლის კონსტიტუციამ მოქალაქეებს უფლება უბოძა გაესაჩივრებინათ თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებანი სასამართლოში. და 10 წლის განმავლობაში არცერთ სასამართლოს მოქალაქეებისაგან კონსტიტუციური სარჩელი არ მიუღია: არ იყო შესაბამისი მექანიზმი. 1987 წელმა ასეთი კანონი მიიღო, თუმცა, იგი ისეთი გამოდგა, რომ მოქალაქისათვის ძველებურად ძნელია კანონის დაცვას მიმართოს. მაგრამ ათი წლის განმავლობაში კონსტიტუციური ნორმა მხოლოდ ლამაზი ლოზუნგი იყო.

არსებითად, ჩვენი სახელმწიფოსა და მისი იუსტიციის მთელი ისტორიის მანძილზე სამართლებრივ პროცედურებსა და რეგლამენტებს მითითებანი და განმარტებანი ცვლიდა: მთავრობის, სასამართლო, საუწყებო და პარტიული, თუმცა ზუსტად რომ ვთქვათ, პარტაპარატის უმაღლეს კანონად „ერთობლივი დადგენილება“ ითვლებოდა, რომელიც თავისი არსით სამართლებრივი აქტი არ არის. ასე ვთქვათ, ნახევრადსამართლებრივია. მაგრამ ის ნებისმიერ კანონზე ავტორიტეტული იყო. საკუთარ თავს ვკითხოთ: ვინმე როდესმე დაეჭვებულა „ერთობლივ დადგენილებათა“ მართლწმინდობაში, მათ იურიდიულ ძალაში, მათი მიღებისა და გამოყენების მექანიზმში? არა, არც ისე გვაღელვებდა ეს ფორმალისტიკა.

რეგლამენტებისა და პროცედურებისადმი დამოკიდებულებაში არსებული ეს ნიჭილისტური შემკვიდრება სახალხო დემუტატთა ყრილობის მუშაობის პირველსავე დღეებში გამოჩნდა. როგორ ავირჩიოთ სახელმწიფოს მეთაური: თავიდანვე, თუ მისი მოხსენების შემდგომ? როგორ ჩამოვაცალიბოთ უმაღლესი საბჭო, თუ კანდიდატებს სახალხო დემუტატები პრაქტიკულად არ იცნობენ? კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს ე. მ. პრიმაკოვს დემუტატი შენიშვნას აძლევს: მისი რეპლიკები და განზოგადებანი უადგილოა, მან მხოლოდ სიტყვა

უნდა მისცეს და რეგლამენტი დაიცვას — მაგრამ სად წერია და ვინ დაადგინა თავმჯდომარის უფლებამოსილებანი?


მსგავს მაგალითებს ვერც დავთვლით და არც იმაშია საქმე, როგორ წყდებოდა თითოეული კონკრეტული კონფლიქტი, თუ ამას შეიძლება კონფლიქტი ვუწოდოთ. მე მგონია, რომ ყრილობის მსვლელობა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ერთგვარი მოდელია. ვიცით, თუმცა მიახლოებით, რა უნდა ვაკეთოთ, მაგრამ მთლიანად ვიზნევით კითხვაზე, თუ როგორ ვაკეთოთ. ზოგიერთ დებუტატს სურს აქვე მიიღოს ფუძემდებლური გადაწყვეტილებები, თვით კანონებიც კი, დაუყოვნებლივ დაინახოს შედეგი. მაგრამ აქვე — ყრილობაზევე ვხვდებით: წარსულში ძალიან ბევრი იყო ნაჩქარევი გადაწყვეტილება. სამართალშემოქმედება კი ვერ იტანს ფაციფუსს. გადაკეთება ბევრად რთულია, ვიდრე თავიდანვე ხარისხიანად და საფუძვლიანად გაკეთება.

მიმდინარე კანონმდებლობა — ეს უკვე უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი პარლამენტის პრეროგატივაა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში პირველად შეიქმნა. აპრიორულად მას ერთგვარი უნდობლობა გამოეცხადა. სწორია თუ არა დებუტატის დასკვნა, პრაქტიკა დაგვანახვებს. სხვანაირად, უბრალოდ შეუძლებელია. ერთი უდაოა: სსრ კავშირის სახალხო დებუტატთა არჩევით, ყრილობის მოწვევით, სადაც თითოეულს თავისუფლად შეეძლო აზრის გამოთქმა, უმაღლესი საბჭოს შექმნით, რომელიც სრულებით არ მგავს თავის წინამორბედს, ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი ჩავდეთ.

მსოფლიო სახელმწიფოებრიობის პრაქტიკის საზომით, ჩვენ ვჩქარობთ, ძალიან ვჩქარობთ. როგორც ავტორიტეტული იურისტები ამტკიცებენ, ბურჟუაზიული პარლამენტარული სახელმწიფოები სამართლებრივად, ამ სიტყვის სრული გაგებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იქცნენ (სხვა შეხედულებით, პირველის შემდგომ). თუ ეს ასეა, მაშინ თავის სამართლებრივ სახელმწიფოს ინგლისი 700 წელიწადს აშენებდა, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი — 200 წელიწადს. ჩვენთან თვით ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ ოფიციალურად გარდაქმნის პერიოდში გამოცხადდა. როგორც დოქტრინა, იგი XIX პარტიული კონფერენციის რეზოლუციით გაფორმდა: „კონფერენციას პრინციპული მნიშვნელობის საქმედ მიაჩნია სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება, როგორც სოციალიზმისათვის სრულიად შესაფერისი პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა“.

ეს იყო წელიწადზე ნაკლები ხნის წინ. და აი, პირველი პრაქტიკული ნაბიჯები... არა, მაინც არანაჩქარევი. მოცდა არ შეიძლება, რამეთუ პოლიტიკური სისტემის რეფორმა განუყოფლადაა დაკავშირებული ეკონომიკურ გარდაქმნასა და საზოგადოების წინეობრივ აღორძინებასთან. ყველაფერი მჭიდრო კვანძადაა გადაჯაჭვული.

როდესაც საუბარია სამართლებრივ სახელმწიფოზე, როგორც წესი, ყველაფერი სასამართლო-სამართლებრივ რეფორმამდე, ახალი კანონების მიღებასა და სამართალდამცველი ორგანოების რეორგანიზაციამდე დადის. ყრილობამ, და უმაღლესმა საბჭომაც, თავის პირველ სხდომებზე ვერ შეძლეს დეტალურად განეხილათ ეს პრობლემები, მიეღოთ კანონები და სხვ. ამიტომ სამართლებრივი რეფორმა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა ვიწრო იურიდიულ-სამართალდამცველი მიმართებით დეტალურად არ განხილულა. თუმცა დებუტატებს ამისათვის გვერდი არ აუვლიათ.



19151

უმადლესი საბჭოს წევრები ჩვენს პრაქტიკაში პირველად განიხილავდნენ სახელმწიფოს უმადლესი თანამდებობის პირებს მათი დანიშვნის წინ. მსგავსი რამ ჩვენ მხოლოდ ტელევიზორით გვინახავს, როდესაც საზღვარგარეთელი პარლამენტარების საქმიანობის სკანდალურ მომენტებს გვიჩვენებდნენ. არ შევავსებ, თუ რამდენად სრულად გაშუქდა ამ პოსტების პრეტენდენტთა პიროვნება, მაგრამ საქმიანი თვისებები, მოქმედების პროგრამა აინტერესებდათ უმადლესი საბჭოს წევრებს. სწორედ ამ კუთხით ჩაუტარეს „გვარდინი დაკითხვა“ ე. ა. სმოლენცევის, რომელიც სსრ კავშირის უმადლესი სასამართლოს თავმჯდომარედ იქნა არჩეული. სწორედ მან გადმოგვცა მომავალი სამართლებრივი რეფორმების, თუ სრული პროგრამა არა, ძირითადი მომენტები მაინც. პირველ რიგში, ეს არის სასამართლოს დამოუკიდებლობა, მისთვის, როგორც მართლმსაჯულების ძირითადი რგოლისათვის, სათანადო სტატუსის მინიჭება. ჩვენთან, ყველაზე ხშირად, ამას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკავშირებენ. იურისტები, და არა მხოლოდ ისინი, თავიანთ კონფერენციებზე, პრესაში საინტერესოდ განიხილავენ ამ საკითხს. ზოგჯერ ამ დისკუსიებს მივყავართ აზრამდე: შემოვიღოთ ჩვენთან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო — და სამართლებრივი სახელმწიფოც მზადაა. პირადად მე მებადება კითხვა: სად განლაგდებოდნენ ნაფიცი მსაჯულები ჩვენს უბადრუკ სასამართლო დარბაზებში? უმადლეს საბჭოს მრავალი პირველხარისხიანი პრობლემა აქვს, მაგრამ ვფიქრობთ, სასამართლოთა შენობების გაჭირვებული მდგომარეობა გადაუდებელთა შორისაა. ბიუჯეტის ასეთი დაძაბულობის მიუხედავად, ეს საკითხი გადაჭრით უნდა დაიძრას მკვდარი წერტილიდან. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ სასამართლო პროცესების იერსახე, დარბაზის მოწყობილობა — ასევე აღმზრდელი თითი ფაქტორებია, რომლებიც დამნაშავეობასთან ბრძოლაზე ახდენს გავლენას. ახლა კი ბრალდებულები, მოწმეები ან უბრალოდ „პუბლიკა“, როდესაც სასამართლოს ზღურბლს გადააბიჯებენ, არანაირად არ განიცდიან მართლმსაჯულებისადმი, მაშასადამე კანონისადმი მოწიწებას.

საპროკურორო ზედამხედველობის, და მასთან ერთად სახელმწიფოს მთელი სამართლებრივი სისტემის მოქმედების პროგრამა ჩამოაყალიბა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. ი. სუხარევა, დანიშვნამდე კითხვებს რომ პასუხობდა. მისი სიტყვებით, პროკურორთა მოქმედების სფერო დავიწროვდა. დიახ, დამნაშავეობასთან ბრძოლა ამოცანათა ამოცანაა. სამართალდარღვევათა ზრდა აღელვებს საზოგადოებას. მაგრამ საპროკურორო ზედამხედველობის თვალთახედვის მიღმა დარჩა მოქალაქეთა უფლებების დაცვა უწყების, მისი „მომსახურების“ წინაშე, გარემომცველი სამყაროსადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულება, კატასტროფათა უპირველესი მიზეზები, როგორც „შეისრეთა“, ისე „სადგურის უფროსთა“ უპასუხისმგებლობა.

მაგრამ, ვიმეორებ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა არ შეიძლება მხოლოდ იურიდიულ რეფორმებამდე იქნეს დაყვანილი მათი მნიშვნელობისა და გადაუდებლობის მიუხედავად, და არც მხოლოდ კანონმდებლობამდე, თუმცა იგი ახალი საბჭოთა პარლამენტის ძირითადი ფუნქციაა. გვიჩვენება, რომ პარლამენტის პალატათა კომიტეტებისა და კომისიების საქმიანობა ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის ხელისუფლების უმადლესი ორგანოს ხასიათს, და აქედან გამომდინარე, თვით სახელმწიფოს ხასიათსაც.

მათი ფორმირებისას ბევრი კითხვა და წინადადება წამოიჭრა სახელების

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რ.ს.პუბ.

და ფუნქციების შესახებ. ამასთან, როგორც ზოგიერთმა დეპუტატმა, და თვით თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა შენიშნა, უნებურად გამოიკვეთა ტენდენცია ყველაფერი განვალაგოთ უწყებრივ თაროებზე, არ გამოგვრჩეს მეურნეობის რომელიმე დარგი ან ცხოვრების სფერო. იოლად ასახსნელი ტენდენციაა, მაგრამ მაინც კომიტეტებისა და კომისიების საქმიანობის სტილსა და ხასიათს სახელი კი არ განსაზღვრავს, რომელშიც მოცემულია ფუნქციათა ჩამონათვალი, არამედ თვით მათი საქმიანობა. სწორედ ამ საპარლამენტო ინსტიტუტებს შეუძლიათ უწყებათა მონოპოლიზმისა და თვითნებობის აღაგმვა, კანონპროექტების მოსამზადებელი შავი სამუშაოს საკუთარ თავზე აღება. და მაშინ საზოგადოება ბოლოსდაბოლოს მიიღებს პასუხს ჭერ კიდევ უპასუხო კითხვებზე: ვინ არის სამართლებრივი აქტის ავტორი და ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი, მისი ასე ვთქვათ, არასრულყოფილებისათვის? და თვით არასრულყოფილებაც ხომ ბევრად ნაკლები იქნება კანონთა პროექტების საჭარო, დემოკრატიული განხილვისა და ყველა აუცილებელი საპარლამენტო პროცედურის დაცვისას.

ყრილობის მსვლელობამ და უმაღლესი საბჭოს პირველმა სხდომებმა საგნებით ურთიერთსაწინააღმდეგო გამოძახილი პოვა ხალხში: „აღფრთოვანება გულახდილობისა და სითამამის გამო, გაწბილება — „მაგრამ რა რეალური ზომები იქნა მიღებული?“. რას ვიჯამთ, ეს ბუნებრივია, რომ ასეთი განსხვავებული აზრებია. მთავარია, რომ არის ეს აზრები, რომ კრემლში მომხდარს გულგრილი არავინ დაუტოვებია. აკი სამართლებრივი სახელმწიფო — ეს უპირველესად დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრია. ავტორიტარული სახელმწიფო, რომელიც ერთაზროვნებას, ერთსულოვნებასა და ერთხმოვანებას გულისხმობს, სამართლებრივად ვერ იქცევა. მას მხოლოდ ის შეუძლია, თავისი არსი სამართლებრივი დეკლარაციებით შენიღბოს.

ეს ჩვენ სახელმძღვანელოებიდან როდი ვიცით. და სწორედ ეს გვისახავს იმედს, რომ უკან დასახევი გზა უბრალოდ არ არის.

„ი. ვ. ვახტანგი“





## რისხვის ზარები

„...საქართველოში ოდითგან ასე ყოფილა: როცა ქვეყანას უჭირდა ზარებს დაარისებდნენ, კოშკებზე ცეცხლს ანთებდნენ. ოთხიმებრივ მიაფრენდა გაოფლილ ცხენს მაცნე და ქუდზე კაცს უხმობდა!

საერთო ჭირს გულდაგულ უხვდებოდა ქართველი კაცი“...

იცვლებოდა საუკუნეები და დღეები, იცვლებოდნენ გმირები და თაობები! მტერი კი, მტერი მხოლოდ სახელს იცვლიდა!

და თუ დღეს ხმაჩახლეჩილი მხედარი აღარ ამცნობს ქართველობას მახრებელი ძალის მოახლოებას, ეს ხომ იმას არ ნიშნავს ქვეყნიერება მხოლოდ ჩვენი კეთილისმსურველებით იყოს სავსე. ვაი, რომ ღვარძლი და შხამი ჩვენმა თაობამაც ბევრი იწვნია, მოწამებობრივი სისხლის დაღვრაც უკვე მოსწრო და საქართველოს საკურთხეველთან ხელბარებით მკერდგაგლეჯილთა ლოცვა-ვედრებაც ადავლინა ზეცაში.

...და ისევ რეკენ ზარები; ისევ გიზგიზებს კოშკებზე ცეცხლი...

ღმერთო, რატომ გაუთენე ქართველებს 9 აპრილი! რა ბედნიერება იქნებოდა, რომ გვცოდნოდა მაინც ვინ იყო მტერი, რათა მტრად მოსულებს ერთმუშტად შეკრული დახვედროდა სრულიად საქართველო!

დღეს ხომ ყველამ იცის, აპრილის სისხლი წვიმასავით ციდან არ მოსულა თბილისში. იგი უპირველესად ზოგიერთი ვაი ქართველის სინდისზეა და მთავრობის სასახლესთან მოწყობილი სასაკლავო ბევრჯერ შეახსენებს თავს ყველას, ვისაც თუნდაც სულ უმცირესი წილი უდევს 9 აპრილის გათენებაში. მოვა დრო და არა მარტო პირადად მათ, არამედ მათ შვილებსა და შვილი-შვილებსაც კი მოუწევთ ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა.

ღიახ, უტბად არაფერი მომხდარა. მთელი ტრაგედია ნელ-ნელა მზადდებოდა, მაგრამ არაფერს ვაკეთებდით მის ასაცილებლად. მართალია დამწვრის სუნი გვცემდა ირგვლივ, მაგრამ ოქროდ შეფასებულ დუმისსა და ამგვარ შეგონებას ვარჩევდით: „შეწყვიტეთ სამართლიანობაზე ლაპარაკი მასთან, ვისაც წელზე მახვილი არტყიაო“!


ვაი, რომ გაუმართლდათ ამ შეგონებათა წინასწარმეტყველებს.

აპრილის უბედურებამ გონება აგვირია, სმენა დაგვიხშო და მზერა წავგართვა. აღარ ვიცოდით საით გვევლო, ვისთვის გვეწილდა ჩვენი ტკივილი. მთელი თბილისი, ერთ დიდ დილეგს დაემსგავსა, ხროლო ქართველთა ცრემლ-ნარევი, გატანჯული ხმა მხოლოდ საქართველოს კედლებს ეხეთქებოდა.

ასეთ დროს კი „ცენტრიდან“ ქვეყანას ორპირული, გაყალბებული ცნობები ეფინებოდა მავანთა და მავანთა მონდომების შედეგად.

ქართველი ხალხის უბედურებამ ლამის იურისტებიც კი გამოიყვანა წონასწორობიდან. არადა, ვისლა უნდა ერწმუნა ქვეყანაზე სამართალი და სამართლიანობა?! რა დასამალია და იმ ხანებში ყოველ უცხოტომელში ჩვენც მტერსა და „ხელბარიანს“ ვხედავდით.

ეგ ზიუპერი ამბობს: როდესაც „თვლები ბრმაა, გულით უნდა ეძებო!“



და ჩვენც ვეძებდით, ზარებს შემოვკარით, ოთხივემხრივ ხმა დავარხიეთ, ყრუ კედლის გარღვევა ვცადეთ...

სწორედ ამ მიზნით შეიკრიბა 27 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო და ასეთი შინაარსის მიმართვები დაუგზავნა ქვეყნის იურისტებს:

**სსრ კავშირის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებს,  
იურიდიულ ინსტიტუტებსა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს!**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ, თავის სხდომაზე 1989 წლის 27 აპრილს, აუცილებლად მიიჩნია შეგატყობინოთ თქვენ, ჩვენს კოლეგებს, ობიექტური ინფორმაცია 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შესახებ.


იმ საბედისწერო დამეს; რესპუბლიკის მთავრობის სხახლის წინ, ახალგაზრდობისა და მშრომელთა მშვიდობიანი, არასანქციონირებული მიტინგი ტანკებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის ალყაში მოაქციეს და დაარბიეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ფორმირებებმა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ნაწილებმა. მომიტინგეებზე, მხეცური, უმოწყალო თავდასხმის დროს გამოყენებული იყო ორღესური ხელბარები და მომწამვლელი ნივთიერებები, ყოვლად გაუმართლებლად დაირღვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების („საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სსრკ შსს ქარების უფლება-მოვალეობების შესახებ“) მე-8 და მე-9 მუხლები, რამეთუ მიტინგის მონაწილენი არათუ შეიარაღებულნი არ ყოფილან, არამედ არავითარ წინააღმდეგობას არ ეწეოდნენ (ისინი ცეკვავდნენ და მღეროდნენ ქარების თავდასხმის უამს; რადგან იმედოვნებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ არავითარი ძალა არ იქნებოდა გამოყენებული). სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, როდესაც ქარისკაცები გაქცეულებს მისდევდნენ, ხელბარებით უჩეხავდნენ თავებს, ესროდნენ მომწამვლელ ამბულებს, სოველნიარად ცდილობდნენ მათ ამოხოცვას. გაფთრებული სამხედროები ასევე იქცეოდნენ სახლების სადარბაზოებში, მომწამვლელ ნივთიერებებს ჰოურიდებლად უშვებდნენ ყველგან, ამბულებს აფეთქებდნენ იქ, სადაც მომიტინგეები თავს შეაფარებდნენ. ამ ველური აქციის შედეგები ასეთია: მოკლულია 20 ადამიანი (ეროვნებით ყველა ქართველია), აქედან უმცროსი 16 წლისაა, უფროსი 70 წლის. მოკლულთაგან 17 ქალია. დაჭრილი და მოწამლულია ასეულობით ადამიანი. დაზარალებდნენ არა მარტო მშვიდობიანი მიტინგის მონაწილენი, არამედ მილიციის მუშაკებიც, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, იცავდნენ რა უდანაშაულო ქალებს. გონებადაკარგული სამხედროები მათაც უმოწყალოდ სცემდნენ. ხანგრძლივი მოქმედების გაზებით მოწამლულნი დღესაც აკითხავენ სამკურნალოდ ქალაქის საავადმყოფოებს.

ახეთი ხსიათის ტრაგედია ითხოვს კეთილსინდისიერ, მართალ და მიუკერძოებელ გაშუქებას პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით. ამიტომ ჩვენ არ შეიძლება არ აგვადვლავს თბილისის ტრაგედიის არაობიექტურმა გაშუქებამ საქავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

კერძოდ, ხინამდვილეს არ შეეხება ინფორმაცია ნაციონალისტური შუღლის ჩამომგდები ლოზუნგების არსებობაზე ან სამხედროებს შორის მსხვერპლის შესახებ.

ის, რაც 1989 წლის 9 აპრილს, ვაშთენისას მოხდა თბილისში, ეჭვის ქვეშ აყენებს არა მარტო გარდაქმნისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეის არსებობას, არამედ საერთოდ, საბჭოთა სამართლის მენციერების ფუნდამენტალურ პრინციპებსაც.

მიმართვის ტექსტს ხელი მოაწერეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა: პროფესორებმა: ვ. მეტრეველმა, ლ. აღიქსიძემ, ს. ჭორბენაძემ, გ. ინწკირველმა, ვ. აბაშმაძემ, გ. ტყეშელიაძემ, ა. ფალიაშვილმა, მ. კეკელიამ, ვ. ლორიამ, შ. ჩიკვაშვილმა, დოცენტებმა: ზ. წულაიამ, მ. ლეკვიევილმა, ზ. ახვლედიანმა, ა. დემეტრაშვილმა, დ. ცინცაძემ, ი. შაფაქიძემ, ასისტენტმა ე. ახვლედიანმა, მასწავლებლებმა ჯ. კერესელიძემ და სტუდენტებმა: გ. თავდიშვილმა, ვ. ხაბურ-



ძანიამ, დ. ჯიბლაშვილმა, ი. რომელაშვილმა, მ. ტურავამ, ხ. კალანდარიშვილ-  
მა, მ. ხუთელიძემ.

ამასობაში ყამიც გამოხდა. უბედურების მიზეზები და მტყუნ-მართალიც მეტად თუ ნაკლებად უკვე გამოიკვთა. ყოველგვარი კომისიებისაგან დამოუ-  
კიდებლად ქართველობა თავის განაჩენს ალბათ უცილობლად გამოიტანს.

მტერ-მოყვარის გარჩევის უნარი კი არასოდეს წაურთმევია ჩვენთვის  
განგებას. მოყვარე ჭირში გაათმაგებულად ფასობსო -- ასე გვასწავლიდნენ  
წინაპრები.

აი ისინიც, ვინც ჩვენს მიმართვას გამოეხმაურნენ:

**ქვირფასო კოლეგებო, მებოგრებო!**

თქვენი წერილი ჩვენმა სამეცნიერო საბჭომ 1989 წლის 18 მაისს განიხილა.

ტრაგედია, რომელიც აპრილს დაგატყდათ თავს თბილისელებს, ჩვენს გულშიაღაც  
განუზომელ ტკივილად აისახა. მადლობას გიხდით მართალი ინფორმაციისათვის და მხარს  
ფუჭერთ სამხედროების მოქმედების თქვენეულ სამართლებრივ კვალიფიკაციას, თქვენთან ერ-  
თად კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ მსგავსი მოქმედებანი პრინციპულად ეწინააღმდეგება  
არა მარტო ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის თანამედროვე კონცეფციასა და სამართ-  
ლებრივი სახელმწიფოს სტატუსს, არამედ ჰუმანიზმის შესახებ შეხედულებების ელემენტებ-  
საც.

ჩვენ გულწრფელად თანავუგრძნობთ ქართველ ხალხს უდანაშაულოთა დალუპვის გამო და  
მოვითხოვთ იმ დამნაშავეთა უმკაცრესად დასჯას, რომლებიც მხეტყურად გაუსწორდნენ მი-  
ტინგის მონაწილეებს.

ამასთან, ჩვენ ვგმობთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საქაროობისათვის  
მიუღებელი მოვლენების შეგნებულად მცდარ ასახვას, რაც პირველ რიგში საზოგადოებასა და  
სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთობის წინეობრივ-პოლიტიკურ საფუძვლებს უთხრის  
ძირს.

3. ი. ლენინის სახელობის კიზინიოვის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტე-  
ტის სამეცნიერო საბჭო.

**ქვირფასო მებოგრებო!**

გულწრფელად ვიწარებთ თქვენს მწუხარებას იმ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირე-  
ბით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თბილისში 1989 წლის 9 აპრილს. მზად ვართ აღმოვიჩი-  
ნოთ ნებისმიერი შესაძლო დაზარება სამართლიანობის აღსადგენად.

საპაპვირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტი-  
ტუტის რამბტორი მ. ა. კუტაფინი.

**ქვირფასო კოლეგებო!**

ვილინიუსის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კოლექტივი, ლიტვის მთელი იუ-  
რიდიული საზოგადოებრიობა შეაძრწუნა და აღაშფოთა ცნობამ თბილისში მომხდარი მშვიდო-  
ბიანი დემონსტრაციის მხეტყური დარბევის შესახებ.

ჩვენი პოზიცია, ქართველი ხალხის ტრაგედიასთან მიმართებით, ჩამოყალიბებული იქნა  
ლიტვის იურისტთა საზოგადოების ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც 1989 წლის 28 აპ-  
რილს გამოაქვეყნა ლიტვის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ „კომსომოლს-  
კაია პრავდამ“. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო, ამავე გაზეთის რუსულ ვარიან-  
ტში გაქრა ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ ასეთი აქციები ეწინააღმდეგება აზრისა და შეხე-  
დულებების თავისუფლად გამოხატვის კონსტიტუციურ უფლებებს და მისი გამართლება არც  
იმით შეიძლება, რომ ამ ღოწოგუნების შინაარსი ვილდაცას არ მოსწონს. საბჭოთა კავშირიდან  
გახვლის მოთხოვნა კი თავისთავად არ შეიძლება იყოს ანტისაბჭოური. ეს ყოველი რესპუბ-  
ლიკის მცხოვრებთა კანონიერი, კონსტიტუციური უფლებაა.



გიგზავნით „კომსოპოლისკაია პრადის“ ხსენებულ ნომერს ლიტვურ და რუსულ ენებზე. კიდევ ერთხელ ვითანაგრძნობთ მწუხარებას და ვკლოვობთ თქვენთან ერთად.

ლიტვის იურისტთა საზოგადოების  
დავალაბით დოც. სტასის ვილინიის

**ძვირფასო კოლეგებო!**

ლატვიის პ. სტუჩკას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და თანამშრომლები ვიზიარებთ თქვენს მწუხარებასა და ტკივილს, რომელიც აპრილის ტრაგედიამ მოუტანა ქართველ ხალხს. აღშფოთებული ვართ ამ არაადამიანური, თავისი უკანონობით გაუგონარი აქციით.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამჟამად მთავრობის კომისია მუშაობს ამ საკითხებზე, არ ჩავთვალთ აუცილებლად ჩვენი მოთხოვნებით მიგვემართა ხელისუფლების საკავშირო ორგანოებისათვის ქართველი ხალხის ტრაგედიასთან დაკავშირებით.

ვიმედოვნებთ, რომ სპეციალურად შექმნილი ორგანოები ობიექტურად გამოიძიებენ მომხდარი ტრაგედიის ყველა მიზეზსა და მოვლენას, დაადგენენ დამნაშავეებს და დააკისრებენ მათ შესაბამის პასუხისმგებლობას. გვჭერა მუშაობის შედეგები ფართოდ გაშუქდება ინფორმაციის საშუალებებით.

მას შემდეგ, როცა გავცნობით ამ ორგანოთა მუშაობის შედეგებს, საკუთარ მოვალეობად მიგვაჩნია ჩვენი დამოკიდებულება საჭაროდ გამოვხატოთ როგორც გამოკვლეული მასალებისადმი, ასევე მათ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გამო.

გთავაზობთ რა ამ მხრივ დახმარებასა და თანამშრომლობას, თქვენგან კვლავ მოველით დამატებით ინფორმაციას (გარდა ოფიციალურისა), თუ კი ამის საჭიროება გაჩნდება.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ი. რ. ვეპარსი,  
სამეცნიერო საბჭოს მდივანი პ. ბ. ტორბანი

ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდანაც მრავლად იყო თანადგომის სიტყვები დებეშებისა და წერილების სახით. გამოგვენათურნენ ტარტუდან და ბაქოდან, ერევნიდან, ყაზახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სამშობლოდან უკუღმართობით გადახვეწილი მესხებისაგან.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, მეგობრებო! სანთელ-საკმეველი კი არასდროს კარგავს თავის კვალს!

ყველა ნათლად ხედავს, რომ აპრილის მოწამებრივმა სისხლმა მომავლისაკენ სავალი ბილიკი კიდევ უფრო ცხადად გააცისკროვნა. განახლებული გულისხმევით ეჭიდება დღეს ეროვნულ საქმეს სრულიად საქართველო და თანამოაზრეთა რიცხვიც დღითიდღე მატულობს და მატულობს...

წინაპრებს კი უთქვამთ: ის ქვეყანაა ყველაზე მხნე და უძლეველი, სადაც ერთი ერთი მიზნით, ერთი აზრით ცხოვრობს, ერთი საფიქრალი და ერთი სამშობლო აქვს საფიცარიო.

ქეშმარიტად ასეა!

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დავალაბით რედაქციას კუბ. ლიპაცია მიაწოდა ამავე ფაკულტეტის ყ. პურსის სტუდენტმა გიორგი თავიშვილმა.

## ეკონომიკის მართვის გარდაქმნის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

გურამ შანიძე,

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის მინისტრის მოადგილე

სკკპ მე-19 საკავშირო კონფერენციის რეზოლუციაში „სამართლებრივი რეფორმის შესახებ“ ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ეკონომიკური რეფორმის, სამეურნეო ანგარიშის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების დაწესების პირობებში იქმნება იმის საჭიროება, რომ გაფართოვდეს სახელმწიფო არბიტრაჟის უფლება-მოვალეობანი სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების, საწარმოებისა და კოოპერატივების უფლებათა დაცვის საქმეში, არსებითად გაძლიერდეს იუსტიციის ორგანოების როლი, განმტკიცდეს იურიდიული სამსახურები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში, სამინისტროებსა და უწყებებში, სამეურნეო ორგანიზაციებში“.

პარტია ამ ამოცანის განხორციელებას უკავშირებს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის გარდაქმნას, საყოველთაო იურიდიული სწავლების საერთო სახელმწიფო, საერთო პარტიული პროგრამის ორგანიზაციას. ამასთან ერთად უნდა გაიზარდოს თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა მისი შრომითი კოლექტივის, სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოების წინაშე. გათვალისწინებულია, რომ უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს ფართო სამართლებრივი რეფორმა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს კანონის უზენაესობა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, პირველ რიგში, ამან თავისი უკუგება უნდა მოგვცეს სახალხო მეურნეობაში გათვალისწინებული რეფორმის განხორციელების საქმეში.

კანონიერება სოციალური სამართლიანობის მტკიცე გარანტიაა — მის დაუცველად შეუძლებელია საზოგადოებაში მორალური და ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღება. მისი არსი ის არის, რომ გადაჭრით გადავიტანოთ სიმძიმის ცენტრი მართვის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ყველა თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო გვემის კანონთა შესრულებისადმი, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების ყოველნაირ განმტკიცებაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი დადგენილება სახალხო მეურნეობაში სიახლეთა დასანერგავად. უწინარეს ყოვლისა, ეს არის დებულებანი საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებათა შესახებ, აგრეთვე 1989-1990 წლებისათვის სახელმწიფო შეკვეთების ფორმირების წესი. მათი მიღების საჭიროება განსაზღვრა გარდაქმნის გაღრმავებისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის თანამიმდევრული განხორციელების, ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციის კურსის გატარების შესახებ მე-19 საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებმა.

მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის წინათ მოქმედი სამეურნეო ურთიერთობა ყალიბდებოდა მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების პირობებში. ხშირად აქ სჭარბობდა დამამზადებლის დიქტატი. ახალ დებულებებში კი კანონმდებლურად არის დამკვიდრებული პროდუქციისა და საქონლის მიწოდებისას მხარეთა ურთიერთობის ძირითადი პირობები, რომლებიც ემყარება ხელშეკრულების სტრუქტურის განსაზღვრაში საწარმოთა უფლებების გაფართოებას, სამეურნეო კავშირურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომლის ამოსავალი წერტილი გახდა კანონები სსრ კავშირში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) და კოოპერაციის შესახებ. პირველად არის მოწესრიგებული საბითუმო ვაჭრობის წესით პროდუქციის მიწოდებაში მხარეთა ურთიერთობა. ხოლო სახალხო მოწმარების საქონლის დარგში სამეურნეო კავშირურთიერთობის ფორმირების მთავარი ხერხი გახდა ხელშეკრულებათა დადება საბითუმო ბაზრობაზე. საქონლის თავისუფალი გაყიდვის შედეგად ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბაზას ასორტიმენტის დაგეგმვის, წარმოების ხარისხის, ასევე იმ მაჩვენებლების ამალღებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოების საწარმოო და სოციალურ განვითარებას. ამასთან სხვადასხვა დარღვევისათვის მხარის მიერ სანქციების გამოყენება გახდა უფლება და არა მოვალეობა, მიღებულია მთელი რიგი სხვა ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელშეკრულებო ვალდებულებათა ყოველი ღონისძიებით შესრულების უზრუნველყოფას, თანაც ეს ეხება არა მარტო წარმოებას, არამედ კაპიტალურ მშენებლობას, ტვირთზიდვას, ელექტრონული და სითბური ენერგიით მომარაგებას, ანგარიშებს სახალხო მეურნეობაში, მიწათსარგებლობას და სხვა.

დიდი ცვლილებებია სახელმწიფო შეკვეთაში. აქაც თანდათან იმსხვრევა ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა, კრითაც სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობა და მოცულობა ხშირად გაუმართლებლად ფართოვდებოდა, ამით კი იზღუდებოდა საწარმოთა უფლებები. აქ მნიშვნელობას იძენს საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოება თავიანთი პროგრამის ფორმირებაში; ამასთან აქტიურად გამოიყენება საკონკურსო საწყისები სახელმწიფო შეკვეთების სფეროში, რათა ყოველნაირად დავაინტერესოთ შრომითი კოლექტივები მათი მიღებით. რა თქმა უნდა, ამ დროს იზრდება საწარმოს პასუხისმგებლობა სახელმწიფო შეკვეთების დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის, ხოლო მართვის ორგანოებისა — მათი დასაბუთებული განლაგებისათვის. ახალი სამართლებრივი ნორმა მიუთითებს იმავეს, რომ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, დარგთაშორის სახელმწიფო გაერთიანებებს უფლება არა აქვთ სახელმწიფო შეკვეთაში შეიტანონ პროდუქცია, სამუშაოები და მომსახურება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებულის გადამეტებით.

სახალხო მეურნეობაში ახალი მექანიზმის დამკვიდრება მტკიცედ საჭიროებს სამართლებრივი საშუალებების დროულ და ხარისხიან გამოყენებას. აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივ მუშაობას ეწევა 120-მდე იურისტი. ეს საკმაოდ ძალაა თანამედროვე პირობებში სამართლებრივი საქმიანობის ნორმალურად წარმართვისათვის. ამასთან, ბოლო ხანს ამ საქმიანობის ეფექტიანობის ამალღებისათვის გაფართოვდა საკოორდინაციო მუშაობა. საქმიანი კავშირურთიერთობა ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ პროკურატურ-

რასთან, სახელმწიფო არბიტრაჟთან, აჭარის სახელმწიფო სტანდარტებთან, სახელმწიფო ვაჭრობისა და ხარისხის ინსპექტორთან და სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან. კომპეტენტურ ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ერთად სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესაბამისად ხდება საქმიანობის არსებული მდგომარეობის გაანალიზება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტრომ, პროკურატურამ და სახელმწიფო არბიტრაჟმა ჩაატარეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და იურიდიული სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. სისტემატურად ტარდება აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იურისკონსულტთა საბჭოს სხდომები. სადაც ახალი კანონმდებლობის შესაბამისად მუშავდება სათანადო რეკომენდაციები, ეწყობა გამოცდილებათა გაზიარება, აქ დიდი ყურადღება ეთმობა საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სამართლებრივი საშუალების გამოყენების მდგომარეობას. ახალი კანონების შესწავლა-განმარტების საქმეს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულმა იურიდიული სამსახურის მუშაკებმა სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად მნიშვნელოვნად გააქტიურეს მუშაობა, ამალდა სამართლებრივი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტრო. იურიდიული სამსახურების საქმიანობის შესწავლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამეურნეო ამოცანების წარმატებით განხორციელებისა და საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების ამალღებისათვის, საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, სოციალური საკითხების პრინციპების დამკვიდრებაში. ახლა იურისტები უფრო ქმედითად მონაწილეობენ სახელმწიფო, საგეგმო, ეკონომიკური, სახელშეკრულებო, შრომის დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის სახელმწიფო მიღების, დებიტორული დავალიანების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელებაში. საგრძნობლად გაუმჯობესდა იურისკონსულტთა სამუშაო პირობები, მუშაობაც უფრო ფართო ფრონტით გაიშალა და სამეურნეო ხელმძღვანელები საბოლოოდ დარწმუნდნენ ამ სამსახურის სარგებლობაში, ამიტომ არის რომ დღეს ყველა სოლიდურ საწარმოში იურისკონსულტები საქმიანობენ.

მიუხედავად ამისა, რიგ საწარმოებში ირღვევა სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინა, დიდი ოდენობით ჯარიმებს იხდიან როგორც დამკვეთი, ისე პროდუქციის მიმწოდებლები, ასევე მთელი შესაძლებლობით არ არის გამოყენებული სამართლებრივი საშუალებები პროდუქციის ხარისხის ამალღებისათვის. 1988 წელს აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა ხარისხთან დაკავშირებით სულ 114 საქმე განიხილა და ურჩ მხარეებს გადაახდევინა 218 ათასი მანეთი, აღნიშნული კატეგორიის დავათა მეტი ნაწილი ბათუმის ჩაის გადამწონი ფაბრიკის, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის, ბათუმის ფეხსაცმელების სავაჭრო სამრეწველო ფირმის გამოშვებულ პროდუქციაზე მოდის.

სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ვერ შესძლო 7 საწარმომ, რომლებმაც შემკვეთებს დააკლეს 3,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამასთან 2,3 მილიონი მანეთი ანუ 75,3 პროცენტი მიუწოდებელი პროდუქცია მოდის საკავშირო დაქვემდებარების 3 საწარმოზე — ნავთობგადასამუშავებელ, ელექტრომექანიკურ და ტრანსფორმატორების საწარმოზე.

დამაკმაყოფილებელი არ არის იურიდიული სამსახურის როლი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვა-შენახვის საქმეში. 1988 წელს გამოვლინებული დატაცებებით მიყენებული ზარალი შეადგენს 154 ათას მანეთს. გაფლანგვა-დატაცების ფაქტები გამოვლინდა ბათუმის პურის მიმღებ საწარმოში, № 1 პურის ქარხანაში, ქობულეთის რაიონის კვირიკეს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში. სუსტად იბრძვიან წვრილმანი დატაცების წინააღმდეგ, რომელთა ოდენობა წლების მანძილზე კი არ კლებულობს, პირიქით, მატულობს. მაგალითად, გასულ წელს გამოვლინდა 1250 წვრილმანი დატაცების ფაქტი.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხელმძღვანელთა მიერ მუშაკთა უკანონო დათხოვნის ფაქტებს. 1988 წელს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა 128 სარჩელიდან დააკმაყოფილეს 57 პროცენტი. ისინი აღდგენილი არიან სამუშაოზე როგორც უკანონოდ დათხოვნილნი და განაცდურიც აუნაზღაურეს. ხოლო 1987 წელს მითითებული კატეგორიის 34 საქმიდან სასამართლო პირველ ინსტანციაში დაკმაყოფილდა 24 სარჩელი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათ გადაუხადეს 4556 მანეთი. სამწუხაროა, რომ არცერთ შემთხვევაში სასამართლოების მიერ რეგრესის წესით არ არის დაკისრებული ზარალის ანაზღაურება დამნაშავე თანამდებობის პირებზე. ხოლო გასულ წელს ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აჭარის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლებში, ქობულეთის ხილბოსტანვაჭრობაში, ჩაქვის პურკომბინატში და სხვ. ყოველივე ამას თავიდან ავიცილებდით ამ საწარმოთა იურიდიულ სამსახურებს სწორად რომ გამოეყენებინათ სამართლებრივი საშუალებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმმა დასახა ქვეყანაში აგრარული პოლიტიკის განხორციელების, სიახლეთა დანერგვის, გარდაქმნის პირდაპირი გზა. პლენუმმა გააანალიზა და შეაჯამა განვლილი პერიოდის შედეგები, შეიმუშავა და ხალხს შესთავაზა ისეთი აგრარული პოლიტიკა, რომლის რეალიზაცია წარმოაჩენს გლესს, როგორც მიწის ბატონ-პატრონს, საშუალებას მოგვეცემს საიმედოდ გადავჭრათ სასურსათო პრობლემები. როგორც პლენუმზე აღინიშნა, ახალმა აგრარულმა პოლიტიკამ უნდა პოვოს მტკიცე სამართლებრივი საფუძველი, რათა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების მუშაკებს, კოოპერატორებს, არენდატორებს, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მშრომელს სწამდეთ ახალი პოლიტიკის სტაბილური და ხანგრძლივი ხასიათი.

ადგილობრივი მმართველობისა და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების, მიწის და მიწათსარგებლობის შესახებ ახალი კანონების მიღება, სოფლად ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნაში აგრარული რეფორმის განხორციელება გათვალისწინებულია სრული დემოკრატიზმის საფუძველზე. ის უნდა გადაიქცეს ფართო მასების კუთვნილებად, მთლიანად იცვლება ხელმძღვანელობის მეთოდები და სტილი, ფართო შესაძლებლობა ეძლევათ ძირეულ რგოლებში მომუშავე ადამიანთა ინიციატივისა და შემოქმედებითი მუ-



შაობის გაფართოებას. პლენუმზე ითქვა, რომ ამ მუშაობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნიშანია სრული უარის თქმა ძალისმიერ, დაწოლის მეტოდებზე, სოფლად გარდაქმნის ხელოვნურ დაჩქარებაზე, რადგან შეცდომები გარდაუვალია თუ ოდნავ მაინც დავუბრუნდებით ადმინისტრირებას. ხელმძღვანელობის ასეთმა სტილმა საბოლოოდ გაიტეხა სახელი და გამოიწვია კრიზისული მოვლენები აგრარულ სექტორში, საგანგაშო სიტუაცია სასურსათო მომარაგებაში. გარდაქმნა კი გულისხმობს ყველა მის დონეზე აგრარული სექტორის მართვის სისტემის ძირეულ შეცვლას და ის უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური რეფორმის ზოგად პრინციპებს.

გასულ სამეურნეო წელს აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 6, ხოლო რენტაბელობის საშუალო დონე 13 პროცენტით, მიღებულია 50 მილიონ მანეთზე მეტი მოგება. ამჟამად აჭარის სოფლის მეურნეობაში ფუნქციონირებს 1095 საწარმო და იჯარული ურთიერთობით მომუშავე კოლექტივი, რომლებზეც მიმაგრებულია სავარგულების 97 პროცენტი. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სხვადასხვა ფორმიდან ყურადღებას იმსახურებს იჯარა. მარტო მთის რაიონებში 17600 მოიჯარეზე ხანგრძლივი ვადით მიმაგრებულია 14,6 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, 15,6 ათასი მსხვილფეხარქიანი პირუტყვი, 13 მილიონ მანეთზე მეტი ძირითადი ფონდები.

სულ უფრო ფართოვდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივების ქსელი. ამჟამად აგროსამრეწველო კომპლექსში 44 ასეთი კოოპერატივი ფუნქციონირებს, მათ შორის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების 32, საკვებწარმოების 2 და ერთიც მებოსტნეობის კოოპერატივი.

იურიდიული სამსახურების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც დაუყოვნებელ გამოსწორებას საჭიროებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დროულ გადაწყვეტაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებაში, ახლა უფრო ქმედითად უნდა მონაწილეობდნენ სახელმწიფო, საგეგმო, ეკონომიკური, სახელშეკრულებო, შრომის დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის მიწოდების, არამწარმოებლური ხარჯების შემცირების, პროდუქციის სახელმწიფო მიღების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღმოსაფხვრელად. ისინი კარგად უნდა იყვნენ გარკვეულნი სადღეისო ამოცანებში, არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ სახალხო მეურნეობაში ახალი მექანიზმის დამკვიდრება მტკიცედ საჭიროებს სამართლებრივი საშუალებების თავისდროულ და ხარისხიან გამოყენებას.

ზოგჯერ იურიდიული სამსახურები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ახალი კანონმდებლობის ახსნა-განმარტებისა და მათი პრაქტიკულად გამოყენების საკითხებს. არადა სამართლებრივი სახელმწიფოს თანდათანობით ჩამოყალიბების ამოცანები სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს. ახალი კანონი სახელმწიფოს საწარმოს (გაერთიანების) შესახებ განსაზღვრავს მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების ფართო გამოყენებას, დემოკრატიული საფუძვლების გაფართოებასა და თვითმმართველობის განვითარებას, საწარმოების (გაერთიანებების) და სახელმწიფო ხელისუფლე-

ზისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობას, სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს, კანონმდებლობის გამოყენებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ საწარმოს კანონით ენიჭება ყოველმხრივი ეკონომიკური საქმიანობის უფლება. პარტია მოითხოვს, რომ შევიმუშავოთ ახალი კანონმდებლობის საფუძველზე სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სამართლებრივი პროცედურები, უნდა გამოირიცხოს სამეურნეო სისტემის ყველა დონეზე ვოლუნტარიზმის შესაძლებლობა. დასახულია სამეურნეო კანონმდებლობის სისტემატიზაცია და კოდიფიკაცია უწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოყენებისათვის, საერთო საკავშირო აქტების მომზადება. ამიტომაც საჭირო განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს კონტროლი უწყებრივი ნორმატიული აქტების კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაზე. ამ მოთხოვნათა პრაქტიკულად დასამკვიდრებლად საჭიროა სამართლებრივი საქმიანობის ძირეული გარდაქმნა, რის შესაბამისადაც მნიშვნელოვნად უნდა გააქტიურდეს იურიდიული სამსახურის მუშაკთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა.



## დისკუსია

# იურიდიული სამსახურის ქნელბეადობანი

სერგო პეტროსიანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა და სოციალისტური ორგანიზაციების სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსის მოადგილე


ყურანღმა „საბჭოთა სამართალმა“ 1987 წლის მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხნის იურიდიული განყოფილების უფროსის ნ. ნებიერიძის სტატია „ფიქრები იურიდიულ სამსახურზე“, სადაც ავტორი აყენებს მეტად სერიოზულ და წლების მანძილზე დაგროვილ მტკივნეულ საკითხებს ამ სფეროში. თავიდანვე მინდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ სტატიის გამოქვეყნების დღიდან გავიდა საკმაოდ დიდი დრო, თითებზე ჩამოსათვლელია ის იურისტები, რომლებიც გამოეხმაურნენ ამ წერილს და ჩაერთვნენ დისკუსიაში.

ამავე ყურანლის 1988 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლესიჭინეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის იურისკონსულტის რამინ ახალაიას სტატია-გამოხმაურება „იურიდიული სამსახური გარდაქმნის მიღმა“. სამწუხაროა, რომ რედაქციის მიერ წამოყენებულ ამ საინ-

ტერესო დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ იურისტებს, თუმცა ამ სტატიებში ნათლადაა გაშუქებული იურისკონსულტის საქმიანობაში არსებული პრობლემები. პრობლემები კი მართლაც რომ ბევრია და სერიოზულიც. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ავტორებს, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ივნისის № 467 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი დებულება იურიდიული განყოფილების იურისკონსულტის შესახებ მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე პირობებს.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მატერიალური წარმოების სფეროს ყველა საწარმო და გაერთიანება გადასულია ახალ სამეურნეო პირობებზე, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პირობებში კი იურიდიულ სამსახურს ეკისრება მნიშვნელოვანი როლი სამეურნეო ურთიერთობებში სამართლებრივი საფუძვლების მოსაწესრიგებლად, სახელშეკრულებო დისციპლინისა და კანონმდებლობის განსამტკიცებლად. საწარმოების გადაყვანამ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გამოიწვია მმართველობის სტრუქტურის ორგანიზაციული გარდაქმნის აუცილებლობა. ეს პროცესი არ შეიძლება არ შეეხოს საწარმოებისა და ორგანიზაციების იურიდიული სამსახურების, მისი სამართლებრივი სტატუსის სრულყოფის საკითხებს, იურისკონსულტებს შორის მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონის და სხვა აქტების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულია ეკონომიკის ძირითადი გარდაქმნისაკენ, თავისთავად ამაღლდა საწარმოებისა და გაერთიანებების როლი, გაფართოვდა საწარმოთა დამოუკიდებლობა და უფლებები სხვადასხვა საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. მაგალითად, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი ადგენს საწარმოს საკუთრების სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს. კერძოდ, საწარმოს უფლება აქვს: გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გაყიდოს, გაცვალოს, გასცეს იჯარით, გადასცეს დროებით სარგებლობაში, ანდა ასესხოს შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი, მასალა და სხვა მატერიალური ფასეულობები, ამასთანავე ჩამოწეროს ისინი ბალანსიდან, თუ ადგილი აქვს მათ გაცვეთას ან მორალურად მოძველებულია. უფრო მეტიც, ამავე კანონის თანახმად, სოციალისტური კანონიერების საფუძველზე მოქმედი საწარმო სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ყველა საკითხის გადაწყვეტაში, თუ რა თქმა უნდა, ისინი კანონსაწინააღმდეგო არ არის. მაგრამ ამ უფლებების რეალიზაცია ითხოვს სხვადასხვა გარიგებების დახვეწას, რომლებიც მოითხოვენ დოკუმენტალურ გაფორმებას. ისმება კითხვა: ვის შეუძლია საწარმოში, თუ არა იურისტს, განუმარტოს სამეურნეო ხელმძღვანელსა და სხვა სპეციალისტებს კანონმდებლობის საკითხები და განსაზღვროს რა შეიძლება და რა არ შეიძლება? მიგვაჩნია, რომ ასეთი სპეციალისტი საწარმოში, რომელსაც შეუძლია არა მარტო კონსულტაცია გაუწიოს, არამედ მიიღოს მონაწილეობა გარიგებათა დასადებად დოკუმენტების მომზადებაში, ეს არის იურისკონსულტი. მაგრამ აქვე ჩნდება მეორე კითხვაც — შეუძლია კი საწარმოს იურისკონსულტს დღეს მოქმედი სტატუსის თანახმად, ჩაეროს საწარმოო სამეურნეო საქმეებში.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.



ურნეო საქმიანობაში და უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერება? და აქვე უნდა ითქვას, რომ განსაზღვრული არ არის იურისკონსულტის ისეთი სტატუსი, რომელიც მას რეალურად მისცემს უფლებას აღკვეთოს გამოვლენილი დარღვევები და თავიდან ააცილოს საწარმოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. აქედან გამომდინარე, საწარმოთა უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოებისას აუცილებელია გაფართოვდეს იურიდიული სამსახურის უფლებებიც.

გარდაქმნის პირობებში საზოგადოების შეგნებაში მტკიცდება აზრი, რომლის თანახმად რადიკალური ეკონომიური რეფორმა, საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაცია არ შეიძლება განხორციელდეს ყოველმხრივი სამართლებრივი უზრუნველყოფის გარეშე. ამიტომ არის, რომ XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ დასახა მასშტაბური ამოცანა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის განმტკიცებისა და სამართლებრივი რეფორმის განხორციელების შესახებ. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება და საყოველთაო იურიდიული განათლების განხორციელება, ჩემი აზრით, შეუძლებელია იურიდიული სამსახურის განმტკიცების გარეშე, როგორც ადგილობრივ საბჭოებში, ასევე საინისტროებში და უწყებებში, საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში.

პარადოქსია, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა სამართლებრივი სამსახურის განმტკიცების ნაცვლად, უგულვებლყვეს მთავრობის დადგენილებები და შეამცირეს იურიდიული სამსახურების მუშაკთა ოდენობა. მაგალითად, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობისა და პურპროდუქტების სამინისტროებში იურისტების საშტატო ერთეული შემცირდა 2—2 ერთეულით, საქაგრომრეწვეში — 6, ფინანსთა სამინისტროში — 3, საქართველოს სსრ მომარაგების სახელმწიფო კომიტეტში — 1 ერთეულით. ეს ჩამონათვალი შეიძლება გავაგრძელოთ. უფრო მეტიც, იურიდიული სამსახურები შეიყვანეს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, როგორცაა კადრების განყოფილება, საერთო განყოფილება, საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება, საქმეთამმართველობა და ა. შ. სამწუხაროდ, ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა საწარმოებსა და გაერთიანებებშიც: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ იურიდიული სამსახურების შტატების შემცირების აღკვეთის მიზნით და იურიდიული სამსახურის განმტკიცებისათვის აუცილებელი ზომების მისაღებად გაუგზავნა ინფორმაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ერთდროულად შეიტანა განსახილველად დადგენილების პროექტი. ამიტომ, დადგა დრო გადაიხედოს სამინისტროს, უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის იურისკონსულტის სტატუსი და შეეფასებამოთ იგი გადიდებულ მოთხოვნებს.

როგორც ცნობილია, ყურნალ „ხოზიასტვო ი პრავო“-ს 1988 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულია საკავშირო იუსტიციის სამინისტროს მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკების მონაწილეობით შემუშავებული ზოგადი დებულების პროექტი სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის შესახებ.

აღნიშნული პროექტი, გავამრავლეთ და გავუგზავნეთ რესპუბლიკის სამინისტროებს, კომიტეტებს, უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ საწარმოს და საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებს. ჩვენი აზრით, პროექტი უნდა გამხდარიყო სკრუპულოზური და ფართო განხილვის

საგანი, მაგრამ რატომღაც, იურისკონსულტები დემილს არჩევენ. გარდა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნისა, გაუგებარია მათი პასიური, უსულგულო დამოკიდებულება ასეთი სერიოზული აქტის პროექტის მიმართ, რომელიც აწესრიგებს იურიდიული სამსახურის საქმიანობას. აქ იქნებ თავი იჩინა წლების მანძილზე დაგროვილმა უიმედობამ, რომ შეუძლებელია რეალურად შეიცვალოს იურისკონსულტების უფლებო მდგომარეობა, ან იქნებ გამოვლინდა არასაკმარისი კომპეტენტურობა?

მაგრამ დაეუბრუნდეთ იურისკონსულტის სტატუსის პროექტს, მას აქვს, როგორც უპირატესობანი, ასევე ნაკლოვანებები. ისმება კითხვა: იძლევა კი რაიმე ახალს გამოქვეყნებული დებულების პროექტი? პროექტის ავტორები ცდილობენ გადაწყვიტონ ერთი დარგის მცირე და საშუალო ჯგუფების სახის საწარმოების იურიდიული მომსახურების საკითხი ერთ-ერთ საწარმოში იურიდიული განყოფილების შექმნით, ან იურისკონსულტის თანამდებობის შემოღებით, რა თქმა უნდა, ამ საწარმოების ურთიერთშეთანხმებით, რაც მცირე და საშუალო ჯგუფის საწარმოების იურიდიული მომსახურების საშუალებას იძლევა. პროექტი შედარებით აზუსტებს იურიდიული სამსახურის უფლებებს და მოვალეობებს და ადგენს მათ პასუხისმგებლობას. მაგრამ ბევრი საკითხი ისევ ღიად რჩება. მაგალითად, არ არის გადაწყვეტილი თუ ვინ უნდა ჩაატაროს იურისკონსულტების ატესტაცია და ვინ უნდა მიაკუთვნოს კატეგორია, როგორ და რა ფორმით უნდა გაუწიოს სამართლებრივი დახმარება იურისკონსულტმა შრომითი კოლექტივის საბჭოს, პროფკავშირის კომიტეტს, ამხანაგურ სასამართლოს, სამინისტროს, თუ საწარმოს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. რიგი დებულებები ატარებენ დეკლარაციულ სახეს და არ არის გამაგრებული გარანტიებით. მაგალითად, პროექტის მე-15 და მე-16 პუნქტების მოთხოვნით იურისკონსულტი „უფლებამოსილია მისცეს დასკვნები და ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს შესასრულებლად წარუდგინოს აუცილებელი მოთხოვნები“, ანდა საწარმოს „ხელმძღვანელმა დოკუმენტების ხელმოწერისას იურიდიული სამსახურის დასკვნის მიუხედავად, აღნიშნულზე უნდა აცნობოს 5 დღის ვადაში ზემდგომ ორგანოებს“. მაგრამ იურისკონსულტი, რომელიც ინიშნება, თავისუფლდება და საერთოდ ექვემდებარება საწარმოს ხელმძღვანელს, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, დაიცავს ისევ მათ ინტერესებს. მოქმედი დებულების მე-14 პუნქტი ამ ნაწილში არ სრულდება. ასევე ლოზუნგის ხასიათს ატარებს პროექტის მე-9 პუნქტის მოთხოვნები, სადაც აღნიშნულია, რომ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები ვალდებული არიან შეუქმნან იურიდიულ სამსახურს აუცილებელი პირობები ნორმალური მუშაობისათვის, უზრუნველყონ ისინი საკანონმდებლო, საცნობარო მასალებით, აგრეთვე იურიდიული ლიტერატურით.

ასევე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება იურიდიული სამსახურის დაქვემდებარების საკითხზე.

მოქმედი დებულების 1 და 6 პუნქტების შესაბამისად იურიდიული სამსახური არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი და ექვემდებარება მხოლოდ სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელს, ანდა მისივე გადაწყვეტილებით, მის ერთ-ერთ მოადგილეს. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში კი იურისკონსულტის დაქვემდებარების საკითხს მოქმედი დებულება

საერთოდ არ ითვალისწინებს. როგორც შესწავლამ გვიჩვენა, ზოგიერთ აღმასკომში იურისკონსულტი ექვემდებარება აღმასკომის თავმჯდომარეს, ზოგი თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, ზოგიც აღმასკომის მდივანს. აქვე ისმება კითხვა, თუ როგორ არეგულირებს ამ საკითხს დებულების პროექტი? პროექტის მე-6 პუნქტი განმარტავს — „სამინისტროს, უწყების იურიდიული სამსახურის დაქვემდებარების საკითხს ადგენს თვით სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელი“. აქ არაფერი არ არის ნათქვამი, რომ იურიდიული სამსახური არის დამოუკიდებელი ქვედანაყოფი. ამის არ აღნიშვნა, ჩემი აზრით, დაუშვებელია, რადგან აუცილებელია ზუსტად დადგინდეს იურიდიული სამსახურის დაქვემდებარებისა და დამოუკიდებლობის საკითხი. ამდენად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი კვლავ სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს.

სახალხო მეურნეობაში სოციალისტური კანონიერების დაცვა დამოკიდებულია არა მარტო იურიდიულ სამსახურზე, არამედ საწარმოს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სამართლებრივ კულტურაზე. ამ მიზნით, საჭიროდ ვთვლი, პროექტში გათვალისწინებული იყოს „იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის უფლება, შეაჩეროს კანონსაწინააღმდეგო ბრძანების, განკარგულების შესრულება, რომელიც გამოსცა საწარმოს ხელმძღვანელმა, რაც განხილულ უნდა იქნას კოლექტიურად, თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით და მიღებულ იქნას საბოლოო გადაწყვეტილება. თუ საბოლოო გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა, იურიდიული სამსახური ვალდებულია აცნობოს ზემდგომ საკონტროლო ან საზედამხედველო ორგანოს“.

ასევე დამუშავებას ითხოვს კიდევ ერთი სადისკუსიო საკითხი — იურიდიული სამსახურის დაქვემდებარება. ზოგი გამოთქვამს აზრს, რომ საწარმოში შემოვიდოთ ხელმძღვანელის მოადგილის შტატი, რომელიც გადაწყვეტს სამართლებრივ საკითხებს, კერძოდ: საპრეტენზიო-სასარჩელო მასალების ხელმოწერა, მუშაკებისათვის მატერიალური და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება და სხვა უფლებები. ზოგიერთი კი აყენებს საკითხს იურიდიული სამსახურის იუსტიციის სამინისტროსათვის დაქვემდებარების შესახებ. ასეთი აზრისაა წყალტუბოს „საქკოპშენის“ № 2 ტრესტის უფროსი იურისკონსულტი გიორგი ჟორჟოლიანი. რა თქმა უნდა, ყველა მოსაზრება საფუძველს არ არის მოკლებული, მაგრამ ჩემი აზრით, უფრო მართებული იქნება, რომ იურიდიული სამსახურის უფროსი უნდა იყოს საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციაში, მაგრამ ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიდეთ, რომ სამუშაოზე დანიშნვის, განთავისუფლების, ასევე დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხები უნდა გადაწყდეს ზემდგომი ორგანოების მიერ, ხოლო შრომითი დავები იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის განთავისუფლების საკითხზე უნდა გადაწყდეს სასამართლო წესით და არა ზემდგომი ორგანოების მიერ ქვემდებარეობის წესით. ეს წვლილს შეიტანს უფლებრივი მდგომარეობის, იურიდიული სამსახურის ავტორიტეტის ამაღლებისა და ხელფასის გაზრდის საქმეში. შესაძლებელია ესეც საკამათო იყოს, მაგრამ, გვკერა, რომ ამით მივიღწევთ, რათა უფრო პრესტიჟული გახდეს „სამართალმცოდნეების“ მუშაობა სახალხო მეურნეობაში.

მაგრამ არსებობს სხვა აზრიც, მაგალითად ნ. ნებიერიძე ჟურნალ „საბჭოთა სოციალისტის“ 1987 წლის მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ფიქ-

რები იურიდიულ სამსახურზე" გვთავაზობს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოს ბაზაზე შეიქმნას იურისტების უფრო აქტიური კავშირი ან რესპუბლიკის იურისკონსულტების კლუბი. რ. ახალაია გვთავაზობს აღნიშნული კავშირი უზრუნველყოფილი იყოს იურიდიული პირის უფლებებით, რომელსაც კურირებას გაუწევს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, ხოლო ცენტრის ხელმძღვანელი იქნება იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე.

როგორც ხედავთ წინადადებები ბევრია. მოდით ვიმსჯელოთ მათზე!

ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივესალმოთ იურისკონსულტების ზრუნვას აღნიშნულ საკითხზე, მათ მცდელობას მოვნახოთ ოპტიმალურად მისაღები გადაწყვეტილება. იურისკონსულტები რომ განცალკევებული არიან და არ არის მათ საქმიანობაში კოორდინაცია, ეს სადავო არ არის. იურისკონსულტთა საზოგადოებრივმა საბჭომ რომ ბრძოლის უნარი დაკარგა, ამაშიც ვეთანხმებით ნ. ნებიერიძეს. საბჭოს წევრების მოქმედი შემადგენლობა არჩეულია 1984 წელს და მას შემდეგ არ განახლებულა. საბჭოს ზოგიერთმა წევრმა დაკარგა კავშირი როგორც საბჭოსთან, ასევე მის პრეზიდენტთან. ზოგიერთი წევრი საბჭოს მუშაობაში იღებდა მონაწილეობას ფორმალურად, რამაც მიგვიყვანა საბჭოს უმოქმედობასთან. აქ თავი იჩინა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს არასაკმარისმა ყურადღებამაც.

1988 წლის დეკემბერში იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა იურისკონსულტთა საბჭოს პრეზიდენტის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ და დასახა რიგი ღონისძიებები საბჭოს საქმიანობის გააქტიურებისათვის.

დღეისათვის შემუშავებულია ახალი დებულების პროექტი იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოს შესახებ, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია საბჭოს წევრების მორალური სტიმულირების საკითხებიც. მიღებულია ზომები საბჭოს წევრების გასახალხლებლად აქტიური იურისკონსულტებითა და მეცნიერი მუშაკებით.

რაც შეეხება ნ. ნებიერიძის მიერ 1988 წლის მაისში იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილ იურისკონსულტთა კავშირის წესდების პროექტს, რომლის ასლიც წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში, იუსტიციის სამინისტრომ შექმნა მუშა ჯგუფი პრაქტიკული მუშაკების, სახელმწიფო არბიტრაჟისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენელთაგან. ყველას დაურჩიდა პროექტის ასლი თავიანთი აზრის გამოსათქმელად, მაგრამ ამ კომისიის ბევრმა მონაწილემ არ წარმოადგინა კონკრეტული წინადადებები გაურკვეველი მიზეზების გამო.

ნ. ნებიერიძემ მიმდინარე წლის მარტში წარმოადგინა თავისი პროექტი. ამ წესდების პროექტის თანახმად, იურისკონსულტთა კლუბის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: „იურისკონსულტთა გაერთიანება, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობაში, დაეხმაროს იურისკონსულტებს სამუშაოზე მოწყობაში, იზრუნოს იურისკონსულტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლად, პროპაგანდა გაუწიოს იურიდიული სამსახურის საქმიანობას პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, იურისკონსულტთა საჩივრების განხილვა, რომელიც დაკავშირებულია იურისკონ-

სულტა დათხოვნა-განთავისუფლებასთან ან სამუშაოზე მიღებასთან, იურიდიული საქმიანობის შესწავლა და განზოგადება, დააყენოს საკითხები მოწინავე მუშაკების წახალისებისა და დაწინაურების შესახებ, მოაწყოს თათბირები, შეკრებები, კონფერენციები იურიდიული სამსახურის განმტკიცების საკითხებზე, იზრუნოს იურისკონსულტთა სათანადო ლიტერატურითა და ნორმატიული აქტებით უზრუნველყოფისათვის, გამოსცეს საცნობარო წიგნაკები, ბუკლეტები, ჩაატაროს იურისკონსულტთა ატესტაცია, გაუწიოს ფასიანი მომსახურება სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებს“.

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. თავისთავად იბადება კითხვები: საწარმოს, შრომითი კოლექტივისა და სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელის უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოების პირობებში, როგორ აპირებს კლუბი დაეხმაროს იურისკონსულტებს საბინაო-კომუნალური პირობების გაუმჯობესებაში? როგორ უნდა უშუამდგომლოს მათ სამუშაოზე აღდგენაში ან სამსახურის მიხედვით დაჯილდოებაში, ანუ როგორი იქნება იურისკონსულტთა კლუბის საქმიანობის ფორმები? როგორი იქნება კლუბის ურთიერთდამოკიდებულება იუსტიციის სამინისტროსთან? როგორი იქნება მატერიალური ანაზღაურების ფორმები სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებთან და როგორ დაეკისრებათ გადასახადები? და საჭიროა კი იურისკონსულტთა ასეთი კლუბის ან კავშირის შექმნა, როდესაც ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ იურისტთა კავშირი? იქნებ სჯობდეს შევქმნათ იურისკონსულტთა ასოციაცია, რომელიც კოლექტიურ წევრად შევა ამ კავშირში. დიახ, ეს და სხვა საკითხები, საჭიროებენ ჭეროვან დამუშავებას.


კიდევ ერთხელ მინდა აღნიშნო, რომ იურიდიული სამსახურის ავტორიტეტისა და როლის ასამაღლებლად საჭიროა გავზარდოთ იურისკონსულტის სტატუსი. აღვჭურვოთ ისინი უფლებებით, რომლებიც მისცემენ მათ საშუალებას სამართლებრივი ბერკეტებით რეალურად უზრუნველყონ სამეურნეო ურთიერთობები. XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში ხომ კონკრეტულად არის აღნიშნული, რომ აუცილებელია ავამაღლოთ იუსტიციის ორგანოების როლი და განვამტკიცოთ იურიდიული სამსახური სახალხო მეურნეობაში.

ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საჭიროა იურიდიული სამსახურის კვალიფიკაციის დონის ამაღლება. საიდუმლო არ არის, რომ ბევრი ჩვენი კოლეგა ვერ სარგებლობს ავტორიტეტით, უპირველეს ყოვლისა, თავისი დაბალი კვალიფიკაციის გამო.

ჭერ კიდევ ვერ გადაწყდა იურისტების სათანადოდ მომზადების საკითხი, რათა მათ წარმატებით იმუშაონ სახალხო მეურნეობაში. ძირითადად, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იურიდიული კადრები დაკომპლექტებულია ან ახალგაზრდა სპეციალისტებით, რომელთაც არ უმუშავიათ სამართალდამცავი ორგანოების ძირეულ რგოლებში, ან ორგანოებიდან სხვადასხვა მიზეზით დათხოვნილი იურისტებით. ამასთან იმის გამო, რომ გაიზარდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა იურიდიული სამსახურებისადმი, საჭიროა გაიზარდოს მათი მატერიალური დაინტერესებაც.

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 115 დადგენილებაში მოცემულია სხვადასხვა კატეგორიის მუშაკების შრომის ანაზღაურების დიფერენციაცია. ამასთან, იურიდიული სამსახურის უფროსის (იურისკონსულტის)





შრომის ანაზღაურება შედარებით დაბალია, ვიდრე სხვა სტრუქტურული ქვე-დანაყოფების მუშაკებისა. საჭიროა არსებული დებულება გადაიხედოს და იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა იურიდიული სამსახურებისადმი მომთხოვნელობა, შესაბამისად გაიზარდოს ხელფასიც.

იმისათვის, რომ გადაილახოს „თანაფარდობის“ არსებული პრობლემა, აუცილებელია ახალ სამეურნეო პირობებში სპეციალური ტიპური დებულების შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს იურიდიული სამსახურის მუშაკების წახალისების ნორმებს. და ბოლოს, სახალხო მეურნეობაში იურისკონსულტების საქმიანობის კოორდინაციისათვის აუცილებელია არსებითად ამოღდეს იუსტიციის ორგანოების როლი, მიენიჭოს მათ შესაბამისი ფუნქციები და უფლებები. აგრეთვე, აუცილებელია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი განყოფილების დამატებით კადრებით შევსება.

ავტორის თხოვნით ამ სტატიის ჰონორარი გადაირიცხება ჟ. თაბლინიში \* აკრილის ტრაპეზიის დროს დაღუპულთა მემორიალის ასაგავ ფონდში.

მიზანი — სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცოლება

# საპასპორტო რეჟიმი და დანაშაურობის პროფილაქტიკა

გიორგი ბიბაშვილი,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი

ჩვენს ქვეყანაში საპასპორტო რეჟიმი ძირითადად ხორციელდება საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 აგვისტოს № 677 დადგენილებით მიღებული დებულების შესაბამისად და ზემდგომი ორგანოების იმ ბრძანებებითა და მითითებებით, რომლებიც სისტემატურად გამოიყენა საჭიროებისამებრ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სისტემატურად გამოიყენა საჭიროებისამებრ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საპასპორტო რეჟიმი, მხოლოდ მოქალაქეთა მოძრაობის აღრიცხვის, ჩაწერა-ამოწერის სამსახური როდია, იგი შინაგან საქმეთა ორგანოების მოღვაწეობის ერთ-ერთი სერიოზული უბანია და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანაშაურობის პროფილაქტიკის საქმეში.

საპასპორტო რეჟიმის დაცვის ორგანიზაციას საქართველოში წარმართავს

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს საპასპორტო და ვიზების განყოფილება ადგილებზე შექმნილი შესაბამისი საპასპორტო აპარატების მეშვეობით.

საპასპორტო რეჟიმის დაცვის ღონისძიებებს შინაგან საქმეთა ორგანოების თითქმის ყველა სამსახური ახორციელებს, მაგრამ ძირითადი ტვირთი მაინც საპასპორტო დარგის მუშაკებსა და უბნის ინსპექტორებზე გადადის, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ საზოგადოებრივ ფორმირებებს. რა თქმა უნდა აქვე იგულისხმება ის მხარდაჭერა და გვერდით დგომაც, რასაც მათ პარტიული და საბჭოთა ორგანოები უწევენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საპასპორტო რეჟიმის დაცვის სწორი ორგანიზაცია დამნაშავეობის პროფილაქტიკის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ პასპორტის (საბჭოთა მოქალაქის პირადობისა და ვინაობის დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი) გარეშე ჩაუწერავად ყოფნა ქალაქში, რაიონში თუ რომელიმე დასახლებულ პუნქტში მხოლოდ დამნაშავეებს, ძებნაში მყოფ და სხვა ჯურის სამართალდამრღვევ, საექვო პირებს აძლევთ ხელს. მათ დროულ გამოვლინებას და სათანადო რეაგირებას კი უდიდესი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

გამომდინარე აქედან, საპასპორტო აპარატის მუშაკები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ უპასპორტო, ჩაუწერავი, მაწანწალა და მოხეტიალე პირების მოძველებული, ვადაგასული პასპორტების მქონე, ალიმენტის ურჩი გამამხდელების, ძებნილებისა და სხვა სამართალდამრღვევების გამოვლინებაზე.

აქვე გვინდა ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას მიექცეს ყურადღება. უნდა შევთანხმდეთ, რომ საპასპორტო დებულების მოთხოვნათა განხორციელება, რაც თავისთავად საპასპორტო რეჟიმის დაცვასაც მოიცავს, მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოების მოვალეობა არ არის. სოფლად ამ საქმეს სასოფლო და სადაბო საბჭოები ასრულებენ. ამასთან, სამინისტროების, გაერთიანებების, წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მკაცრად დაიცვან საპასპორტო რეჟიმი. მათ სამუშაოდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ უპასპორტო ან ჩაუწერავი მოქალაქეები. როგორც ცნობილია, თბილისში ეს საკითხი თითქმის უკვე გადაწყვეტილია, სამინისტროებისა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს მკაცრად ეკრძალებათ თბილისში ჩაუწერავი მოქალაქეების საწესდროზე მიღება.

მოსახლეობის სწრაფი ზრდა თბილისში ძირითადად მიგრაციის მიზეზია. ბუნებრივი მატების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა შორის თბილისი მე-11 ადგილზეა. მხოლოდ უკანასკნელ 8 წლის მანძილზე დედაქალაქში შემოვიდა 147 ათასზე მეტი კაცი და საშუალო წლიურმა ნამატმა 18,5 ათასი კაცი შეადგინა. ასეთი მატების პირობებში თბილისის მაცხოვრებელთა რაოდენობა ორი ათასი წლისათვის მილიონოთხასათასს მიაღწევს. მოსახლეობის ზრდამ მიგრაციის ხარჯზე ის განაპირობა, რომ დღეისათვის თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 22,9 პროცენტია. ეს მაშინ, როდესაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში იგი შეადგენს 6-15 პროცენტს.

პირდაპირ და დაუფარავად უნდა ითქვას, რომ დედაქალაქის არაგეგმიური

ზრდა ჩამოსულთა ხარჯზე ბევრად ართულებს ოპერატიულ ვითარებას, რადგან იგი იწვევს კიდევ სერიოზულ შეფერხებებს და ნაკლოვანებებს მოსახლეობის სოციალური საკითხების მოგვარება-გადაწყვეტაში, რაც ცხადია, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბოროტმოქმედებისათვის. მდგომარეობას ის უფრო ართულებს, რომ რაიონებიდან არაორგანიზებულად ჩამოსულთა და დედაქალაქში ჩაუწერლად მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი ოჯახებით დამკვიდრდა თბილისში, ეს კი უარყოფითად მოქმედებს ქალაქის სახალხო მეურნეობის განვითარების სწორ დაგეგმვაზე, დამატებით სიძნელეებს ქმნის მოსახლეობის სურსათით, ტრანსპორტით უზრუნველყოფაში, სამედიცინო მომსახურებაში, საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

ერთჯერადი შემოწმების შედეგად მარტო 589 წარმოება-დაწესებულებაში 3.184 მომუშავე პირი აღმოჩნდა თბილისში ჩაუწერავი. „საქაჯრომშენის“ მე-11 ტრესტის მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში 77 კაცი მუშაობდა ჩაუწერავად, მათგან 39 მიღებულია ზემოთნახსენები დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ. აქვე შრომითი ხელშეკრულებები აქვთ დადებული სომხეთიდან, დაღესტნიდან, აზერბაიჯანიდან, სტავროპოლის მხარიდან ჩამოსულ პირებს.

ანალოგიური მდგომარეობაა ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანაში (ტ. თ. ჩიკვაიძე), სადაც ჩაუწერავად მუშაობს 59 კაცი, რომელთა 78 პროცენტი დაოჯახებულია.

საპასპორტო რეჟიმი უხეშად ირღვევა აგრეთვე მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. აქ ჩაუწერავად მუშაობს 84 კაცი, რომელთაგან 24 მიღებულია რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების შემდეგ. სამწუხაროდ, ასეთი კატეგორიის დაწესებულებები ერთეულები არაა. მართალია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და აღმასკომმა მკაცრად იმსჯელეს ამ საკითხებზე, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ იცვლება. ასევე სკოლავენ ამ საქმეში უმაღლესი, საშუალო-სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელები.

დარღვევებს ვხვდებით რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც. ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათში“ ჩაუწერავად 53 პირი მიიღეს, ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობაში — 20, სიღნაღის რაიონის „ლიჩის ანდერძის“ სახელობის კოლმეურნეობაში — 32 და ა. შ.

სამწუხაროა, რომ სოფლად მოქალაქეთა ჩაწერის დროს არ ითვალისწინებენ რაიონის ეკონომიკური განვითარების, მოქალაქეთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების, მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფის შესაძლებლობებს. ეს კი შემდგომში ხშირად იწვევს დავასა და საჩივრებს, რაც ქმნის კიდევ კონფლიქტურ სიტუაციებს (გარდაბნის, მარნეულის, მცხეთის და ზოგიერთი სხვა რაიონები).

უხეშად ირღვევა საპასპორტო რეჟიმი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, გურიისა და სამეგრელოს ზონებში. ამ რეგიონების წარმოება-დაწესებულებების და ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელები დღესაც განაგრძობენ რესპუბლიკის გარედან ჩამოსულ საეკვო ყოფაქცევის მქონე ისეთ პირთა სამუშაოზე მიღებას, რომლებიც არსად არიან ჩაწერილნი და ზოგიერთი მათგანს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიც კი არ გააჩნია.

როგორც წესი, ამ კატეგორიის პირთა შორის ბევრნი არიან ნასამართლევი, სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ძებნილები, ნარკომანები. ცხადია, ისინი კიდევ უფრო ართულებენ ისედაც მძიმე ოპერატიულ ვითარებას.

აი მაგალითიც, 1988 წელს აფხაზეთში გამოვლინებულ 5573 მაწანწალა-მათხოვრიდან 137 საკავშირო ძეხნილი იყო, მათგან 17-მა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული ჩაიდინა. მკვლელობებისათვის დააპატიმრეს მაწანწალები ვ. ზუბარევი, ა. შახლოვი, ვ. კრაეჩენკო, პირადი ქონების ქურდობისათვის ნ. ბირიაევი, ა. პოვაროვი და ა. შ. ითვალისწინებს რა საპასპორტო რეჟიმის დაცვის მნიშვნელობას დამნაშავეობათა პროფილაქტიკის საქმეში, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებულა და მოქმედებს პროფილაქტიკური ღონისძიებების გეგმა პირობითი სახელწოდებით „კომპლექსი“.

ასეთი ღონისძიებების გატარების შედეგად შარშან, მხოლოდ ორ თვეში გამოვლინებული იქნა 2370 ჩაუწერავი, 590 უპასპორტო, 1891 უვარგისი პასპორტების მქონე, საპასპორტო რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევით სამუშაოდ მიღებული იყო 1219 კაცი, დაისაჯა 113 ნარკომანი, 157 მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, 657 დაუსაქმებელი პირი, 700 მაწანწალა, 39 სისხლის სამართლის დამნაშავე და სხვა. საპასპორტო აპარატის მუშაკებმა გასულ წელს აღმოაჩინეს 20481 ჩაუწერავი ან რეგისტრაციის გარეშე მცხოვრები პირი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სამისამართო ბიუროს მიერ მიცემული ორიენტირების საფუძველზე ადგილობრივმა ორგანოებმა დაადგინეს და დააკავეს 500 ძეხნილი.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს საპასპორტო განყოფილების მუშაკებმა წელს უკვე შეამოწმეს საპასპორტო რეჟიმის მდგომარეობა რესპუბლიკაში და მოხსენებითი ბარათი გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. ასევე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში ჩატარებული შემოწმების მასალები კოლეგიებზე განსახილველად გაეგზავნათ ამავე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებს.

რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად შემოწმდა აგრეთვე საპასპორტო რეჟიმი ქ. თბილისში, რაც დაკავშირებული იყო დედაქალაქის შემოგარენში მიწების მიტაცებასთან. ამ მიმართებით მუშაობა კვლავაც გრძელდება. კონკრეტული წინადადებები, წერილობითი ინფორმაციები ამ საკითხებზე უკვე გაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. გატარებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად გააქტიურდა საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე, აღმასკომების სხდომებზე, სესიებზე. შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილებები წინადადებებით შედიან ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში საპასპორტო კანონმდებლობის განმტკიცების საკითხებზე, სახავენ ღონისძიებებს საპასპორტო რეჟიმის განხორციელებისა და დამნაშავეობის პროფილაქტიკის ეფექტური გამოყენებისათვის.



# საგანგებო მდგომარეობა

იურისტები მსჯელობენ: როგორი უნდა იქოს კანონი  
მასტრამალური სიტუაციებისათვის

„რესპუბლიკის (ოლქის ან ქალაქის) ტერიტორიაზე შემოღებული კომუნდატის საათი (საბანგებო ან განსაკუთრებული მდგომარეობა)...“ ასეთი ინფორმაცია უბედურების ნიშანია. განსაკუთრებული მოვლენები გვინიშნავს განსაკუთრებულ ზომებს მივმართოთ. მაგრამ რაში გამოიხატება ეს ზომები? კანონმდებლობაში ამაზე პასუხს ვერ ვპოულობთ, თუმცა აშკარაა, რომ ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაშიც კი ადამიანები „კანონის მიხედვით“ უნდა მოქმედებდნენ, მისი დაცვის იგივე უნდა ჰქონდეთ. ამხანაგ მტრ-მართი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საგანგებო ან განსაკუთრებული მდგომარეობის შემსახვ კანონმდებლის შემოშვება, შემდეგ კი მისი საერთო-სახალხო განხილვა.

## მცირე ისტორია

**ვიჩაიხლავ სერიოზინი** — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის სამხედრო სამართლის კათედრის უფროსი:

— 1917 წლის 11 ნოემბერს, როდესაც გენერალმა კრასნოვმა პეტროგრადზე შეტევა დაიწყო, ქალაქის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა საალყო მდგომარეობა გამოაცხადა. შემდგომ საბჭოთა რუსეთის მრავალ ქალაქსა და გუბერნიაში აცხადებდნენ განსაკუთრებულ, სამხედრო, საალყო და ამის მსგავს მდგომარეობებს საგუბერნიო აღმასკომები, თავდაცვის საბჭოები, სამხედრო კომისრები. მიზეზები სრულიად სხვადასხვა იყო: გვალვიდან დაწყებული და „მოსახლეობის შეუვნებლობით“ დამთავრებული. 1925 წლის 3 აპრილს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ პირველად მიიღეს „საერთო-საკავშირო დებულება რევოლუციური წესრიგის დაცვად საგანგებო ღონისძიებათა შესახებ“.

1918, 1924 და 1936 წლების კონსტიტუციებში საგანგებო ღონისძიებები არ იყო მოხსენებული. 1938 წელს მოქმედი კონსტიტუციის 49-ე მუხლში შეაქვთ დამატება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების უფლება ენიჭებოდა. როგორ აყალიბებს ამ საკითხს დღეს მოქმედი 1977 წლის კონსტიტუცია? მასში ნათქვამია, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის დაცვისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისათვის


აცხადებს სამხედრო (ან საგანგებო) წესებს მთელ ქვეყანაში ან ცალკეულ ადგილებში — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

## საჭიროა გარკვეულობა

**ინგა მიხაილშვიძე**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პროფესორი:

— ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება ბოლო შოეფის ტერმინოლოგიაში არსებულ სრულლობას: ერთი ამბობენ — საგანგებო მდგომარეობა, სხვანი — სამხედრო, საალყო, განსაკუთრებული... საზღვარგარეთის კანონმდებლობაში მხოლოდ ერთი კატეგორია არსებობს: საგანგებო მდგომარეობა. ვფიქრობ, სწორედ ამ განმარტებას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. ამის შემდგომ, აუცილებელია მას მიეცეთ ყველა მოქალაქისათვის ნაწილობრივ, იურიდიულად დასაბუთებული განსაზღვრება. მასში სამსახურებრივი სარგებლობის ნორმატიული აქტები არ უნდა ჩაითვალოს, რადგან მათ არა აქვთ კანონის ძალა.

შემდეგ უნდა განისაზღვროს საგანგებო მდგომარეობის შემოღებაზე გადაწყვეტილების მიღების მკაფიო პროცედურა. ეს თავიდან აგვაცილებს საგანგებო ღონისძიებათა უკანონო გამოყენების შესაძლებლობებს. და თუ, მიუხედავად ამისა, კანონიერება მაინც დაირღვევა, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში დამნაშავე პირთა დადგენა არ გაგვიძნელებს.



საჭიროა ჩამოითვალოს ყველა საბაბი, რომელიც საგანგებო მდგომარეობის შემოღებას მოითხოვს, მისი მოქმედების ვადები, იმ ტე-

რიტორიის საზღვრები, სადაც ის მოქმედებს, აგრეთვე, გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა.

**პრობლემის დონი:** სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1966 წელს მიიღო და რატიფიცირებულია სსრ კავშირის მიერ 1974 წელს, გვაუწყებს, რომ თვით საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი თვრამეტ წლამდე ახალგაზრდებისა და ორსული ქალებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე წაშება და სასტიკი, არაადამიანური, პიროვნების ღირსების დამამცირებელი მოპყრობა.

**დინამიკი კონსტრუქციები,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა სახელმწიფო მშენებლობისა და კანონმდებლობის საქავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.

— საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევებს მკაფიოდ განსაზღვრავს კანადის კანონმდებლობა. ამ ქვეყნის 1988 წელს მიღებული კანონი ითვალისწინებს, რომ საგანგებო მდგომარეობა ცხადდება საერთაშორისო კრიზისის ან ომის დაწყების შემთხვევაში საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად. საგანგებო მდგომარეობა „საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად“ ცხადდება სტიქიური უბედურებებისა და სამარეწველო კატასტროფების დროს, რომელიც ხელისუფლებას ევაკუაციის, გადაადგილების შეზღუდვისა და საკუთრების ჩამორთმევის შესახებ ბრძანებების გამოცემის უფლებას აძლევს. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევამ, რომელიც რეალურად ემუქრება ეროვნულ უსაფრთხოებას, შეიძლება გამოიწვიოს კრებებისა და მიტინგების ჩატარების აკრძალვა, უწყსრიგობის რაიონებში გადაადგილების უფლების შეზღუდვა. საერთაშორისო კრიზისის შემთხვევაში მთავრობას უფლება აქვს გააკონტროლოს სამარეწველო საწარმოთა საქმიანობა, აუკრძალოს მოქალაქეებს ქვეყნიდან გასვლა, ჩამოართვას საკუთრება, სასამართლოს გარეშე დართოს ჩხრეკისა და დაკავების ნებართვა. ომის შემთხვევაში მთავრობას შეუძლია გამოსცეს ნებისმიერი ბრძანება, რომელსაც ის „აუცილებლად ან სასურველად“ მიიჩნევს.

**ვინ და როგორ აცხადებს საგანგებო მდგომარეობას**

**ფელიქს რაშბინიკოვი,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა სახელმწიფო მშენებლობისა და კანონმდებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი:

— საგანგებო მდგომარეობის ინსტიტუტ დაახლოებით ოთხმოც ქვეყანაში არსებობს.

ბევრგან იგი კონსტიტუციურადაა განმტკიცებული. უმეტეს ქვეყნებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების უფლება აქვს სახელმწიფოს მეთაურს, უმრავლეს მთავანში ამისათვის პარლამენტის თანხმობაა საჭირო. ამ თანხმობის მიცემის ვადები სხვადასხვაა: ორმოცდარვა საათიდან ერთ თვემდე.

**ლევ სიმპინი,** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საქავშირო ინსტიტუტის კათედრის გამგე:

— საგანგებო მდგომარეობის შემოღების მკაფიო რეგლამენტის უქონლობას არცთუ იშვიათად ტრაგიკულ შედეგებამდე მიყვება. ცნობილია, რომ თბილისში მიტინგის დასაწყობლად ჯარების შესაძლებელი გამოყენების შესახებ მომიტინგეები ქართული ეკლესიის მეთაურმა ილია II გააფრთხილა და რატომღაც ეს არ გააკეთეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. კანონში, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, აუცილებელია განისაზღვროს, თუ ვინ და როგორ უნდა გააფრთხილოს მოსახლეობა საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. თბილისში საკომენდატო საათი მის შემოღებამდე მხოლოდ რამოდენიმე წუთით აღარ გამოცხადდა — მან კი დაუყოვნებლივ გამოიწვია მსხვერპლი.

**„ბონიერი თოვოს“ დოქტრინა**

**ანატოლი მაილიკოვი,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პროფესორი:

— კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი საკანონმდებლო განმტკიცებას რომ მოითხოვს, ესაა ხელისუფლების ვალდებულება დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს, რომელნიც საგანგებო მდგომარეობის დროს დაზარალებულნი. ამასთან, ნორმატიულ აქტში აუცილებლად უნდა აღინიშნოს პასუხისმგებლობა ხელისუფლების კანონიერი მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევანზე. ვთქვათ, წყალდიდობის დროს დაზარებულთა გადასარჩენად საჭირო მოსახლეობისაგან ტურის საშუალებათა ამოღება. ასეთ დროს მოქალაქეთა წინააღმდეგობამ შეიძლება მრავალი ადამიანის სიკვდილი გა-

მოიწვიოს. რასაკვირველია, ამასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს კომპენსაციის ნორმები რეკვიზირებულთათვის.

**ფ. რეზერვაციო:** ბრძანების შემსრულებელთა პასუხისმგებლობა საყოფადღებო პრობლემაა. თბილისში მიტინგის დროს სისანგრე ნიჩბებით „მოქმედება“, ალბათ არავის უბრძანებია. მაგრამ რა ბრძანება გაიცა და რომელ ეტაპზე, რომელიც ამ სახით შესრულდა, გაურკვეველია. საზღვარგარეთის სისხლის სამართალში არსებობს დოქტრინა, რომელიც ბრძანების უსიტყვო შესრულებას დაადებს: მის გამო პასუხს მხოლოდ ბრძანების გამცემი აგებს, შემსრულებელს კი ბრძანების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა. ამ დოქტრინას არ ეთანხმება „გონიერი თოფის“ დოქტრინა. ამ უკანასკნელის მიხედვით, ყოველი ჭარისკაცი ან პოლიციელი, რომელიც ბრძანებას მიიღებს,

უნდა დაფიქრდეს, კანონიერია თუ არა ის, შესაბამება თუ არა სამართლის, კონსტიტუციის ნორმებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს: ღირს თუ არა მისი შესრულება. ჩემის აზრით, კემმარიტება ამ ორ უკიდურესობათა შორისაა მოქცეული. იგი გამოიხატება მესამე დოქტრინაში — თუ გაცემული ბრძანება აშკარად დანაშაულებრივი, კანონსაწინააღმდეგო ხასიათისაა, პასუხისმგებლობა მის შემსრულებელსაც ეკისრება.

**ვ. ხერიოგინი:** სწორედ ასეთი მითითება გამოიკვეთა წითელი არმიის 1924 წლის წესდებაში: აშკარად დანაშაულებრივი ბრძანების შესრულება კანონით ისჯებოდა. თუმცა, ამჟამად სამხედრომოსამსახურე ვალდებულია აუცილებლად შეასრულოს ბრძანება. რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში სამხედრომოსამსახურეთა მონაწილეობის საკითხს, ჩვენთან ის საერთოდ არ არის რეგლამენტირებული.

**პროკლემის დონიე:** საერთაშორისო პაქტის IV მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, რომელმაც საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობოს ამ პაქტის ხელმომწერი სხვა სახელმწიფოებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, ასეთი გადაწყვეტილების მიღების გამომწვევი მიზეზების შესახებ.

**ბორის ქურაშვილი,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი:  
— შე ვთვლი, რომ კანონმა საგანგებო მდგომარეობის შესახებ მკვეთრად უნდა გამოიჩინოს არმიისა და შინაგანი ჯარების ფუნქციები. სსრ კავშირის კონსტიტუციის 31-ე მუხლით არმიის მოვალეობაა ქვეყნის დაცვა ავტომატურად. ამ ფუნქციითაა გაფართოება საშიშია.

**ლ. სიმაკინი:** ვფიქრობ, შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, რომელიც არმიის სასწრაფოდ ჩარევას მოითხოვს. გავიხსენოთ სუმგაითი. თუმცა, საჭიროა მითითებულ იქნეს ასეთი ჩარევის ყველა პირობა. 1988 წლის 18 ივლისის ბრძანებულება, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად შინაგანი ჯარების გამოყენების უფლებას იძლევა, განსაკუთრებულ შემთხვევებში სპეციალური საშუალებების გამოყენებასაც ითვალისწინებს. სავსებით არანორმალურია, რომ ასეთ საშუალებათა ნუსხა და მათი გამოყენების წესი კანონით კი არა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს. სხვათაშორის, ჯერჯერობით ასეთი აქტიც კი არ არსებობს.

**ბ. ყურაშვილი:** მოსახლეობასთან შეტაკებისას არმიის მოქმედება მინიმალური საკმარისობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. თბილისში ეს პრინციპი უხეშად დაირღვა. საკმარისი იყო მომიტინგეთა გარეკვა, მათ კი ხოცვა-ყლეტა მოაწყეს. რა თქმა უნდა, ჭარისკაცებისათვის არავის უბრძანებია ადამიანთა მოკვლა, მაგრამ ისინი სათანადოდ შეაიარაღეს, ინსტრუქტაჟი გაუწიეს. ყოველივე ამან ისინი შესაბამისად განაწყო და მოედანზე „საბჭოთა ხელისუფლების გადასარჩენად“, ხალხის დასაცვლად მოვიდნენ. ჩემის აზრით, სრულიად გამართლებელი იყო მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ რუსი სამხედრომოსამსახურეების გამოყვანა. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსაყენებელი ჯარები იმავე ეროვნების ხალხისაგან უნდა შედგებოდეს, რომლისგანაც შესაბამისი რეგიონის მოსახლეობა. არსებობს საწინააღმდეგო აზრი: ასეთ შემთხვევაში შინაგანმა ჯარებმა შეიძლება უარი განაცხადონ ხელისუფლების ბრძანებების შესრულებაზე. თუ მსგავსი რამ მოხდება, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ხალხის ნდობა არ გააჩნია, ხოლო მისი ბრძანება სახალხო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ქართული საგარეოლის ისტორიის ფურცლები

ილია ჭავჭავაძის უმთავრესად ვიცნობთ, როგორც მწერალს; მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატსა და პუბლიცისტს. ისიც ცნობილია, რომ მას უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდა და ერთხანს მუშაობდა კიდეც მომრიგებელ მოსამართლედ. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ იგი ავტორია ერთი იურიდიული მეცნიერული გამოკვლევისა — „სანოტარო დებულების 168-ე მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ“, რომელიც პირველად გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა რუსულად. სამწუხაროა, რომ დღემდე იგი ქართულად არავის უთარგმნია.

დღეს კი მკითხველებს ვთავაზობთ პროფ. ვ. აბაშაძის წერილს ამ საკითხზე და მის მიერვე თარგმნილ ილია ჭავჭავაძის დასახელებულ იურიდიულ გამოკვლევას; რაც ერთხელ კიდევ მიგვახიზნებს იმ დიდ წვლილზე, რაც ილია ჭავჭავაძემ შეიტანა რუსულ და ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში.

# ილია ჭავჭავაძის ერთი იურიდიული გამოკვლევის გამო

ვახტანგ აბაშაძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა (ლიტერატურული ნაწარმოებები, პუბლიცისტური წერილები და ა. შ.) გამთლიანებულია თავისი დროისათვის პროგრესული მსოფლმხედველობით, რომლის წყაროს წარმოადგენს, როგორც ქართველი, ასევე სხვა ქვეყნების ხალხთა მიერ შემუშავებული მოწინავე ჰუმანისტურ-რევოლუციური მოძღვრებები. ეს მსოფლმხედველობა უაღრესად მეცნიერულია და მიმართულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების რეორგანიზაციისაკენ. იგი არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტილ აბსტრაქტულ მოსაზრებათა კრებულს, რადგან საზოგადოების პროგრესთან ერთად ი. ჭავჭავაძე მას სისტემატურად სრულყოფდა და ავითარებდა. საზოგადოებრივი ცხოვრების შეუსაბამო და ამდენად, მოძველებული მოსაზრებები ილიას მსოფლმხედველობაში ყოველთვის ახლდებოდა, ამიტომ იგი მუდამ ცხოვრებისეულად და პროგრესულად მოჩანს. ამ თავისებურებათა შესახებ ილია თვითონვე წერდა: „მე შორს, ფილოსოფიის მორევში არ შევდივარ... მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჯრი, აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: უამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას“<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძის ამ ორიგინალურ მსოფლმხედველობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამართლებრივ ფენომენებს. ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა სიუჟეტური ეპიზოდები ძალიან ხშირად შეკავშირებულია პროგრესული სა-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული. ტ. 5. გვ. 33-34.



მართლებრივი იდეებითა და დებულებებით, რომლებიც ადამიანებს აქვებს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების, კაცობრიობის წინსვლისა და ბედნიერი ცხოვრებისაკენ. ი. ჭავჭავაძის ნოთხობა „სარჩობელაზედ“ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სამართლებრივი წესით დასჯადი ფაქტებიდან მხოლოდ ერთ-ერთის უბრალო კონსტატაცია იქნებოდა, მას საფუძვლად რომ არ ედოს მწერლის უაღრესად ჰუმანისტური და პროგრესული იურიდიული დებულება: ქურდზე უფრო დიდი დამნაშავე ის საზოგადოებაა, რომელიც აიძულებს ადამიანს იქურდოს. რა თქმა უნდა, ილიას ეს სამართლებრივი დებულება არ გამომდინარეობს არცერთი ეპოქის პოზიტიური სამართლისაგან და ამიტომაც მხოლოდ ამ პროგრესული სამართლებრივი აზრის მიხედვით სასამართლოებს არასდროს გადაუწყვეტიათ კონკრეტულ პირთა მიერ ჩადენილი ქურდობის საქმეები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სამართლებრივ დებულებას ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა სულიერი ცხოვრების სრულყოფისათვის. კერძოდ, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში იგი მოუწოდებს და სწავლის საზოგადოებას ადამიანებზე ზრუნვას, განსაზღვრავს საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულების ჰუმანისტურ საფუძვლებს. იგივე შეიძლება ითქვას ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობზე“, „მგზავრის წერილებზე“, „ოთარაანთ ქვრივზე“ და ა. შ.

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ფორმითაც და შინაარსითაც რთული კონსტრუქციისაა, იგი ემყარება საზოგადოების მოწინავე იდეებსა და მოძღვრებებს და გადმოცემულია, როგორც მხატვრული ნაწარმოებების, ასევე პუბლიცისტური წერილების, პოლიტიკურ-სამართლებრივი თხზულებების ფორმით. მწერლის მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტური წერილები და პოლიტიკურ-სამართლებრივი თხზულებები თითქმის მთლიანად გამოქვეყნებულია, ისინი ძირითადად მხოლოდ ქართულადაა დაწერილი და დავას არაფერი იწვევს, მაგრამ ზოგიერთი პუბლიცისტური წერილი და პოლიტიკურ-სამართლებრივი თხზულება ილიას თვითონვე რუსულად აქვს დაწერილი. მათი ნაწილი სამწუხაროდ ქართულად დღემდე თარგმნილი არ არის და ქართველ მკითხველთა ფართო მასა მოკლებულია შესაძლებლობას მშობლიურ ენაზე გაეცნოს მათ; კერძოდ კი ილიას ამა თუ იმ შეხედულებას, ურომლისოდაც შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ დიდი მოაზროვნის ორიგინალურ, ცხოვრებისეულ და რთული კონსტრუქციის მსოფლმხედველობაზე.

ილიას მიერ რუსულად დაწერილ ასეთ ნაწარმოებთა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გაზეთ „კავკაზში“ 1875 წელს გამოქვეყნებული მისი იურიდიული თხზულება, რომელიც ასეა დასათაურებული: „168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом“<sup>2</sup>.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, ნაწარმოები ეხება სამოქალაქო კანონმდებლობის ერთ-ერთ არსებით შემადგენელ ნაწილს, კერძოდ, სანოტარო დებულებას და მისი ცალკეული ნორმების შეფარდებას საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული შემთხვევების დროს. ამჭერად ჩვენთვის საინტერესო არ არის იმის აღნიშვნა, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი კონკრეტული ფაქტის სამართლებრივ რეგულირებაზეა ლაპარაკი. ილიას ამ

<sup>2</sup> Газ. «Кавказ», 1875 г., №№ 55, 56, 57.

წერილში, ეს ფაქტი ცნობილი და გარკვეულია. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, თუ რა ახალი ელემენტები შეაქვს ილიას მსოფლმხედველობაში მის მიერ რუსულად დაწერილ ამ თხზულებას. აზრის სიღრმით, თხრობის მაღალი აკადემიურობით, პოზიტიური სამართლის და იმდროინდელი იურიდიული მეცნიერების შესანიშნავი ცოდნით, საზოგადოებრივი ცხოვრების რთული შემთხვევებისადმი სამართლის ნორმის მისადაგების უტყუარი ალლოთი, სამართლის ნორმებში გადმოცემული კანონმდებლის აზრის ზუსტად დადგენით და ახსნა-განმარტებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლებრივი ზემოქმედების მექანიზმის განსაზღვრით და სამართალთან სხვა სოციალური ფენომენების ურთიერთობის გარკვევით ი. ჭავჭავაძის ეს ნაწარმოები კლასიკური იურიდიული თხზულებაა. როგორც ნაშრომიდან ჩანს, ილია არა მარტო შესანიშნავად იყო დაუფლებული იურიდიული მეცნიერების ურთულეს პრობლემებს, არამედ იგი ღრმად ერკვეოდა სამართლის თეორიისა და პრაქტიკის სადავო საკითხებში.

უპირველესად, ამ თხზულებაში ყურადღებას იპყრობს ი. ჭავჭავაძის მაღალი იურიდიული განათლება. ამის დასტურია საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მხარეების განსაზღვრის დროს გამოყენებული ისეთი ზუსტი იურიდიული ტერმინებისა და დახვეწილი ფორმულირებების გამოყენება როგორცაა: იურიდიული პრაქტიკა, უძრავი ქონება, მფლობელი, განკარგვა, გაცვლა და მისი საგანი, საკრედიტო მიმოქცევა, საკუთრების სამართალი, ზახსვისება, კანონმდებლის საერთო აზრი, იურიდიული საწყისები, უფლების განმტკიცება ნივთზე, სამიჯნო აქტები, სიმტკიცის აქტი, კანონის ახსნა-განმარტება და მისი სახეები (გრამატიკული, ლოგიკური, სისტემური და ა. შ.), სამართლებრივი ინსტიტუტი, კანონის შეფარდება და გამოყენება, ხარვეზის შევსება სამართალში, სამოქალაქო გარიგება, კანონმდებლისა და პირის ნება, სამართლებრივი საფუძველი, დამკვიდრების აქტი და ა. შ.

რაც შეეხება სამართლებრივ ფორმულირებებს, ისინი ზემოთ აღნიშნულ იურიდიულ თხზულებაში ან თვითონ ილიას მიერაა ჩამოყალიბებული სამართლებრივი ტერმინების ორიგინალური გააზრების შედეგად კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოსახატავად ან იგი მოხდენილად იყენებს უკვე ცნობილ იურიდიულ ფორმულირებებს, რომლებიც ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ცალკეულ პროცესზე გვაძლევს წარმოდგენას. ასეთ სამართლებრივ ფორმულირებებს განეკუთვნება ილიას მითითება იმის შესახებ, რომ სამართლის შეფარდებისას გარკვეული უნდა იყოს საკითხი იმის შესახებ „თუ კანონით ნებადართულ და მოწონებულ რა პირობების არსებობისას შეუძლია უძრავი საკუთრების მფლობელს განკარგოს იგი, როგორც გაცვლისა და საკრედიტო მიმოქცევის საგანი“. აქვე მნიშვნელოვანია ილიას მიერ ჩამოყალიბებული შემდეგი სამართლებრივი დებულებები: „მფლობელის კუთვნილი განკარგვის უფლება არის საკუთრების სამართლის არსებითი ნაწილი“, „მოქმედი კანონმდებლობის აზრით საკუთრების სამართალი ემყარება საზოგადოებრივი წესრიგისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიზნებს“, „სასამართლომ საქმე არ უნდა გადაწყვიტოს მფლობელისათვის მეტის-მეტად შემავიწროებელი და დამამძიმებელი აზრით, რადგან იგი გამართლებული არ არის არც კანონმდებლობის საერთო აზრით, რომელიც სახელმძღვანელო იუ-

რიდიული საწყისია და არც კერძო კანონით, რომელიც დადგენილია ამა თუ იმ საგნის მიმართ“, „სამოქალაქო გარიგება სხვა არაფერია თუ არა კანონით ნებადართული კერძო პირთა ნებით ახალ შესაქმნელი განსაზღვრული ურთიერთობების დამყარება“ და ა. შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ილიას მიერ რუსულად გამოქვეყნებული ამ იურიდიული თხზულების მნიშვნელობა ისიცაა, რომ მასში ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის რეალიზაციის ძირითადი თეორიული პრობლემები და მოქმედი კანონმდებლობის ჭეშმარიტი სულისკვეთებითაა გადაწყვეტილი თბილისის საოკრუგო სასამართლოში წამოჭრილი საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული ფაქტი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლოში სანოტარო დებულებების 168-ე მუხლის არასწორი შეფარდების დასადგენად საქმარისა სასამართლოს გადაწყვეტილება შემოწმდეს იურიდიული მეცნიერების მიერ შემუშავებული იმ უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულებებით, რომლებითაც სამართლის შემფარდებელმა უნდა იხელმძღვანელოს საქმეების გადაწყვეტისას.

უპირველესად, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, სამართლის ნორმები, რომლებიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ, მიზნად ისახავენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებას და ამ ნორმებით ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილე სამართლის სუბიექტები. სამართალი კი რთული სოციალური ფენომენია. მართალია ადამიანები ასრულებენ და იყენებენ ამ ნორმებს, მაგრამ ზოგჯერ მათი შესრულება და გამოყენება ვერ ამოსწურავს მთლიანად სამართლის რეალიზაციის ცნებას. უფრო მეტიც, ზოგიერთი კატეგორიის საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისი ბუნებით ისეთია, რომ სამართლის სუბიექტებს შორის კონფლიქტური სიტუაციის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტულ ფაქტს შეუფარდოს შესაბამისი სამართლის ნორმა და თვითონ გადაწყვიტოს სადავო საკითხი. სასამართლოს გადაწყვეტილება კი ყოველთვის უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და გამომდინარეობდეს კანონმდებლობიდან. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლოს გადაწყვეტილება მცდარია, რადგან იგი სამართლის ნორმის შეფარდების ამაჟუცხლებელ მოთხოვნას უგულებელყოფს. ამის ნათელსაყოფად იგი ზემოაღნიშნული თხზულების განხილვის საგნად ირჩევს იმის სწორად განსაზღვრას, კანონით ნებადართულ და მოწონებულ პირობებში თუ შეუძლია უძრავი საკუთრების მფლობელს განკარგოს იგი, როგორც გაცვლისა და საკრედიტო მიმოქცევის საგანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მფლობელს რა პირობებში შეუძლია გამოავლინოს თავისი კუთვნილი განკარგვის უფლება, რომელიც საერთოდ საკუთრების სამართლის არსებით ნაწილს შეადგენს, კანონიერი საშუალებებით თავისი უძრავი ქონების გასხვისების ან მასზე უფლების შეზღუდვის დროს. ი. ჭავჭავაძის აზრით, სამართალი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფას, ამიტომ შეუძლებელია კანონმდებლის ან სახელმძღვანელო ნების საწინააღმდეგოდ შეიზღუდოს მესაკუთრისათვის სამართლით მინიჭებული უფლებები. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაიქცევა სამართლის ზემოქმედების ხელისშემშლელ დაწესებულებად, იგი ვეღარ შეასრულებს თავის დანიშნულებას. საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის სამართლის ნორმის არასწორი შეფარდება ძირს უთხრის კანონი-

ერებას. ილია ჭავჭავაძის მტკიცებით, სასამართლო პრეცედენტს დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში, მაგალითად, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი რომელიმე კონკრეტული შემთხვევისათვის სამართლის ნორმის არასწორი შეფარდება შეიძლება გახდეს მცდარი პრეცედენტი, რასაც შედეგად მოჰყვება სხვა სასამართლოთა მიერ ანალოგიური საქმეების არასწორი გადაწყვეტა. ილია მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლომ არასწორად შეუფარდა სანოტარო დებულების 168-ე მუხლში კანონმდებლის მიერ დადგენილი სამართლის ნორმა, რამაც უკვე შექმნა მცდარი სასამართლო პრეცედენტი. ეს კი, რა თქმა უნდა, უარყოფით როლს შეასრულებს ერთიანი კანონიერების დაცვაში. ილია წერს: „საოკრუგო სამართლის მიერ გადაწყვეტილი საკითხი მართალია ეხება მხოლოდ ცალკეულ და ერთეულ შემთხვევას, მაგრამ არაფერი არ დაგვიცავს იმ საფრთხისაგან, რომ მსგავსი საკითხი მომავალშიც ასე არ იქნება გადაწყვეტილი ბევრი სხვა ამგვარი შემთხვევის მიმართაც... მხოლოდ თბილისის გუბერნიისათვის საადგილმამულო კრედიტის უკიდურესი საჭიროებისა და ამ გუბერნიის თავდაზნაურობის სასიკეთო ცდის გამო, მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობისათვის, სახალხო ეკონომიკური კეთილდღეობის წინსვლის გზაზე ამ ძლიერი ეკონომიკური ძალისათვის, კრედიტის გახსნის თაობაზე აღნიშნული საკითხის გამოყენების შემთხვევები არ გამოიღევა. თავის მხრივ კრედიტის კარებში მესაკუთრის შესვლის ცდისას თუ კარები გადაღობილი იქნება კანონების არასწორი შეფარდებითა და ახსნა-განმარტებით საკუთრების სამართლის ერთ-ერთი ნაწილის მიმართ, მაშინ კრედიტის თავისუფალი მიმოქცევა, რომელიც ასე მგრძნობიარეა ყოველგვარი შარისა და შევიწროებისადმი, მისი შეუწავსებელი დახმარება მთავრობებისა და ხალხების მისწრაფებაში ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებისაკენ, დარჩება მხოლოდ და მხოლოდ სასურველ, მაგრამ მიუღწეველ ოცნებად“.

ი. ჭავჭავაძის აზრით, სამართლის ნორმის შეფარდება რთული პროცესია და იგი მოითხოვს საამისოდ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მოქმედებას მხოლოდ კანონის შესაბამისად. ამიტომ სამართლის რეალიზაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართლის ნორმაში გადმოცემული კანონმდებლის ნებისა და აზრის გაგებას, იმის შეცნობას, რასაც კანონის ახსნა-განმარტება ეწოდება და შეიძლება მიღწეულ იქნეს სამართლის ნორმის შემფარდებლის განსაკუთრებული საქმიანობით. აკი წერს კიდევ ილია: „კანონი რომ შევეფარდოთ კანონმდებლის ნებასა და განზრახვას იგი უნდა გავიგოთ, მაგრამ მისი გაგება არ შეიძლება იმ საქმიანობის გარეშე, რომელიც მიმართულია კანონის აზრის გარკვევისა და მიკვლევისაკენ და რომელსაც ახსნა-განმარტება ეწოდება. სწორედ სასამართლოს ამ არსებით საქმიანობაში გამოიხატება ჩვენი აზრით, მართლმსაჯულების სწორი განხორციელების მთელი გარანტია“.

ი. ჭავჭავაძის ეს იურიდიული თხზულება, რომლის ქართული თარგმანი რუსულიდან პირველად ქვეყნდება, მნიშვნელოვნად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის მრავალმხრივ განათლებაზე. ილიას ვიცნობთ როგორც მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატს, დიდ მოაზროვნესა და მწერალს, ქართველი ხალხის სულიერ მამასა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს. წინამდებარე იურიდიული თხზულება კი ცხადყოფს იმასაც, რომ ილია იურიდიულ მეცნიერებაშიც გამოირჩეოდა

კვალიფიციური ცოდნით, სისადავითა და აზრის სიღრმით. ამის დასტურია წინამდებარე მისი ერთ-ერთი იურიდიული ნაშრომი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს მას, როგორც სწავლულ იურისტს, სამართლის მეცნიერების თვალსაჩინო მკვლევარს. გამორიცხული არ არის მომავალში კიდევ აღმოჩნდეს ილია ჭავჭავაძის სხვა იურიდიული თხზულებებიც, რაც ალბათ უფრო მეტ წარმოდგენას მოგვცემს მასზე, როგორც იურისტზე. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს წინამდებარე თხზულების პირველი თავის ბოლოს თვით ილიას მიერ სქოლიოში გაკეთებული შენიშვნა იმის შესახებ, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ სანოტარო დებულების 168-ე მუხლის შეფარდება „უაღრესად საინტერესოა ბევრ სხვა ურთიერთობაშიც. ამ უკანასკნელის აზრით, ჩვენ ვფიქრობთ ამ გადაწყვეტილების განხილვას, მაგრამ ეს იქნება არა ამისი, არამედ უკვე ცალკე სპეციალური წერილის საგანი“. ჩვენ არ ვიცით გამოაქვეყნა თუ არა ილიამ დაპირებული წერილი, მაგრამ იურიდიული თხზულება, რომლის ქართულ თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველებს, ნათლად ცხადყოფს, რომ მისი ავტორი ი. ჭავჭავაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსული იურიდიული აზროვნების დიდი წარმომადგენელია. ისიც ცნობილია, რომ ილია ერთხანს მოსამართლე იყო და მართლმსაჯულების პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ იურიდიულ თხზულებას, „სანოტარო დებულების 168-ე მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ“, ახალი ელემენტები შეაქვეს გამოჩენილი ქართველი მწერლის პიროვნების შეფასებაში და გარკვეულწილად უტოლდება კიდევ ამ ეპოქის გამოჩენილ რუს სწავლულ იურისტებს ტაგანცევს, კოვალევსკის, პობედონოსცევს და სხვებს, რომლებთან ერთადაც იგი მტკიცედ იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა უკეთესი მომავლისათვის სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში.

## სანოტარო დებულების 168-ე მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ\*

I

1875 წლის 7 აპრილით დათარიღებული თბილისის საოკრუგო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც „ტიფლისისკი ვესტნიკის“ ორმოცდამეშვიდე ნომერში დაიბეჭდა, ჩვენს იურიდიულ პრაქტიკაში ისეთი მოვლენაა, რაც შეუძნეველი არ შეიძლება დარჩეს. იგი ურადლებას იყარობს მრავალი მიზეზების, უმთავრესად კი მასში აღძრული და გადაწყვეტილი საკითხის მნიშვნელობის გამო.

ამ გადაწყვეტილებით აღძრული საკითხი მთლიანად ეხება იმას, თუ კანონით ნებადართულ და მოწონებულ რა პირობების არსებობისას შეუძლია უძრავი საკუთრების მფლობელს განკარგოს იგი, როგორც გაცვლისა და საკრედიტო მიმოქცევის საგანი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მფლობელს რა პირობებში შეუძლია გამოავლინოს თავისი კუთვნილი განკარგვის უფლება, საკუთრების სამართლის ეს არსებითი ნაწილი, კანონიერი საშუალებით თავისი

\* ქართულად იბეჭდება პირველად.



უძრავი ქონების განსხვებების ან მასზე უფლების შეზღუდვის სურვილის დროს. საოკრუგო სასამართლომ ერთ-ერთ ესოდენ მნიშვნელოვანი სამოქალაქო უფლების, კერძოდ, საკუთრების უფლების საკითხი, რომელზეც მოქმედი კანონების აზრით დაფუძნებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძვლები, გადაწყვიტა მფლობელისათვის მეტი-მეტად შევიწროებული და ამასთან ერთად დამამძიმებელი აზრით. ეს აზრი გამართლებული არ არის არც კანონმდებლობის საერთო სულით, როგორც სახელმძღვანელო იურიდიული საწყისით და არც კერძო კანონებით, რომლებიც დადგენილია ამ საგნის მიმართ.

საოკრუგო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საკითხი მართალია ეხება მხოლოდ ცალკეულ და ერთეულ შემთხვევას, მაგრამ არაფერი არ გვიცავს იმ საფრთხისაგან, რომ მსგავსი საკითხი მომავალშიც ასე არ იქნება გადაწყვეტილი ბევრი სხვა ამგვარი შემთხვევის მიმართაც.

მხოლოდ თბილისის გუბერნიისათვის საადგილმამულო კრედიტის უკიდურესი საქიროებისა და ამ გუბერნიის თავდაღწაურობის სასიკეთო ცდის გამო მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობისათვის, სახალხო ეკონომიკური კეთილდღეობის წინსვლის გზაზე ამ ძლიერი ეკონომიკური ძალისათვის, კრედიტის კარების განხრის თაობაზე აღნიშნული საკითხის გამოყენების შემთხვევები არ გამოიღვევა. თავის მხრივ კრედიტის კარებში მესაკუთრის შესვლის ცდისას თუ კარები გადაღობილი იქნება კანონების არასწორი შეფარდებითა და ახსნა-განმარტებით საკუთრების სამართლის ერთ-ერთი არსებითი ნაწილის მიმართ, მაშინ კრედიტის თავისუფალი მიმოქცევა, რომელიც ასე მგრძობიერია ყოველგვარი შარისა და შევიწროებისადმი, მისა შეუხანაცვლებელი დახმარება მთავრობებისა და ხალხების მისწრაფებაში ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებისაკენ დარჩება მხოლოდ და მხოლოდ სასურველ, მაგრამ მიუღწევლ ოცნებად.

აი, არსებითად რატომ მივაქციეთ ყურადღება თბილისის საოკრუგო სასამართლოს 7 აპრილის გადაწყვეტილებას და უფლება გვქონდა გვეთქვა ჩვენი სტატიის დასაწყისშივე, რომ იგი ჩვენს იურიდიულ პრაქტიკაში ისეთი მოვლენაა, რომელიც არ შეიძლება არ იქნას შემჩნეული.

საოკრუგო სასამართლომ გადაწყვიტა რა ზემოაღნიშნული საკითხი მესაკუთრისათვის შემაჯიწროებელი და ამასთან ერთად, კანონით გაუმართლებელი აზრით, თავისი გადაწყვეტილების ძირითად პუნქტად წამოაყენა სანოტარო დებულების 187-ე და 188-ე მუხლები, X ტ. I ნაწილის მთელი რიგი მუხლები და აქედან გამომდინარე გამოიტანა ასეთი კატეგორიული დასკვნა:

უფროსი ნოტარიუსი, ვიდრე იგი შეასრულებდეს ან დაამტკიცებდეს რაიმე აქტს უძრავი ქონების გადაცემის ან დაგირავების შესახებ, ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ გადასაცემი ან დასაგირავებელი ქონება გამსხვისებული ან დაშვარავებული მხარის კუთვნილებაა და იგი მოვალეა ამაში დარწმუნდეს არა მარტო სიმტიციის წესით შესრულებული მხოლოდ უფლების დამკვიდრების აქტით, არამედ სამიჯნო აქტებითაც, რომლებიც მითითებულია ამიერკავკასიის მხარის გამოქვეყნის შესახებ დებულების 299-ე მუხლში.

ამ უკანასკნელი დებულების დასადასტურებლად საოკრუგო სასამართლომ შესაძლებლად ჩათვალა დემოწმებინა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, X ტ. I ნაწილის საქმესთან სრულიად დაუკავშირებელი, უბრალოდ ჩამოთვლილი მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ამიტომაც გაუგებარია თუ იგი რისთვისაა მოტანილი გადაწყვეტილებაში.

II

ჩვენი მხრივ დადებითად ვაცხადებთ, რომ ამ დასკვნას არა აქვს არავითარი კანონიერი საფუძველი და ამიტომაც იგი არასწორია. ამაში აღვილად დარწმუნდებოდა ყველა, ვინც თუნდაც ზერელედაა დაუფლებული იურიდიულ განათლებას, კანონში გამოხატული სიტყვების და გამოთქმების გრამატიკული განსაზღვრის, აზრებისა და ცნებების ლოკიკური შეპირისპირების გზით კანონის წანამძღვრების დაახლოებისა და აზრის დადგენის გარკვეულ ჩვეებს. უკვე არაფერს ვამბობ იმათზე, რომელთაც სერიოზული და სოლიდური განათლებით გავარჯიშებული აქვთ უნარი განსაზღვრონ კანონის აზრი კანონმდებლობის სხვა დადგენილებებთან იმ შინაგანი კავშირით, რომელიც აერთიანებს ერთ მთელად მოცემულ საკითხებზე ყველა სამართლებრივ ინატიტუტსა და სამართლებრივ წესს.

სამწუხაროდ, საოკრუგო სასამართლომ მოცემულ შემთხვევას შეუფარდა კანონის მთელი რიგი მუხლი მათი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და, რა თქმა უნდა, უბრალოდ ჩა-

1 თუმცა იგი, უადრესად სანტერესოა ბევრ სხვა ურთიერთობაშიც. ამ უკანასკნელი აზრით, ჩვენ ვფიქრობთ ამ გადაწყვეტილების განხილვას, მაგრამ ეს იქნება არა ამისი, არამედ უკვე ცალკე სპეციალური წერილის საგანი.

მოთვლილი X ტ. I ნაწილის მუხლების მთელი გრძელი წყობა ერთ რიგად და ამასთან საქმესთან დაუკავშირებლად ვერ ავსებს ამ ძირითად ხარვეზს; ამ ახსნა-განმარტების არ არსებობას. ამიტომ ჩვენ მოკლებული ვართ სიამოვნებას, თვალი გავადევნოთ რა მოსაზრებების გზით მივიდა საოკრუგო სასამართლო თავის კატეგორიულ დასკვნამდე. კანონი რომ შევფარდოთ კანონმდებლის ნებისა და განზრახვის შესაბამისად, იგი უნდა გავიგოთ, მაგრამ მისი გაგება არ შეიძლება იმ საქმიანობის გარეშე, რომელიც მიმართულია კანონის აზრის გარკვევისა და მიკვლევისაკენ და რომელსაც ახსნა-განმარტება ეწოდება. სწორედ სასამართლოს ამ არსებით საქმიანობაში გამოიხატება ჩვენი აზრით, მართლმსაჯულების სწორი განხორციელების მთელი გარანტია.

ის, რაც აკლია ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას, შევცდებით შევავსოთ და ვფიქრობთ ამის შემდეგ ყველა დარწმუნდება, რომ ამაზე საოკრუგო სასამართლოს თვითონ რომ ეზრუნა, მაშინ იგი არ მივიდოდა იმ კატეგორიულ დასკვნამდე, რაზედაც ლაპარაკია. ამისათვის თავდაპირველად გავარკვიოთ სამოქალაქო გარიგების საერთო სამართლებრივი მნიშვნელობა და მასთან კავშირში ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს დანიშნულებაც.

სამოქალაქო გარიგება სხვა არაფერია, თუ არა კანონით ნებადართული კერძო პირთა ნებით ახალ შესაქმნელი განსაზღვრული ურთიერთობების დამყარება. სამოქალაქო გარიგების მნიშვნელობის ამ განსაზღვრიდან ჩანს თვით ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ძალაუფლების დანიშნულებაც და საზღვრებიც, რომელსაც მხოლოდ სპეციალურად იმის უფლებამოსილება აქვს, რომ ამ ხელისუფლების ავტორიტეტით დაამოწმოს კანონით ნებადართული ყოველგვარი სამოქალაქო გარიგება, რომელიც მხოლოდ კერძო პირთა ნების გარეშე არ წარმოიშობა და არ ხორციელდება. მაშასადამე, ნოტარიუსის უფლებები და მოვალეობები უნდა გამოვლინდეს მხოლოდ იმ პირობების მიმართ, რომელთაგან უაღიბდება გარიგების შესრულების შესაძლებლობა, ე. ი. იმის მიმართ, დასამყარებელი გარიგება ნებადართულია თუ არა კანონით და იქნება თუ არა იგი იმ პირთა ნებით, რომლებიც დებენ გარიგებას. სამოქალაქო გარიგების აქტის შესრულებისა და დამოწმებისას ნოტარიუსის ყველა სხვა მოქმედება იქნება ან მისი უფლებების წრიდან გამოსვლა, რაც ხელისუფლების გადამეტების თანაბარმნიშვნელოვანია, ანდა თავის მოვალეობათა შესრულებისადმი თავის არიდება, რაც თავის მხრივ ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებში უკანონოდ შეტრის თანაბარმნიშვნელოვანია. არც ერთი და არც მეორე არ შეიძლება არა თუ წახალისებული, არამედ მოსათმენი იყოს კანონის მიერ.

მაგრამ სამოქალაქო გარიგების აქტით დასადგენი ურთიერთობა შეიძლება იყოს მხოლოდ რაიმეს თაობაზე.

და, აი, საგნების გვარობის მიხედვით, რომელთა თაობაზე იდება გარიგება, განსხვავდება ნოტარიუსების უფლებები და მოვალეობები საერთოდ უფროსი ნოტარიუსის უფლებებისა და მოვალეობებისაგან. ყველა დანარჩენი ნიშნის მიხედვით კი ორივე ეს ინსტიტუტი სავსებით ერთნაირია და მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლამდე ან შეზღუდვამდე სამოქალაქო გარიგების დამოწმება ან დამტკიცება შეადგენს უფროსი ნოტარიუსის უწყების განსაკუთრებულ და სპეციალურ საგანს. უფროსი ნოტარიუსის მოქმედების არსი თავისი უწყების ამ სპეციალური და განსაკუთრებული საგნის მიმართ, გადმოცემულია სანოტარო დებულების 157-ე და 186-ე მუხლებში, რომლებშიც ნათქვამია, რომ უფროსი ნოტარიუსი სანამ შესრულებდეს ან დამტკიცებდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის ან შეზღუდვის შესახებ აქტს, ვალდებულია, სხვათა შორის, დარწმუნდეს იმ მხარეების მიერ ამ ქონების კუთვნილებაში, რომლებიც მასზე თავიანთ უფლებებს ახვნიებენ ანდა ზღუდავენ. მართალია ამგვარი დადგენილება თითქოსდა ზღუდავს სამოქალაქო გარიგებების თავისუფლების საერთო სამართლებრივ საწყისებს, რადგან არსებითად კანონს რა ხელი აქვს აღძრას ეჭვი გასახყიდი ქონების კუთვნილების მიმართ, როცა ერთი მხარე თანახმაა იგი გაყიდოს, მეორე კი — იყიდოს, და როცა არ არის გასახყიდი ქონებაზე სხვისი არავითარი პრეტენზია, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონი არსებობს და ჩვენ ვალდებული ვართ მას დავემორჩილოთ, მაგრამ უნდა დავემორჩილოთ მხოლოდ კანონში გამოხატული კანონმდებლის ნების და არა იმ აზრის შესაბამისად, რომელიც შეიძლება კაუზისტიკურად იქნეს თავსმოხვეული კანონისათვის მისი გაუგებლობის გამო. კანონისადმი მორჩილების სხვაგვარი მოთხოვნის უფლება არავის არა აქვს.

რაც შეეხება კანონმდებლის ნებას, რომელიც გამოხატულია სანოტარო დებულების 167-ე და 168-ე მუხლებში, აი, მის შესახებ რას ამბობს ერთ-ერთი იურისტი-მწერალი პოხელონოს-ცივი, რომელსაც რა თქმა უნდა, ვერვინ ვერ დასწამებს კანონის შეცნობის უუნარობას: „აუცილებელია მუხლებში (სანოტარო დებულების 167-ე და 168-ე) გამოყენებული გამოთქმა გავიგოთ იმ მოქმედების არსად, რომელსაც ასრულებს ნოტარიუსი სამოქალაქო კანონების ზოგადი წესების შესაბამისად. კუთვნილებაში დარწმუნება სრულებით არ ნიშნავს, რომ დარწმუნდეთ დამკვიდრების მიხედვით საკუთრების უფლებაში და კუთვნილებაში დარწმუნება აქტის შესრულების თაობაზე არ შეიძლება გადავიდეს ვოტჩინური სამართლით შემოწმებაში. ამ შემოწმებას, მხოლოდ იმ აზრით, როგორც ეს ხდება სასამართლოს მიერ, დადებითი ხასიათი აქვს. როცა ორი პირი წარადგენს ვოტჩინურ უფლებას ერთსა და იმავე ქონებაზე, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ვისი უფლებაა ქეშმარიტი და განსაკუთრებული დადებითი აზრით უცილობელი. დგინდება გადაწყვეტილება, რომელსაც მხარეებისათვის აქვს უცილობელი ძალა. იმის საწინააღმდეგოდ, როცა საქმე ეხება უდავო წესით აქტის შესრულებას, ქონების გადამცემის უფლების შემოწმებას აქვს უარყოფითი მნიშვნელობა და არც შეიძლება მას ჰქონდეს სხვა ხასიათი. ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს მხოლოდ იმაში, რომ გადამცემა გადასცემს თავის და არა სხვის ქონებას: სწორად მიიღო თუ არა მან ქონება, სწორადაა თუ არა შესრულებული დამკვიდრების აქტი, ნოტარიუსს ამასთან საქმე არა აქვს. სამოქალაქო კანონების წესების თანახმად, მხოლოდ ამ აზრით უნდა გავიგოთ ქონების კუთვნილებაში დარწმუნება და ამის შესაბამისად კუთვნილებაზე მტკიცებულების მოთხოვნაც. დარწმუნებას ექვემდებარება არა უფლება, არამედ ქონების კუთვნილების ფაქტი, ამაში დარწმუნებისათვის საჭიროა დამკვიდრების აქტები, მაგრამ იგი საჭიროა სხვათა შორის დანარჩენ წერილობით მტკიცებულებებს შორის, რომელთა მიხედვითაც შეიძლება დარწმუნება, რომ გადამცემის ქონება თავისია და არა სხვისი“.

ამრიგად, ბატონ პოხელონოსცივის მოტანილი სიტყვიდან გამოდის: პირველი, სანოტარო დებულების 167-ე და 168-ე მუხლების აზრით, ნოტარიუსისათვის საკმარისია მხოლოდ ქონების კუთვნილების ფაქტში დარწმუნება, რათა მან შეასრულოს და დაამტკიცოს აქტი ამ ქონების შესახებ; მეორე, რომ იმავე მუხლების აზრით, ამაში დასარწმუნებლად შეიძლება გამოდგეს დამკვიდრების აქტების გარდა, სხვა წერილობითი მტკიცებულებებიც, რომლებიც გადასტურებენ ფაქტს, და მესამე, რომ ნოტარიუსის მოქმედების არსს უძრავი ქონების აქტების შესრულებისა და დამტკიცების თაობაზე აქვს უფრო საცნობარო და არა სარევიზო ხასიათი უფლებების სასამართლო შემოწმების აზრით. ჩვენი აზრით, ეს სამი თეზისი აუცილებელია. ეს რომ დავამტკიცოთ პირველი თეზისის მიმართ ჩვენ მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ იმ შინაგან კავშირზე, რომელიც არსებობს სანოტარო დებულების მოყვანილ მუხლებსა და ზოგად სამოქალაქო კანონებს შორის.

X ტ. მეორე ნაწილის მეორე მუხლი ამბობს: „უძრავი ქონების ყოველგვარი ნამდვილი მფლობელია, თუნდაც უკანონო, მიიჩნევა უდავოდ და დასტულია კანონით ძალადობისა და თვითნებობისაგან მანამდე, სანამ არ იქნება მასზე წარდგენილი დავა ან ცილობა და ქონება არ მიეკუთვნება სხვას“. რით შეიძლება გავამართლოთ და ავხსნათ ამ კანონის არსებობა? მხოლოდ იმით, რომ პირის ქონებაზე ყოველი უშუალო და ნამდვილი ურთიერთობა მფლობელობის, როგორც ფაქტის აზრით, გულისხმობს ნივთზე პირის ბატონობის ფაქტსაც, ე. ი. კუთვნილების ფაქტს, რომლის ვარაუდის გარეშე მფლობელობის დაცვა და დარაჯობას არ ექნებოდა არავითარი გონიერი, სამართლებრივი საფუძველი. მფლობელობის ფაქტის ამგვარ დამოხვევას კუთვნილების ფაქტის გულწრფელსთან; გააჩნია თავისი ისტორიული საფუძველი, რადგან მოქალაქეობრიობის ჩასახვის დასაწყისიდანვე ყველა ადამიანური საზოგადოების სახალხო შეგნება მფლობელობის ფაქტთან აერთებდა საკუთრების, კუთვნილების ცნებასაც. ეს სახალხო შეგნება აისახა მოტანილი კანონის მუხლში და არა მარტო ამ მუხლში, არამედ ჩვენი კანონმდებლობის ენაშიც, რომელიც ხშირად, ძალიან ხშირად, საკუთრების სიტყვის ნაცვლად იყენებს მფლობელობის სიტყვას და პირიქით.

თუ ჩავაძვერდებით მოტანილი X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლის სიტყვა-სიტყვით აზრს, ჩვენ დავინახავთ, რომ კანონი, აერთიანებს რა კუთვნილების ფაქტის ვარაუდს მფლობელობის ფაქტთან, ამ უკანასკნელს განსაზღვრავს მხოლოდ ორი ნიშნით, სახელდობრ: ნამდვილი მფლობელობის ფაქტით და სხვისი პრეტენზიის, სხვისი უფლების არ არსებობით. აი, არსებითად მთელი განსხვავება კუთვნილების აზრით მფლობელობის სიტყვასა და კუთვნილი-



ბის, საკუთრების უფლებას შორის. საკუთრების, კუთვნილების სიტყვა უნდა გავიგოთ, როგორც პირის ნივთზე არა უცილობელი, არა განსაკუთრებული ხელისუფლება, ბატონობა, არამედ სხვისი უფლების, სხვისი პრეტენზიის ან არსებობის აზრით; საკუთრების, კუთვნილების უფლების ცნება შეიცავს პირის ნივთზე განსაკუთრებულ, სრული ბატონობის ცნებას (სენატის სამოქ. საქს. დეპარტამენტის 1869 წლის № 588 განმარტება), რომ კანონმდებელი არა თუ კრძალავს, არამედ ნებას იძლევა ნამდვილი მფლობელობის ცნებასთან კუთვნილების ცნების შეერთებაზე. ეს ნათლად ჩანს X ტ. პირველი ნაწილის 1889-ე მუხლის იმავე ტომის იმავე ნაწილის 1881-ე მუხლთან შეპირსპირებით. 1889-ე მუხლში ნათქვამია: „გაყიდვა“ (მაშასადამე 1827-ე მუხლის ძალით დაგირავებაც) ნებადართულია მხოლოდ ქონების, რომელიც იმყოფება ნამდვილ მფლობელობაში, ყველას აქვს კანონიერი უფლება გაყიდოს ან დააგირავოს იგი და არცის არა აქვს უფლება უარი უთხრას მას ამა თუ იმ აქტის შესრულებაზე იმ საბაბით, რომ არ არსებობს მტკიცებულებანი საკუთრების უფლებაზე. 2881-ე მუხლი კი ამბობს: „შეიძლება მხოლოდ იმ ქონების გაყიდვა, რომლის განკარგვა მფლობელს შეუძლია საკუთრების უფლებით (ე. ი. სახით)“. ამ მუხლს 1880-ე მუხლთან კავშირს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ნამდვილ მფლობელობას, რომელზეც საკუთრების უფლებაც კი არ არსებობს, კანონი ანიჭებს საკუთრების, კუთვნილების მნიშვნელობას, სხვანაირად აზრი არ ექნებოდა ერთი მუხლით იმაზე ნების დართვას, რაც იკრძალება მეორეთი. მაგრამ კანონის ახსნა-განმარტების ძირითადი წესი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის იგულისხმება კანონში არსებული აზრი. თუ სადმე შეგვხვდება წინააღმდეგობა, ეს წინააღმდეგობა უნდა შევარჩიოთ და კიდევ უფრო არ გავაზვიადოთ იმ უბრალო საფუძვლით, რომ კანონმდებელს არ შეუძლია განკარგოს და არც იწამოს იმას, რომ თავის თავს ეწინააღმდეგებოდეს. 1889-ე მუხლიდან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა X ტ. მეორე ნაწილის მეორე მუხლის პირდაპირი შედეგი და გამოხატულება, განა ნათლად არა ჩანს, რომ საგანი, რომლის მიმართაც ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს გაყიდვის ან დაგირავების შემთხვევაში სიმტკიცის აქტის შესრულებისას, შეიძლება იყოს ნამდვილი მფლობელობის ფაქტი, რომელთანაც კანონი უშუალოდ აერთიანებს კუთვნილების, საკუთრების ფაქტის ცნებას, როგორც ეს შემთხვევაში უკვე დავინახეთ. თუ რა მნიშვნელობას და ძალას ანიჭებს ამ შემთხვევაში კანონი ნამდვილ მფლობელობას, ეს ნათლად ჩანს X ტ. პირველი ნაწილის 1892-ე და 1891-ე მუხლებიდან, რომელთა ძალით ნებადართულია გაყიდვა და დაგირავებაც კი სადავო ქონებისა, თავისთავად ცნადია მხოლოდ იმ პირობით, თუ ქონება იმყოფება გამსხვი-სებლის ნამდვილ მფლობელობაში. მაშასადამე, მაშინაც კი, როცა ქონებაზე არსებობს სხვისი პრეტენზია, კანონს არ შეუძლია გამოყოს კუთვნილების ცნება ნამდვილი მფლობელობის ფაქტიდან.

ამრიგად, კანონმდებლის ძირითადი მოსაზრება X ტ. მეორე მუხლში გადმოცემულ ნამდვილ მფლობელობაზე აგებული უნდა იქნეს არა უცილობელი და განსაკუთრებული კუთვნილების აზრით, არამედ ნამდვილი მფლობელობის ფაქტის დროს სხვისი პრეტენზიის არ არსებობის აზრით. ეს ძირითადი მოსაზრება მთელი სისრულით აღბეჭდილია X ტ. მეორე ნაწილის 1889-ე მუხლში, რადგან მასში ლაპარაკია ქონებაზე. რომელიც ან იმყოფება ნამდვილ მფლობელობაში, ან რომელზეც არსებობს კერძო საკუთრება. საკუთრების უფლება კი მთავრობის სენატის სამოქალაქო საქსაცხო დეპარტამენტის მართებული განსაზღვრით (1869 წ. № 588) შეიცავს თავის თავში პირის ნივთზე განსაკუთრებული სრული ბატონობის ცნებას. მაშასადამე, ნამდვილი მფლობელობა, რომელიც მოხსენიებულია 1889-ე მუხლში საკუთრების უფლებისაგან განსხვავებით, საკუთრების უფლების ცნების განმარტებებით ნიშნების მიმართ გავებული უნდა იქნეს უარყოფითი აზრით, სახელდობრ, ნამდვილი მფლობელობის ფაქტის დროს სხვისი პრეტენზიის არ არსებობის აზრით. 1889-ე მუხლი თავის მხრივ აისახა X ტ. პირველი ნაწილის ყველა მუხლში, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ განსახილველ საკითხს, სახელდობრ:

ა) 781-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „გაყიდვის, გაცვლის, დაგირავების და ყოველგვარი სახის გადაცემისას აქტების შესრულების დროს სახელმწიფო გლეხები ვალდებული არიან: 1) სიმტკიცით (ე. ი. საკუთრების უფლებით) მფლობელობის შემთხვევაში წარმოადგინონ დოკუმენტები (ე. ი. უფლების დამკვიდრების აქტები), რომლითაც მიწები მიეცათ მათ ან მათ წინაპრებს კერძო საკუთრებით; 2) დოკუმენტების არ არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ სახელმწიფო ქონების პალატის მოწმობა იმაზე, რომ გასაყიდი, დასათმობი ან დასაგირავებე-

<sup>2</sup> ეს კი ნიშნავს განკარგვის — არა მარტო კუთვნილების ფაქტის ერთ-ერთი არსებითი ნაწილის, არამედ თვით საკუთრების უფლების გამოვლენასაც.

ლი მიწა არ არის სახაზინო და არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საკუთრებას“ (მითითება სხვისი პრეტენზიის, სხვისი უფლების არ არსებობაზე).

ბ) 779-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „სასულიერო და საეკლესიო მსახურთა სახელით უძრავი ქონების გაყიდვის აქტის შესრულებისას (მაშასადამე 1627-ე მუხლით დაგირავების დროსაც) საჭიროა წინასწარ დარწმუნება, რომ ქონება საეკლესიო კი არ არის (ისევ მითითება სხვისი პრეტენზიის არ არსებობაზე), არამედ გაყიდვლის საკუთრებაა“ (რა თქმა უნდა, ნამდვილ მფლობელობაზე მითითება). გ) 782-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „ამირაკავკასიის გლეხების მიერ მიწების გაყიდვა ან გასხვისება, რომელიც მათ მიერ შეძენილია 1801 წლამდე (მოცემულ შემთხვევაში წლის მითითება სულიერთა) დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიწის კუთვნილებაზე მათ მიერ წარმოდგენილი იქნება კანონიერი აქტები, ანდა ამ დოკუმენტების არ არსებობის მხოლოდ მოწმობა პირადი საკუთრების უფლებით მიწების ნამდვილი მფლობელობის შესახებ და ა. შ.

შეიძლება მოყვანილ იქნეს სხვა მუხლებიც, მაგრამ ჩვენ ამასაც საკმარისად ვივლით, რათა უველა დარწმუნდეს იმაში, რის დარწმუნებაც ჩვენ ვესურს. ამ მუხლებში, ე. ი. 779-ე, 781-ე, 782-ე და სხვებშიც პირდაპირ მოხსენიებულია ქონების გასხვისების შესაძლებლობა, როგორც კერძო საკუთრების უფლებით, ასევე ნამდვილი მფლობელობით, და ნათქვამია, რომ, როცა ხდება ქონების გასხვისება საკუთრების დამკვიდრების უფლებით, მაშინ საჭიროა კუთვნილებაზე სიმტკიცის კანონიერი აქტები, ხოლო როცა ხდება გასხვისება ნამდვილი მფლობელობით, მაშინ საჭიროა ან მოწმობა (780-ე მუხლი) სხვისი პრეტენზიის არ არსებობის შესახებ (ჩვენი განმარტებით კუთვნილების ფაქტის ნიშანი), ანდა მოწმობა (782-ე მუხლი) ნამდვილ მფლობელობაზე (კუთვნილების ფაქტის სხვა ნიშანი).

## V

ახლა ვნახოთ უველაფერი ეს როგორ აისახა სანოტარო დებულების 168-ე მუხლში, როგორც ზოგადი ფორმებით გამოხატულ კანონში, იმ მიზნით, რომ განსაზღვრული იქნეს არა თითოეული, არამედ მთელი რიგი შემთხვევები. მის პირველ ნახევარში ნათქვამია, რომ ქონების კუთვნილებაში დასარწმუნებლად ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს ცნობა სიმტკიცის წიგნებში. ცხადია, ეს შემთხვევა განეკუთვნება იმას, როცა უძრავი ქონების გასხვისება ან დაგირავება ხდება სიმტკიცის აქტებში დამკვიდრებული საკუთრების უფლებით, რადგან სიმტკიცის წიგნებში (სანოტარო დებულების 169-ე მუხლი) უძრავი ქონების მამულზე კუთვნილების მიმართ არავითარი სხვა ცნობა არ შეიძლება არსებობდეს, გარდა საკუთრების უფლების ცნობისა. 168-ე მუხლის მეორე ნახევარში კი ნათქვამია, რომ ნოტარიუსი კუთვნილებაში დასარწმუნებლად ვალდებულია „არ მოითხოვოს კუთვნილებაზე სხვა მტკიცებულებების წარდგენა სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად“. თუ სხვა, მაშინ ცხადია არა ის, რაც მითითებულია პირველ ნახევარში. ხოლო თუ არა ის, მაშინ აქედან გამომდის, რომ საგანი, რომელზეც უნდა დარწმუნდეს ნოტარიუსი უძრავ ქონებაზე აქტის შესრულებისას, შეიძლება იყოს საკუთრების, კუთვნილების სახით ნამდვილი მფლობელობის ფაქტიც, რადგან ეს საგანი რომ ყოფილიყო მხოლოდ საკუთრების უფლება, მაშინ იგი, როგორც უფლება, არ შეიძლება სხვა რაიმეთი დამტკიცდეს, გარდა სიმტკიცის წესით შესრულებული დამკვიდრების აქტისა. მაშინ როცა საკუთრების, კუთვნილების სახით ნამდვილი მფლობელობა, როგორც ფაქტი, შეიძლება დამტკიცებული იქნეს სიმტკიცის აქტის გარდა სხვა მტკიცებულებებით, როგორც ეს ჩანს ზემომოტანილი X ტ. პირველი ნაწილის მუხლებიდან.

ამის შემდეგ ვანა ცხადი არ არის, რომ სანოტარო დებულებების 168-ე მუხლი არის 1889-ე მუხლის პირდაპირი ასახვა და იგი, ამასთან ერთად, როგორც სამოქალაქო კანონების 779-ე, 789-ე, 781-ე, 782-ე და ა. შ. მუხლებში მითითებული ცალკეული შემთხვევების ზოგადი ფორმით გამოხატულება, აშკარად ითვალისწინებს უძრავი ქონების გასხვისების ან დაგირავების შემთხვევას ორი ერთიდაიგივე პირობისას, რომელიც მითითებულია 1889-ე მუხლში. ე. ი.: 1) მაშინ, როცა ქონება იმყოფება ნამდვილ მფლობელობაში, ანდა 2) მაშინ, როცა ქონებაზე არსებობს საკუთრების უფლება. ვანა ცხადი არ არის, რომ 168-ე მუხლი სწორედ ამ ორი პირობის არსებობისას იყენებს სათანადო მტკიცებულებების მოთხოვნას, ზუსტად ისევე, როგორც ეს გამოყენებულია X ტ. პირველი ნაწილის 779-ე, 781-ე და ა. შ. მუხლებში მითითებული ცალკეული შემთხვევების დროს. საკმარისია მარტო X ტ. პირველი ნაწილის 1889-ე მუხლის გვერდგვერდით ხანოტარო დებულების 168-ე მუხლის ამოწერა და ამ სახით მათი განხილვა, რომ

დავრწმუნდეთ თუ რა გახაცარი სიცხადითაა ერთი ასახული მეორეში<sup>3</sup>. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთი მუხლის დასაწყისი აღბეჭდილია მეორის ბოლოში და პირიქით. მხოლოდ ამ სახითაც საკმარისია 781-ე, 782-ე და ა. შ. მუხლების სანოტარო დებულების 168-ე მუხლის გვერდით განხილვა, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა სიცხადითაა აღბეჭდილი პირველი, როგორც კერძო შემთხვევა, მეორეში, როგორც კანონში, რომელიც გამოხატავს ზოგადი ფორმით მთელ რიგ ამ ცალკეულ შემთხვევებს.

იქნებ შემომდევონ, რომ სიტყვაში — „სხვა მტკიცებულება“, შეიძლება ვიგულისხმოთ სამიჯნო აქტების, რომლებიც მითვლილია საკუთრების უფლების უმთავრეს მტკიცებულებათა რიცხვში (X ტ. მეორე ნაწილის 688-ე მუხლი) და ამიტომაც სიტყვა — „სხვა მტკიცებულებანი“, რომელიც არ ეკუთვნის სიმტკიცის აქტებს, უნდა მიეკუთვნოს სამიჯნო აქტებს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ მიგვიტიბებენ, რომ თქვენი დასკვნა იმის თაობაზე, რომ საგანი, რაშიც უნდა დარწმუნდეს ნოტარიუსი აქტის შესრულების დროს, არ შეიძლება იყოს ნამდვილი მფლობელობა კუთვნილების ფაქტის აზრით. აი, ერთადერთი უარყოფა, რომელიც შეიძლება წამოყენებული იქნეს ჩვენი დასკვნის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ჩვენ თუ შევძლებთ ამ უარყოფის გაქარწყლებას, მაშინ ეჭვი არ არის, რომ ჩვენი დასკვნა უშეცდომოა. ამ უარყოფის ჩვენ რომ უსათუოდ და სრული წარმატებით გავაქარწყლებთ და კანონის ზუსტი აზრით დავამტკიცებთ, რომ 168-ე მუხლი სიტყვებში „სხვა მტკიცებულებანი“ გულისხმობს ყველა წერილობით მტკიცებულებას გარდა სიმტკიცისა და სამიჯნო აქტებისა, ამას ახლავს დავინახავთ 168-ე მუხლის აზრის გრამატიკული და ლოგიკური ახსნა-განმარტების გზით გარკვევისას, ასევე მოცემულ საკითხზე მისი სანოტარო დებულების დანართზე მუხლებთან შეპირისპირებისას. ახლა სწორედ ამას შევუდგებით.


ამ მიზნით ჩვენ თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ მთელი სისრულით სანოტარო დებულების 167-ე და 168-ე მუხლების ტექსტი.

167-ე მუხლში ნათქვამია: „ამონაწერის დამტკიცებისას უფროსი ნოტარიუსი ვალდებულია დარწმუნდეს იმაში: პირველი, რომ სამოქალაქო კანონები (X ტ., პირველი ნაწილი) არ კრძალავს აქტის შესრულებასა და დამტკიცებას და მეორე, რომ წარმოდგენილ ამონაწერში ქონება ნამდვილად ეკუთვნის მხარეს, რომელიც მას ასხვისებს; ანდა თანახმაა საკუთრების უფლების შუზღუდავაზე“. ბოლო უკანასკნელ შემთხვევაში რა წესით უნდა დარწმუნდეს, ეს გარკვეულია 168-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „იმისათვის, რომ უფროსი ნოტარიუსი დარწმუნდეს ქონების გამსხვიებელი მხარის კუთვნილებაში, იგი ვალდებულია შეამოწმოს სიმტკიცის, ამკრძალველი და ნების დამრთველი წიგნები, აგრეთვე სიმტკიცის საქმეების რეესტრები და ამ წიგნებისა და რეესტრების ცნობარები, ანდა მოითხოვოს სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად“. 168-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილში გადმოცემული კანონმდებლის აზრის ლოგიკური შეპირისპირებისას, ნათლად ჩანს, რომ სიტყვები „სხვა მტკიცებულებები“ ტექსტის მეორე ნაწილში გამოყენებულია სწორედ იმ მტკიცებულებებისაგან განსასხვავებლად, რომელზეც ლაპარაკია პირველ ნაწილში, პირველ ნაწილში კი ლაპარაკია მხოლოდ სიმტკიცის აქტებზე, რადგან სიმტკიცის წიგნებში, როგორც შემოთ ვთქვით, სხვა აქტები არ შეიძლება იყოს (169-ე მუხლი). აზრების ლოგიკური კავშირისა და აგრეთვე სიტყვების გრამატიკული ფორმის მიხედვით, სიტყვები „სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად“ მთლიანად განეკუთვნება სიტყვას „მოითხოვოს“ და არა სიტყვას „მტკიცებულება“, ხოლო სიტყვები: „სამოქალაქო კანონების დადგენილი“ განეკუთვნება სიტყვას „წესები“ და არა სიტყვას „მტკიცებულება“.

ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ როცა არ არსებობს შესაძლებლობა მივიღოთ სიმტკიცის წიგნებიდან ქონების კუთვნილების შესახებ ცნობა და ეს შეიძლება მოხდეს იმ განსაკუთრებული ვარაუდის დროს, როცა სიმტკიცის აქტი ამაზე არ არსებობს, რადგან ყოველგვარ სიმტკიცის აქტს იმიტომ ეწოდება სიმტკიცის აქტი, რომ იგი უსათუოდ და უცილობლად უნდა იქნეს შეტანილი (169-ე მუხლი) სიმტკიცის წიგნში, — ამრიგად, როცა არ არის შესაძლებლობა სიმტკიცის წიგნიდან მივიღოთ 168-ე მუხლით მოთხოვნილი ცნობები, მაშინ სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად<sup>4</sup> ნოტარიუსი ვალდებულია მოითხოვოს კუთვნილებაზე სხვა მტკიცებულებების წარდგენა.

<sup>3</sup> გაზ. „კავკაზი“, 1875 წ. № 55.

<sup>4</sup> ეს წესები კი მიითითებულია X ტ. პირველი ნაწ. 1382-ე, 1381-ე, 779-ე, 780-ე, 781-ე 782-ე და ა. შ. მუხლებში.



აი, ჩვენი აზრით, როგორ უნდა იქნეს წაკითხული 168-ე მუხლის მეორე ნაწილი და მაშა-სადამე, სიტყვა სხვა მტკიცებულებანი, რომელიც გამოყენებულია მის მეორე ნაწილში, გაგე-ბული უნდა იქნეს პირველში მოხსენიებული სიმტკიცის აქტებისაგან განსხვავებული აზრით.

მაგრამ ეს სხვა მტკიცებულებანი მართლაც რომ სხვაა და არა სიმტკიცის აქტები, ამაში კიდევ უფრო ნათლად გვარწმუნებს სანოტარო ნაწილის დრ. წესების 77-ე მუხლი. ამ მუხლში ნათქვამია, რომ ქონების კუთვნილებაზე მტკიცებულებების წარსადაგენად (ტექსტში მითითე-ბულია სწორედ 168-ე მუხლი) უფროსი ნოტარიუსი სამოქ. ხსწ. წესდ. 452-ე მუხლის თანახ-მად იძლევა მოწმობას სხვადასხვა დაწესებულებებიდან დოკუმენტის ან ცნობის მისაღებად, სადაც შეიძლება ისინი იყოს. ნუთუ კანონმდებელი რაიმე აუცილებლობის გამო იძულებული იყო გამოეცა ეს კანონი იმ განსაკუთრებული ვარაუდით, რომ 168-ე მუხლის თანახმად უსათუ-ოდ და უცილობლად საჭიროა მხოლოდ სიმტკიცის აქტები ნოტარიუსის მიერ აქტების შესრულე-ბისას უძრავ ქონებაზე კუთვნილების დასამტკიცებლად? ამ შემთხვევაში აქტი ხომ იქნებოდა სახეზე, ე. ი. სანოტარო არქივის ერთ-ერთ სიმტკიცის წიგნში, მაშინ რისთვისდა უნდა ვაგვეზ-ღავნა მთხოველი სხვადასხვა დაწესებულებებში იმის მისაღებად, რაც უკვე არსებობს? მაგ-რამ შეიძლება ისევ შემედაონ, რომ ხომ არსებობს სამიჯნო აქტები, რომელთა ძალა და მნიშ-ვნელობა მოცემული შემთხვევისათვის არ არის უარყოფილი თბილისის საოკრუგო სასამართ-ლის მიერ და რომლებიც არსებითად მისი წარმოშობისა და შესრულების მიხედვით არ უნდა ირიცხებოდეს ნოტარიუსის სიმტკიცის წიგნებში.

მაგრამ 168-ე მუხლში გამოყენებული „სხვა მტკიცებულებანი“, რომ მართლაც გაგებული უნდა იქნას, როგორც ნამდვილად სხვა და არა უსათუოდ სიმტკიცისა და სამიჯნო აქტები, ამა-ში გვარწმუნებს სანოტარო დებულების 156-ე მუხლის მესამე პუნქტი, რომელშიც ლაპარაკია, რომ სხვათა შორის მიწის რაოდენობის, ხარისხისა და ზოლიანობის (დაქსაქსულობის) შესახებ ცნობების მისაღებად, რომელზეც გამოითხოვება ნოტარიუსისაგან გირავნობის მოწმობის გა-ცემა; ნოტარიუსი უშუალოდ კავშირს ამყარებს სათანადო დაწესებულებებთან, მაგრამ რომ და-რაფერი ვთქვათ სხვა ცნობების არ არსებობის შესახებ რა სახის მტკიცებულებების მიმართ შეეძლო კანონს დაეშვა თუნდაც მიწის რაოდენობაზე მითითებების არ არსებობის ვარაუდი? ნუთუ საერთოდ უფლების დამკვიდრების შესახებ სიმტკიცის აქტებსა და განსაკუთრებით სა-მიჯნო აქტების მიმართ, მაშინ, როცა უოველგვარი სიმტკიცის და სამიჯნო აქტის ერთ-ერთი აუ-ცილებელი პირობა სხვათა შორის არის მიწის რაოდენობის ზუსტი მითითება.

ამრიგად, ყველაფერი რომ შევაჯამოთ, რაც ვთქვით, აუცილებლად უნდა მივიდეთ იმ დას-კვნამდე, სადამდეცა მივიყვანა ამ წერილში მოყვანილმა, ბატონ პობედონოსცევის მსჯელო-ბამ, კერძოდ: 1) სანოტარო დებულების 167-ე და 168-ე მუხლების ძალით ნოტარიუსი საქმარისია დარწმუნდეს მხოლოდ ქონების კუთვნილების ფაქტში (ნამდვილი მფლობელობის აზრით), რათა შეასრულოს ან დაამტკიცოს მისი გასხვისების; ანდა მასზე უფლების შეზღუდვის ფაქტი; 2) რომ იმავე მუხლების აზრით, ამაში დასარწმუნებლად შეიძლება გამოდგეს სიმტკიცის და სამიჯნო აქტების გარდა სხვა წერილობითი მტკიცებულებანი, რომელიც დასაშვებად მიაჩ-ნია კანონს ნამდვილი მფლობელობის ფაქტის დასადასტურებლად, და 3) რომ ნოტარიუსის მოქ-მედების არსი საერთოდ და კერძოდ, ამ დარწმუნების მიმართ, მდგომარეობს ამ მოქმედების საცნობარო ხასიათში და არა უფლებების სასამართლო შემოწმების სარევიზიო აზრში.

საერთოდ, არც სასამართლომ და კერძოდ, არც ნოტარიუსმა ქონებაზე დაუმკვიდრებელი უფლების საბაზით არ უნდა იხელმძღვანელოს გარიგების დამდები ამა თუ იმ მხარისათვის ყოველსა და დაგირავების სამოქალაქო გარიგებების სარგებლიანობის ან არასარგებლიანობის მონასრულებით. სხვანაირად ეს იქნებოდა სამოქალაქო გარიგების თავისუფლების საერთო სა-მართლებრივი საწყისის ხელყოფა, რომლის ძალითაც თითოეულს ენიჭება უფლება და შესაძ-ლებლობა ყოველ მოცემულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის გარიგება მის ინტერესებს. ეს იქნებოდა ხელისუფლების საზღვრების გადამტეხვა, მო-ქალაქეთა უფლებების შელახვა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ შეიძლება კანონი-სათვის არა თუ წახაზალისებელი, არამედ მოსათმენიც კი იყოს.

5 ყველაზე მეტად ისაა აღსანიშნავი, რომ საოკრუგო სასამართლომ შეუფარდა რა 168-ე მუხლი, გამოტოვა სიტყვა „სხვა“, რომელიც გამოყენებულია ტექსტში სიტყვა „მტკიცებულე-ბების“ დასამატებლად და თავისი დასკვნის გასამართლებლად მოიტანა 168-ე მუხლი სიტყვა „სხვა“-ს გამოტოვებით, რომლის აზრი და ლანიშნულება ხსნის მოცემული საკითხის მიუღ კვანძს.

## დისკუსია თუ აპანტიურა

ანუ როგორ მზადდებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ  
მეცნიერთა მიმართ

გიგინა სავანელი,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1981 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოიცა სტენოგრამა: „საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ აზროვნებაში იდეალიზმის წინააღმდეგ. დისკუსიის სტენოგრამა“. სტენოგრამას ამიერკავკასიის ცაკ-თან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის სახელით წამდგარებული აქვს შესავალი, რომელიც იწყება ვ. ი. ლენინის სიტყვებით იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა არის მთელი ისტორიული ეპოქა და ვიდრე ეს ეპოქა არ დამთავრდება, დამხობილი ექსპლოატატორები გაათქვამებული ენერგიით, გაშმაგებული ვნებით, გაასკეცებული სიძულვილით ეცდებიან კაპიტალიზმის რესტავრაციას ჩვენს ქვეყანაში. გამომდინარე აქედან, შესავლის ავტორთა აზრით საბჭოეთის პროლეტარიატი ძირკვავს კაპიტალიზმის უკანასკნელ ფესვებს, რაც იწვევს კლასობრივი მტრების გაშმაგებულ წინააღმდეგობას და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. ამ პროცესმა თავისი იდეოლოგიური გამოვლენა ჰპოვა ბურჟუაზიული თეორიების მომხრეთა აქტივიზაციაში მოსკოვსა და ლენინგრადში, ხოლო ეროვნულ რესპუბლიკებში, სადაც პროლეტარული კადრების სისუსტის გამო მეცნიერება წარმოდგენილია ნაციონალისტურად განწყობილი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ, ბურჟუაზიული მეცნიერების რესტავრაციის ცდამ მიიღო საშიში მასშტაბები.

შესავალში შემდეგ ვკითხულობთ: „დისკუსიაში მონაწილე პროფესორები წარმოდგენენ იმ ქართული პროფესურის ნაწილს, რომელიც იცავს და ავითარებს სოციალისტური მშენებლობისათვის მანვე ბურჟუაზიულ იდეოლოგიას და რომელიც დღემდე არ იქნა მხილებული. ამიტომ ამჟამინდელი დისკუსია არის იმ დაუნდობელი ბრძოლის დასაწყისი, საიდანაც სათავე უნდა აიღოს ამ პროფესურის საბოლოო იდეოლოგიურმა განიარაღებამ. ეს არის ავანგარდული ბრძოლა, რომელსაც უნდა მოჰყვეს გაშლილი შეტევა მტრის შუაგულში. ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობამ გამოიწვია მარქსისტ სახელმწიფომცოდნეთა კონსოლიდაცია ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომლებმაც იკისრეს საბჭოთა საქართველოს სამართლებრივ ფრონტზე მტრული თეორიების წინააღმდეგ გაშლილი ბრძოლის მოთავეობა“.

ჩვენი მიზანი მოკრძალებულია — საზოგადოებას უნდა ვამცნოთ, ერთი

მხრივ, თუ ვინ წარმოადგენდა საქართველოში იმ ხანად ოფიციალურ სამართლებრივ იდეოლოგიას და სამართლის მეცნიერებას, და მეორე მხრივ, გავარკვიოთ რა მავნე, მტრულ კონცეფციას ავითარებდნენ ქართველი პროფესორები და რამდენად მეცნიერული იყო მათი კრიტიკა.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ მარქსისტ სახელმწიფომცოდნეთა მხრიდან: გეგენავა, ბოლოტნიკოვი, ტალახაძე, ლისოვსკი, ტატულოვი, შარია, ბარიგინი, თუმანოვი.

თუ რა ღვაწლი მიუძღვით ჩამოთვლილ პირებს სახელმწიფოს იმდროინდელ საქმეებში, ჩემთვის უცნობია, ხოლო ის კი უდაოდ ცნობილია, რომ აღნიშნული გვარები არაფრის მთქმელია საბჭოთა იურიდიული მეცნიერებისათვის.

ქართველ პროფესორთაგან ე. წ. დისკუსიაში მონაწილეობდნენ გ. ნაწიეშილი, ირ. სურგულაძე, ა. ვაჩიეშილი.

დისკუსია გაიხსნა ქ. თბილისში 1930 წლის 25 ოქტომბერს და გაგრძელდა 28 ოქტომბრამდე. დისკუსიას თავმჯდომარეობდა ბოლოტნიკოვი. ნიშანდობლივია, რომ ბოლოტნიკოვმა სხდომის გახსნისთანავე თავის შესავალ სიტყვაში პირდაპირ განაცხადა, რომ დისკუსიაში მონაწილე ქართველ პროფესორთა კონცეფციები ანტიმარქსისტულია და ამიტომ მავნეა, რის გამოც პროფესორთა მიმართ მოწინააღმდეგის ცნებას ის ხმარობს სრულიად პირდაპირი აზრით.

სხდომაზე მოხსენება „სამართლებრივი აზრი საბჭოთა საქართველოში“ წაიკითხა ა. გეგენავამ. მოხსენება იწყება პროფ. ა. ვაჩიეშილის სახელმძღვანელოს „სამართლის ზოგადი თეორია“ განხილვით. (წიგნი გამოსცა 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ). მოხსენების შესავალშივე ა. გეგენავა აღნიშნავს, რომ მისი მიზანია დაამტკიცოს პროფ. ა. ვაჩიეშილის ღრმად მტრული დამოკიდებულება მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიმართ. ამ ბრალდების საილუსტრაციოდ მას მოყავს პროფესორის მოსაზრება ჩვეულების სავალდებულო ძალის შესახებ. „ჩვეულების სავალდებულო ძალა, — წერს პროფესორი, — ჩვენ უნდა ვეძიოთ ადამიანის სულიერი ბუნების იმ თვისებაში, რომლის ძალითაც გარკვეული ქცევის სისტემატური განმეორება იძენს სავალდებულო ძალას, ყალიბდება როგორც წესი ანუ ჩვეულება. იმას, რასაც ადამიანი დასაწყისში მოიმოქმედებს იძულების ზეგავლენით, შემდგომში თანდათანობით, განმეორების გზით ჩვეულებით ქცევად ყალიბდება, იძენს ნორმალური ქცევის მნიშვნელობას. ამით შეიძლება აიხსნას მონობისა და ბატონყმობის ჩამოყალიბება და მათი მრავალსაუკუნოვანი არსებობა. ამრიგად, ჩვეულების სავალდებულობა სამართლის გარეშე არსებობს“. მომხსენებელი პროფ. ა. ვაჩიეშილის ამ მოსაზრებას სულ ერთიანად რეაქციულად აცხადებს, რადგანაც მისი აზრით თუ კი პროფესორის კონცეფციას გავყვებით, უნდა ვალიაოთ, რომ საბჭოთა ხალხი დღესაც მონათმფლობელურ საზოგადოებაში ცხოვრობს.

მაინც რით გააღიზიანა ქართველმა პროფესორმა ა. გეგენავა? იმით ხომ არა, რომ მან ამხილა ა. გეგენავა და მისი მომხრენი, რომლებსაც უკვე 20-იანი წლების დასასრულს შიშველი იძულების და დაშინების გზით სურდათ ქართველი პროფესურისა და პროგრესული ინტელიგენციის ყურმოჭრილ მონად ქცევა, რათა ჩვეულებად გაეხადათ დოგმატური, სქოლასტიკური აზროვნების წესი. პროფესორის თეზისში საკუთარი თავი იცნო მოძალადეთა იმ

ჩვეუმა, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდათ რეპრესიების გზით იდეოლოგიური დამონების ფართომასშტაბიანი პოლიტიკის განხორციელება, მონობის ჩვეულებად ქცევა, რაც მათ ნაწილობრივ მართლაც მიაღწიეს 30-იან წლებში და ომის შემდგომ პერიოდში. პროფ. ა. ვაჩიეშვილმა ხომ პირდაპირ და არაორაზროვნად გამოიხა და დაუპირისპირა ჩვეულება და სამართალი, რითაც ლოგიკურად დამონების ჩვეულება უსამართლოდ სცნო. სწორედ ამან შეაშფოთა ა. გეგენავა და მისი მომხრენი.


• პროფ. ა. ვაჩიეშვილის აზროვნების მავნეობა ა. გეგენავამ დაინახა იმაშიც, რომ პროფესორის აზრით: „სახელმწიფო არის საზოგადოებრივი წყობილების უმაღლესი და ურთულესი სახე“. რა არის ამ დებულებაში არა თუ მტრული, არამედ არამეცნიერული? არაფერი, უბრალოდ საჭირო იყო პროფესორის „მტრულ ელემენტად“ მონათვლა. სამწუხაროა, რომ პოლიტიკური იარაღების მიკერებაში საკმაოდ დახელოვნდნენ მეცნიერებს მიტმანსებული ნაძირალები, სახელმწიფო აპარატში მოკალათებული ავანტიურისტები და მათი ვაიმეცნიერი კონსულტანტები.

პროფ. ა. ვაჩიეშვილის შემდეგი თეზისი: „კულტურულ სახელმწიფოებში მიღებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც კანონის წინაშე ყველა თანასწორია“, განსაკუთრებით აღელვებს ა. გეგენავას, რადგან პროფესორის ეს მოსაზრება, მისი აზრით, ნიშნავს შემდეგს: „რადგანაც საბჭოთა სახელმწიფოში ეს პრინციპი არ არის მიღებული, განა საბჭოთა სახელმწიფო უკულტურო სახელმწიფოა?“ რატომ არ აწყობდათ ა. გეგენავას და მის მომხრეებს ამ თეზისის მიღება? მხოლოდ იმიტომ, რომ თანასწორობის იდეის აღიარებას მივყავართ სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის აღიარებამდე, სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია კი, მათი აზრით, არის პროლეტარიატის დიქტატურისათვის მავნე და მტრული თეორია.

პროფ. ა. ვაჩიეშვილის ანტიმარქსისტული განწყობილების არგუმენტად, კერძოდ, მარქსის ეკონომიკური მოძღვრების უგულვებელყოფის საბუთად მომხსენებელს მოჰყავს პროფესორის შემდეგი აზრი: „სამართალი ზოგჯერ სცდება გარკვეული სახელმწიფოს საზღვრებს. ისტორია იძლევა ამის მაგალითებს: ზოგჯერ ეს დაპყრობის შედეგია, ზოგჯერ კი — მიბაძვის. მაგალითად, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ენევის კანტონმა მიიღეს ფრანგული Code civil დაპყრობის შედეგად, ხოლო შემდეგ დაიტოვეს იგი. შვეციამ და ავსტრიამ გერმანიის სავაჭრო კოდექსი მიიღეს მიბაძვის გზით“.

თანამედროვე შედარებითმა სამართალმცოდნეობამ დაადასტურა პროფ. ა. ვაჩიეშვილის მიერ აღნიშნული ისტორიული კანონზომიერება. უფრო მეტი, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობაში დიდი ხანია შესულია ისეთი საკანონმდებლო კონსტრუქციები, რომელიც რომანულ-გერმანული სამართლის სისტემების შესაბამისი იურიდიული კონსტრუქციების თანამთხვევია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელთაგან რეციფირებულია. ამის თვალნათლივი ნიმუშები საკმარისად შეიძლება მოიძებნოს მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსებში, რომლებიც სწორედ რომ ნებით ბაზისურ ურთიერთობებს აწესრიგებენ. დღეისათვის აღარავისათვის არ არის სადაო, რომ ზოგჯერ სრულიად განსხვავებული ეკონომიკური ბაზისები ჰგუობენ იდენტურ ნორმატულ კონსტრუქციებს.

ბოლოს ა. გეგენავა სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ მიმართული პროფესორის მსოფლმხედველობის „გამანადგურებელ“ კრიტიკას შემ-



დები სიტყვებით ასრულებს: «Однако, довольно о Вацаншвили». თითქოს პროფ. ა. ვაჩიშვილს არგუმენტების ისეთი კასკადი დააყარა ა. გეგენავამ, რომ წელში გატეხილი პროფესორი შველას და შეწყალებას ითხოვს, ხოლო ა. გეგენავა დიდსულოვნად იღებს ხელს მის საბოლოო მოსპობაზე. ასეთი შარლანტანური სიმსუბუქით „უსწორდება“ ა. გეგენავა საქართველოში აკადემიური იურიდიული აზროვნების ერთ-ერთ მესაძირკვლეს.

ა. გეგენავას შემდეგი „მსხვერპლია“ პროფ. ირ. სურგულაძე — საქართველოში სახელმწიფო სამართლის თეორიის ფუძემდებელი. ა. გეგენავასათვის მიუღებელია პროფ. ირ. სურგულაძის ძირითადი ნაშრომის „ხელისუფლება და სამართალი“ (1925 წელი) ამოსავალი დებულება იმის შესახებ, რომ ლოგიკური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან საჭიროა გაიმიჯნოს სახელმწიფო როგორც სოციალური წარმონაქმნი და სახელმწიფო როგორც იურიდიული ინსტიტუტი, ე. ი. სახელმწიფო როგორც თანაცხოვრების გარკვეული ფორმა და სახელმწიფო როგორც სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა. პროფ. ირ. სურგულაძის აზრით ასეთი გამიჯვნა ანალიტიკურ მიზანს ემსახურება და ამიტომ წმინდა ლოგიკურია. რეალურ სინამდვილეში კი, სახელმწიფოს ორივე ასპექტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და თითოეული მათგანი დამოუკიდებელ არსებობას უპირატესად არ აწარმოებს.

ა. გეგენავა თვით აღიარებს, რომ მისთვის გაუგებარია ლოგიკურისა და ფაქტიურის ასეთი გამიჯვნა. სწორედ სამწუხარო ის იყო, რომ ა. გეგენავამ და მისმა კოლეგებმა, როგორც არაერთხელ დავრწმუნდებით, მდაბიო თეორიული მომზადების გამო ვერ გაუგეს ქართველ მეცნიერებს, საერთოდ უგულებელყვეს მოვლენის ლოგიკური ანალიზის შესაძლებლობა, რის გამოც იძულებული იყვნენ იოლი გზით გასწორებოდნენ მათ — დაადგინენ ავანტიურის გზას, რითაც ფაქტობრივად განუდგინენ მარქსიზმს და ობივატელური პრაგმატიზმის პლატფორმა აირჩიეს.

ა. გეგენავას პრიმიტივიზმი განსაკუთრებით იჩენს თავს იქ, სადაც პროფ. ირ. სურგულაძე მეცნიერული ანალიზის შედეგად მიჩანავს ერთმანეთისაგან სამართალს და საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაშინ როდესაც გონების დიდი დაძაბვა არ იყო საჭირო, რომ მომხსენებელს ერთმანეთისაგან განესხვავებინა სამართალი, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა და საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების ელემენტი.

განა რა არის მავნე და მტრული პროფ. ირ. სურგულაძის მოსაზრებამი იმის შესახებ, რომ სამართალი და სოციალური ცხოვრება განეკუთვნებიან ორ დამოუკიდებელ ონტოლოგიურ რიგს: საზოგადოებრივი ყოფიერება ხასიათდება როგორც რეალური ყოფიერება მაშინ, როდესაც სამართალი ონტოლოგიურად ხასიათდება როგორც ყოფიერების იდეალური ფორმა; თითოეული მათგანი ექვემდებარება დამოუკიდებელ და ძირითადად მისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებას; საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მოვლენათა მიზეზობრივი ურთიერთმომქმედება მაშინ, როდესაც სამართალი მიზეზშედეგობრივად არ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ურთიერთობებთან და რომ სამართლის კავშირი საზოგადოებრივ ურთიერთობებთან გაშუალებულია ინდივიდუალური ცნობიერებით. უფრო მეტი, პროფ. ირ. სურგულაძე მართებულად ამტკიცებს, რომ სამართალი თვითონ ნახულობს სოციალურ სფეროში დასაყრდენ პუნქტებს, რომელთა გეშ-



ვეობითაც ის სამართლებრივ მოვლენათა რიგში რთავს რეალური სამყაროს მოვლენებს, ანიჭებს რა მათ ისეთ თვისებებს, რომლებსაც ისინი ბუნებრივად არ ფლობენ (უფლებათუნარიანობა, ვალდებულება, დანაშაული და ა. შ.).

სამართლის ყველა ზემოაღნიშნული თვისება ა. გეგენავას შეფასებული აქვს როგორც პროფ. ირ. სურგულაძის მიერ გამოგონილი სასწაული. სასწაული სწორედ ის არის, რომ ა. გეგენავას წარმოდგენაც კი არ აქვს სამართლის უღაო სოციალურ ფუნქციაზე — სამართლის მარეგულირებელ, მომწესრიგებელ ფუნქციაზე. ა. გეგენავასათვის გაუგებარია რა სასწაულმოქმედ ძალას ანიჭებს პროფ. ირ. სურგულაძე სამართალს, რომ ეს უკანასკნელი იქცევა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელ, მომწესრიგებელ ძალად. ა. გეგენავასათვის წარმოუდგენელია, როგორც თვითონ ამბობს, რომ სამართალმა დაიმორჩილოს სოციალური ცხოვრება და არა პირიქით.

ბოლოს ა. გეგენავას გამოაქვს განაჩენი: პროფ. ირ. სურგულაძე ლობადი კაპიტალიზმის იდეალისტური ფილოსოფიის მიმდევარია. დღეს ა. გეგენავა ალბათ ასეთივე ეპითეტით შეამკობდა საბჭოთა იურისპრუდენციის კორიფეებს, ცნობილ საბჭოთა მეცნიერებს, რომლებმაც 40-50-იან წლებში უტყუარად დაასაბუთეს სამართლის აქტიური სოციალური ფუნქცია.

პროფ. ირ. სურგულაძის უნიადაგო კრიტიკის შემდეგ ა. გეგენავა ცდილობს გაუსწორდეს საქართველოში სამართლის თეორიის ფუძემდებელს პროფ. გ. ნანეიშვილს. ამისათვის მომხსენებელმა ნიშანში ამოიღო პროფესორის ცნობილი ნაშრომი „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატული ფაქტების დასაბუთებისა“ (1929 წ.). პროფ. გ. ნანეიშვილის მიმართ ა. გეგენავა „ნაკლებად დაუნდობელია“, რადგან მისი აზრით პროფესორი აღიარებს ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ მარქსისტული თეზისის სისწორეს, მოქმედი სამართლის კლასობრივ ბუნებას და მის სოციალურად დეტერმინირებულ ხასიათს (თითქოს რადგან ასე გარკვევით პროფ. ა. ვაჩიეშვილი და პროფ. ირ. სურგულაძე თავის შეხედულებას ამ მოვლენების მიმართ არ აყალიბებდნენ. ისინი საერთოდ უარყოფდნენ ამ ფაქტორების ურთიერთმოქმედებას და სოციალურ დანიშნულებას).

ავიღოთ ფაქტისა და სამართლის ნანეიშვილისეული გაგება. მატერიალისტურ ფილოსოფიაში უღაოდ არის მიჩნეული დებულება, რომ ცნობიერება არის სინამდვილის განსაკუთრებული სახე. ამ სინამდვილეს ჩვეულებრივ უწოდებენ სუბიექტურ სინამდვილეს, რაც პრინციპში მისაღებია იმ პირობით, თუ მას არადიალექტიკურად დაუპირისპირებენ ობიექტურ სინამდვილეს. ასეთი არადიალექტიკური დაპირისპირების შედეგად დღემდე გაბატონებული თვალსაზრისით ცნობიერება განიხილება როგორც მეორადი სინამდვილე, უფრო დაბალი ხარისხის სინამდვილე, თავისებური „სოციალური მეტაფორა“. ამ დროს ივიწყებენ ასევე უღაოდ დებულებას იმის შესახებ, რომ სუბიექტურისა და ობიექტურის მეტაფიზიკური დაპირისპირება გნოსეოლოგიის საზღვრებს გარეთ არის უხეში შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მატერიალისტური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ცნობიერება როგორც სუბიექტური სინამდვილე არა ნაკლებ რეალურია ვიდრე ობიექტური სინამდვილე. უფრო მეტი, ცნობიერებას უნარი შესწევს გასცდეს ობიექტურ სინამდვილეს, იმ აზრით, რომ შექმნას ახალი, ადრე უცნობი ობიექტური სინამდვილე. ამიტომ ცნობიერება არა მარტო ყოფიერია და რეფლექსურია, არამედ იმავე დროს სამყაროსეულია. (იხ.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. ველიხოვის, წევრ-კორესპონდენტის ს. ზინჩენკოს, პროფ. ვ. ლექტორსკის და სხვათა უახლესი ნაშრომები).

გ. ნანეიშვილის მტკიცება, რომ ფაქტი და სამართალი სინამდვილის სახეებს წარმოადგენენ მეცნიერულად და უფრო მეტი, ექსპერიმენტულად დასაბუთებულია.

მაშ, რით გაანაწყენა ჩვენი „მეცენატი“ პროფ. გ. ნანეიშვილმა? რით და, პროფესორის ძირითადად დასკვნამ იმის შესახებ, რომ „სამართლის სფერო შედგება სამართლის აზრისაგან (იდეისაგან), მოქმედი აზრისაგან ანუ მოქმედი სამართლისაგან, და ამ მოქმედი აზრის განხორციელებისაგან“. თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, პროფ. გ. ნანეიშვილის აზრით: სამართალი მოიცავს მართლშეგნებას, მოქმედ სამართალს და სამართლებრივ ურთიერთობებს. ეს მოსაზრება სრულიად არ არის უცხო საბჭოთა იურიდიული მეცნიერებისათვის. საბჭოთა მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლიდა და თვლის, რომ სამართალი არის მხოლოდ მოქმედი სამართალი, მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ სამართალი მოიცავს მოქმედ სამართალს და სამართლებრივ ურთიერთობას, მესამე ჯგუფისათვის სამართალი ამოიწურება მართლშეგნებითა და მოქმედი სამართლით, ხოლო მეოთხენი პროფ. გ. ნანეიშვილის ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებენ. მაგრამ არავის აზრადაც კი არ მოსვლია, რომ რომელიმე მათგანი იდეალისტურად, უფრო მეტი რეაქციულად ან მავნედ გამოეცხადებინა, მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენში გაბატონებულია სამართლის ფართო გაგების კონცეფცია. ასევე არავის სადაოდ არ გაუხდია ის, რომ მართლშეგნებას (იდეოლოგიას) არ აქვს გავლენის ის ძალა, როგორცაც მოქმედი სამართალია აღჭურვილი, და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან მართლშეგნება არ არის უზრუნველყოფილი და არც შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი, მანამ ის არ მიიღებს კანონის ფორმას.

პროფ. გ. ნანეიშვილის კონცეფციაში მარქსისტული თვალსაზრისით მართლაც სადაოა მისი ერთი მტკიცება იმის შესახებ, რომ სამართლის იდეა (აზრი) მუდმივად არსებობს, დამოუკიდებლად იმისა, იქცევა თუ არა იგი მოქმედი სამართლის ნორმად. მარქსიზმისათვის ნამდვილად გაურკვეველია რითი საზრდოობს სამართლის ეს მუდმივი იდეა, რა კანონზომიერებას ექვემდებარება მისი არსებობა და საერთოდ სად არსებობს ეს მუდმივი იდეა ან ვინ ან რა არის მისი მატარებელი? ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლობამ დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე ლოგიკურად მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ემტკიცებინა პროფ. გ. ნანეიშვილის იდეალიზმი. მაგრამ ეს სრულიადაც არ აძლევდა არავის უფლებას ემტკიცებინა, რომ პროფ. გ. ნანეიშვილის მოძღვრება არის იდეალისტური. რადგან სამართლებრივი იდეების მუდმივობა უტყუარი ფაქტია, საჭიროა მათი მატერიალისტური ახსნა. პროფესორის კონცეფცია სამართლის ნამდვილობისა და სამართლის განხორციელების შანსების შესახებ მარქსისტული და უფრო მეტი, მეცნიერულად სრულიად არგუმენტირებულია. ამასთან, მეცნიერმა საკითხების კვლევისას დასაბუთების ისეთ დონეს მიაღწია, რაც დღემდე სრულიად მიუწვდომელია ბევრი მეცნიერისათვის. სანიმუშოა პროფ. გ. ნანეიშვილის მიერ სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის მეცნიერული გამიჯვნის ცდა, სამართლის იდეის მოქმედი სამართლის ნორმად გადაქცევის მეცნიერული არგუმენტირება. ანდა ავიღოთ მისი მოძღვრება ნორმატიული ფაქტების შესახებ.

პროფ. გ. ნანეიშვილის მოწინააღმდეგეთათვის დღემდე სრულიად აუხსნელი და გაუგებარი დარჩა ნორმატიული ფაქტების როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიკაში. იდეალიზმია სწორედ ის, რომ უარყო ისეთი ფაქტების არსებობა, რომლებიც სამართლის ანალოგიურად საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებს განსაზღვრავენ უფლებამოსილად და ვალდებულად. განა სრული უვიცობა არ არის ამტკიცო, რომ ხელშეკრულება არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს სამართლის ნორმა, რომელიც სცნობს ამ ხელშეკრულებას? ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ გააუქმო ხელშეკრულების ბათილობის ინსტიტუტი და კანონის კონტროლის გარეშე დატოვო კანონსაწინააღმდეგო გარიგებანი. სწორედ რომ ეს იქნება საზოგადოებრივად მავნე პოლიტიკის დამკვიდრება და კანონზე ტლანქი ზემოქმედების შესაძლებლობის დაშვება კანონგარეშე არსებული დესპოტური ასოციაციისაგან.

ის, რომ ხელშეკრულებას აქვს დამოუკიდებელი ნორმატიული ძალა, საკმაო მეცნიერული სერიოზულობით დაასაბუთეს შემდგომში ცნობილმა საბჭოთა მეცნიერებმა მ. მ. აგარკოვმა, დ. მ. გენკინმა, ს. მ. ნოვიციკმ, ვ. კ. რაიხერმა, რ. ო. ხალფინამ და სხვებმა, მაგრამ ისინი პოლიტიკურ მტრებად არავის მოუნათლია. მაინც რა საბუთი ჰქონდა ა. გეგენავას გამოცხადებინა პროფ. გ. ნანეიშვილის მოძღვრება ნორმატიული ფაქტების შესახებ პოლიტიკურად მავნე თეორიად? პროფ. გ. ნანეიშვილს ბრალად წაუყენეს ის, რომ იგი აფეტიშებდა ხელშეკრულების ნორმატიულ ძალას, რადგან მათი აზრით ხელშეკრულება ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და მისი დამკვიდრება სოციალისტურ სისტემაში ძირს უთხრის რევოლუციურ წესწყობილებას. ამ დებულების უაზრობა, სხვა რომ არა იყოს, პრაქტიკამ დაადასტურა და მისი მავნეობის შედეგებს დღეს ვიშკით. სწორედ რომ ხელშეკრულების, როგორც ქვეყნის სამეურნეო მართვის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალების, უგულვებელყოფამ და გეგმის გაფეტიშებამ ჩვენი ქვეყანა დღეს მიიყვანა კრიზისამდე სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, როგორც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების, თანაფარდობის საკითხისათვის

როზან შენგელია,

ურჩილიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნებისმიერ საზოგადოებაში სახელმწიფო ცდილობს საწარმოო ურთიერთობათა შინაარსის შესაბამისად განამტკიცოს სოციალური და კულტურული ცხოვრების სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი წარმონაქმნები, რომელთა ფორმების, ფუნქციების და სამართლებრივი მდგომარეობის მუდმივ გართულებას საფუძვლად უდევს საზოგადოების განვითარება. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ადრინდელ საფეხურზე საზოგადოებრივი წარმონაქმნების განვითარება უფრო მეტად სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მათი სანქციონირება სახელმწიფოს მიერ შედარებით გვიან ხდებოდა და ამიტომ სახელმწიფოს სრული შესაძლებლობა ჰქონდა წახალისებინა საზოგადოებრივ წარმონაქმნთა ესა თუ ის ფორმა, რომელიც მისაღები იყო მისთვის და შეესაბამებოდა საწარმოო ძალთა განვითარების არსებულ დონეს, ობიექტურ კანონზომიერებათა მოთხოვნებს. ასეთი საზოგადოებრივი წარმონაქმნები უმეტეს შემთხვევაში აღიარებული იყო სამართლის სუბიექტებად. ნებისმიერ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში იქმნებოდა მისთვის დამახასიათებელი წარმოების წესის შესაბამისი საზოგადოებრივი წარმონაქმნები.<sup>1</sup>

ამ მხრივ ამოუწყურავი შესაძლებლობანი გააჩნია სოციალისტურ სახელმწიფოს. ცალკეული ორგანოების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შექმნა, რომლის შემადგენელი ნაწილებიც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად გამოდიან, განპირობებულია სოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლებით. მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სახელმწიფო საკუთრების არსებობა წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, აგრეთვე ბუნების უმნიშვნელოვანეს რესურსებზე, საშუალებას აძლევს სოციალისტურ სახელმწიფოს შექმნას მმართველობის ორგანოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების რთული სისტემა. ეს სისტემა უშუალოდ მონაწილეობს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. სოციალისტური სახელმწიფო განსაზღვრავს ამ ორგანოების სტატუსსა და სამართალსუბიექტობას სამართლის სხვა სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. სახელმწიფო ორგანოთა მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შექმნას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარების ხელმძღვანელობის პროცესში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს.

<sup>1</sup> Р. О. Халфина, Общее учение о правоотношении, М., 1974, с. 129.

სოციალისტური სახელმწიფო წარმოადგენს მეურნეობრივ სუბიექტს. საბჭოთა სახელმწიფო წარმართავს რა სახალხო მეურნეობის განვითარებას, ახორციელებს მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სამეურნეო-ორგანიზატორულ ფუნქციას, რომლის განხორციელებისას იგი ყოველთვის მოქმედებს თავისი ორგანოების სისტემის მეშვეობით. ამ საქმიანობაში მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ელემენტები, ამიტომ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად საბჭოთა სახელმწიფო გამოდის სწორედ მაშინ, როცა თვითონ, თავისი ორგანოებით განკარგავს სახელმწიფო ქონებას. ამის გარეშე სახელმწიფოს არსებობა არც შეიძლება წარმოვიდგინოთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას თითქოს ამ ორგანოებს თავისი სახელით გამოსვლის უფლება არ ჰქონდეთ სამართლებრივ ურთიერთობებში. პირიქით, ისინი უფრო ხშირადაც გვევლინებიან სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებად.

სახელმწიფოს ორგანოების ცნება თავისთავად დამოუკიდებელი მსჯელობის საგანია. იურიდიულ ლიტერატურაში ორგანოს ცნება სხვადასხვა გაგებით იხმარება. როცა საკითხი ეხება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სამართლის სუბიექტის სახით სახელმწიფო ორგანიზაციების მონაწილეობას, ორგანოებში იგულისხმება თვით ეს ორგანიზაციები — საწარმოები, დაწესებულებები, ტრესტები, კომბინატები, გაერთიანებები. ამასთან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში ზოგჯერ ორგანოდ მიიჩნევა არა თვით ორგანიზაციები, არამედ მათი თანამდებობის პირები, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგენენ შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებს. სხვა მნიშვნელობით ორგანოები არ წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტებს, რადგან მათი მოქმედება მიიჩნევა თვითონ იმ ორგანიზაციების მოქმედებად, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. არ შეიძლება საწარმოსა და მისი დირექტორის უფლებათა გაიგივება არა მარტო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ უშუალო სამეურნეო საქმიანობის სფეროშიც.<sup>2</sup> ამიტომ ორგანოს სახით უნდა წარმოვიდგინოთ თვითონ ორგანიზაცია. სწორად მიუთითებს ი. კ. ტოლსტოი, რომ სხვაობა სახელმწიფოს ორგანოებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის სქოლასტიკური.<sup>3</sup>

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებს ცნობს სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად. ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში უმეტესად ერთმანეთისაგან ანსხვავებენ სახელმწიფო ორგანოებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს.<sup>4</sup>

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში სახელმწიფო ორგანოს სხვადასხვანაირი გაგებისათვის, ა. ა. პუშკინის აზრით, საფუძველი არ არსე-

<sup>2</sup> С. Н. Братусь, О некоторых вопросах соотношения экономики и права на современном этапе строительства коммунизма, Сб.: «Развитие теории государства и права», М., 1968, стр. 207.

<sup>3</sup> Ю. К. Толстой, Содержание и гражданско-правовая защита права собственности в СССР, Л., 1955, стр. 85.

<sup>4</sup> У. А. Ямпольская, Органы советского государственного управления в современный период, М., 1954, стр. 40, Ю. М. Козлов, Органы государственного управления, М., 1960, стр. 29. В. М. Манохин, Советское административное право. Саратов, общая часть, 1968, стр. 54.

ბოძს. იგი თვლის, რომ საწარმოს ადმინისტრაცია წარმოადგენს ორგანიზაციის ნაწილს მაშინაც კი, როცა იგი ხელისუფლებით უფლებამოსილებას ანხორციელებს. სახელმწიფო ორგანოდ ითვლება მთლიანად საწარმო. მეორე მხრივ, საწარმოს ზემდგომი სახელმწიფო აპარატის რომელიმე რგოლი განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება გამოვიდეს როგორც იურიდიული პირი.<sup>5</sup>

სახელმწიფო ორგანოების სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესახებ ცივილისტურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირი შეხედულებებია გამოთქმული. მაგალითად, რ. ო. ხალფინას აზრით, ყველა სახელმწიფო ორგანო ერთნაირ სამართლებრივ საწყისებზე არ გამოდის სამართლებრივ ურთიერთობებში. მათი ერთი ნაწილი თავის სახელით, ხოლო მეორე ნაწილი კი სახელმწიფოს სახელით მონაწილეობს. სახელმწიფო ორგანოთა პირველ ჯგუფს იგი მიაკუთვნებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს, მეორე ჯგუფში გულისხმობს სასამართლოს, პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროსა და სხვათა ორგანოებს. პირველი ჯგუფის სახელმწიფო ორგანოთა მონაწილეობა სამართლებრივ ურთიერთობებში მას დაკავშირებული აქვს სახელმწიფოსთან, როგორც ქონების სახელმწიფო ფონდის ერთადერთ და ერთიან მესაკუთრესთან. სახელმწიფო საკუთრების უფლებასთან (დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობა, მისი აზრით, ხდება მხოლოდ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განკარგავენ ამ ერთიანი ფონდის განსაზღვრულ ნაწილებს და თავიანთი სახელით გამოდიან სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფო ორგანოთა მეორე ჯგუფს კი აღნიშნული მდგომარეობა არ გააჩნიათ და უშუალოდ სახელმწიფოს სახელით გამოდიან.<sup>6</sup>

ჩვენთვის საინტერესო საკითხში თავისებური პოზიცია უკავია ა. ა. პუშკინს. მისი აზრით, სახელმწიფო ორგანოები ადმინისტრაციულ-სამეურნეო ურთიერთობებში ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესების მატარებელნი არიან და მისივე სახელით მოქმედებენ. სამაგიეროდ, ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც იმავდროულად იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში თავისი სახელით მონაწილეობენ და მხოლოდ თავისთვის შეიძენენ განსაზღვრულ სამოქალაქო უფლებებს.<sup>7</sup> ასეთი დასკვნა ა. ა. პუშკინს გამოაქვს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის სტატუსის ანალიზის საფუძველზე. სამოქალაქო სამართალში, მისი აზრით, ის სახელმწიფო ორგანო წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელიც თავისი სახელით გამოდის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად არ უნდა ჩაითვალოს პირი, რომელიც სახელმწიფოს სახელით გამოდის, ასეთ შემთხვევაში თვითონ სახელმწიფოა სამართლის სუბიექტი. აღნიშნულ შემთხვევებში ა. ა. პუშკინი სახელმწიფო ორგანოს ცნებაში გულისხმობს აგრეთვე ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებსაც. მისი აზრით, თუ სამართლის სუბიექტის სოციალისტურ გაგებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებზე გადავიტანთ, აღმოჩნდება, რომ სახელმწიფო ორგანოები არას-

<sup>5</sup> А. А. Пушкин, Советское государство, как субъект гражданского права, Харьков, 1965, с. 5-6.

<sup>6</sup> რ. ო. ხალფინას დასახელებული ნაშრომი, გვ. 170.

<sup>7</sup> ა. ა. პუშკინის დასახელებული ნაშრომი, გვ. 6-7.


დროს გამოდიან სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებად, მათი სახით სამართლის სუბიექტად ყოველთვის სახელმწიფო გვევლინება. მაგრამ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, მისი აზრით, არასწორია, რადგან ბევრი რამ უპასუზოდ რჩება.

ა. ა. პუშკინს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს რომელიმე კონკრეტული უფლების განხორციელება მისივე ორგანოების უფლების განხორციელებაცაა, სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული უფლება კი იმავე დროს შეუძლებელია არ იყოს თვითონ სახელმწიფოს უფლების შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოები იმიტომ მონაწილეობენ სახელმწიფოს სახელით, რომ მისი უფლებების განსაზღვრულ ნაწილს ახორციელებენ. ამასთან, ისინი რჩებიან ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტებად, რადგან თავისი ორგანოების სამართალსუბიექტობის მეშვეობით თუ არა, სხვაგვარად სახელმწიფოს მოქმედება არ შეუძლია. ამით აიხსნება სწორედ ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამართლებრივ ურთიერთობებში ყველა სახელმწიფო ორგანო, იმის მიუხედავად არის თუ არა ის იურიდიული პირი, ყოველთვის მოქმედებს სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად.

ა. ა. პუშკინი თვლის, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც იმავე დროს იურიდიული პირებიც არიან, გამოდიან თავისი და არა სახელმწიფოს სახელით. ასეთი მონაწილეობის საფუძველია მათი აღიარება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად. ზოლო თუ სახელმწიფო ორგანო იურიდიული პირი არ არის, მაშინ იგი უკვე მონაწილეობს არა თავისი არამედ სახელმწიფოს სახელით.

სახელმწიფოსა და მისი ორგანოების თანაფარდობის საკითხს შემდეგნაირად წყვეტს პ. პ. ვიტკიავიჩიუსი: სახელმწიფო ორგანო, როგორც სახელმწიფოს ნაწილი, ასრულებს თავისზე დაკისრებულ ფუნქციას, რაც ფაქტობრივად სახელმწიფოს ფუნქციის ნაწილია. ამისათვის სახელმწიფო ორგანო აღიჭურვება განსაზღვრული კომპეტენციით. კონკრეტული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც კომპეტენციის შემადგენელი ელემენტებია, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს უფლებებად და მით უფრო მოვალეობებად. ეს ის უფლებები და მოვალეობებია, რომელიც მათ წარმოეშობათ სახელმწიფო დავალებების შესასრულებლად. ამიტომ კონკრეტულ მოქმედებებს სახელმწიფო ორგანოები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებენ, თავიანთი სახელით. მაგრამ რადგან ისინი სახელმწიფოს ფუნქციებს ასრულებენ, გამოდიან აგრეთვე სახელმწიფოს სახელითაც. აქედან გამომდინარე პ. პ. ვიტკიავიჩიუსი ასეთ დასკვნას აკეთებს: ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სახელმწიფოს ფუნქციების განსახორციელებელი და სამართლებრივ ურთიერთობათა განხორციელების შედეგების სუბიექტები. პირველი ჯგუფის სუბიექტებს იგი მიაკუთვნებს სახელმწიფო ორგანოებს, ზოლო მეორე ჯგუფის გავრცელებულ სუბიექტად თვლის სახელმწიფოს. სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ასეთი თანაფარდობა პ. პ. ვიტკიავიჩიუსის აზრით, მისაღებია ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის გარდა სახალხო დეპუტატთა უმაღლესი საბჭოსი.<sup>8</sup>

<sup>8</sup> П. П. Виткявичюс, Гражданская правосубъектность советского государства, Вильнюс, 1978, с. 80-81.



ახასიათებს რა ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებშიც სახელმწიფოს ინტერესები პოპულობენ ასახვას, მ. ი. ბრაგინსკი მიიჩნევს, რომ ამგვარ ურთიერთობებში უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც განსაზღვრული კომპეტენცია გააჩნიათ და გარკვეულწილად სახელმწიფოს სახელთაც გამოდიან.<sup>9</sup>

ჩვენის აზრით, აღნიშნული შეხედულებები საკიროებს ზოგიერთ დაზუსტებასა და დამატებას. მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ისეთი ზოგადი დასკვნა გაკეთდეს, სადაც სრულად იქნება მოცემული სახელმწიფოსა და მისი ორგანოების სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის თანაფარდობის ასპექტები. დასახელებული ავტორები აკი სამართლიანადაც მიუთითებენ იმაზე, რომ სახელმწიფოს მისი ცალკეული ორგანოების გარეშე არც არსებობა შეუძლია და არც მოქმედება. სწორედ სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად იქმნება ცალკეული ორგანოები, რომლებიც აღჭურვილნი არიან ხელისუფლებითი ხასიათის უფლებებით და განსაზღვრული ვალდებულებებით. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო ორგანოები ყოველთვის მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით, რომ სახელმწიფოს ესა თუ ის უფლება შეიძლება არსებობდეს და ხორციელდებოდეს როგორც მისი ორგანოების უფლება და პირიქით, რომ სახელმწიფო ორგანოების უფლებები ამავე დროს არ შეიძლება არ იყოს თვითონ სახელმწიფოს უფლებების შემადგენელი ნაწილი.

სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ამგვარი თანაფარდობა ეწინააღმდეგება მთელისა და ნაწილის თანაფარდობის დიალექტიკურ გაგებას. თუ იმ უფლებას, რომელსაც სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, ჩავთვლით ამავე დროს თვითონ სახელმწიფოს უფლების შემადგენელ ნაწილად, მაშინ, სახელმწიფო, როგორც განსაზღვრული სისტემა, უნდა წარმოვიდგინოთ თავისი ორგანოების უბრალო ერთობლიობად, რომელიც არავითარი დამოუკიდებელი უფლებებითა და თავისებურებებით არ ხასიათდება. ასეთი ერთობლიობა და მთლიანობა არც წარმოადგენს სისტემას. სინამდვილეში თვითონ სახელმწიფოა რთული ორგანული სისტემა. ამიტომ არ შეიძლება სახელმწიფოს გაიგივება მისი ორგანოების ერთობლიობასთან.

ცნობილია, რომ მთელის ნაწილს გააჩნია ნაწილისათვის დამახასიათებელი ფუნქცია. ეს ფუნქცია გარკვეული ხარისხით განსაზღვრავს კიდევ მთელის ფუნქციას, მაგრამ ნაწილი ამავე დროს ისეთი სპეციფიური თავისებურებებითაც ხასიათდება, რაც მფელს არ გააჩნია.<sup>10</sup> თუ ამ დებულებას სახელმწიფოსა და მისი ორგანოების თანაფარდობაზე გადავიტანთ, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სახელმწიფო ორგანო, როგორც სახელმწიფოს ნაწილი, ახორციელებს რა თავისზე დაკისრებულ განსაზღვრულ ფუნქციას, საბოლოო ჯამში იგი მიმართულია სახელმწიფოს ფუნქციის შესასრულებლად. ამისათვის სახელმწიფო ორგანოს განესაზღვრება შესაბამისი უფლებათა და მოვალეობათა გარკვეული სისტემა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს თვითონ სახელმწიფოს, როგორც მთელის, უფლებათა და მოვალეობათა

<sup>9</sup> М. И. Брагинский, Участие советского государства в гражданских правоотношениях, М., 1981, с. 12.

<sup>10</sup> В. И. Блауберг, Б. Г. Юдин. Понятие целостности и его роль в научном познании, М., 1972, стр. 15-17.



სისტემად. ამ უფლებებითა და მოვალეობებით სახელმწიფო ორგანოები აღი-  
ჭურვებიან და მათი შესრულების პროცესში სახელმწიფო ორგანოები გამო-  
დიან სახელმწიფოს სახელით. ამიტომ კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ  
სახელმწიფო ორგანოები მხოლოდ თავისი ან მხოლოდ სახელმწიფოს სახე-  
ლით გამოდიან სამართლებრივ ურთიერთობებში, არასწორია. ისინი ერთ-  
დროულად შეიძლება გამოვიდნენ როგორც თავისი, ასევე სახელმწიფოს სა-  
ხელით.

საბჭოთა სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებუ-  
ლი სუბიექტი, სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ნე-  
ბისმიერი სახის ორგანოების მეშვეობით. ასეთ ორგანოებს მიეკუთვნება რო-  
გორც ხელისუფლების ისე მმართველობის ორგანოები, როგორც საკრედიტო და  
საფინანსო, ისე პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები. საბჭოთა  
სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით მონაწილეობს არა მარტო ქო-  
ნებრივ, არამედ ორგანიზაციულ ურთიერთობებში. ასეთი ურთიერთობები  
ზშირად ერთიმეორესთანაა დაკავშირებული და ერთმანეთსაც განაპირობებენ.  
ორგანიზაციული ურთიერთობანი წარმოიშობა სახელმწიფო მმართველობის  
ზემდგომ და ქვემდგომ ორგანოებს შორის, აგრეთვე მათ და ცალკეულ სა-  
ხელმწიფო საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს შორისაც. საწარმოე-  
ბისა და ორგანიზაციების სამეურნეო და საგეგმო საქმიანობის ხელმძღვანელო-  
ბის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები ქონებრივი ხასიათისა არ არის,  
მაგრამ ისინი ქონებრივ ურთიერთობათა წარმოსაშობ ერთგვარ წინაპირობად  
გვევლინებიან. მათი შინაარსი იმაშია, რომ სახელმწიფო ორგანოები ამ შემთხ-  
ვევაში განკარგავენ სახელმწიფო ქონებას, არა თავისი, არამედ სახელმწიფოს  
სახელით. ამიტომ ქონებრივი ურთიერთობა აქ წარმოიშობა არა სახელმწიფო  
ორგანოსა და ცალკეულ საწარმოებს შორის, არამედ მთლიანად სახელმწიფო-  
სა და საწარმოს შორის.

რადგან სახელმწიფოს თავისი ნებისმიერი ორგანოს მეშვეობით შეუძლია  
მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში, ბუ-  
ნებრივად ისმის კითხვა: ის ორგანო, რომელიც სახელმწიფოს სახელით გამო-  
დის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, აუცილებელია თუ არა  
იყოს იურიდიული პირი და საბიუჯეტო დაწესებულება უნდა იყოს იგი თუ  
სამეურნეო ორგანიზაცია? ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს ინტერესების  
მატარებლად უმეტესად გვევლინება იურიდიულ პირად წარმოდგენილი სახელმ-  
წიფო ორგანო. მაგრამ იურიდიულ პირებთან ერთად, სამოქალაქო სამართ-  
ლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს სახელით შეიძლება გამოვიდნენ აგ-  
რეთვე ისეთი ორგანოები, რომლებსაც სამოქალაქო სამართალსუბიექტობა არ  
გააჩნიათ, ასეთი ორგანოები სახელმწიფოს წარმომადგენლებად უმეტესად  
საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში გვევლინებიან. მაგალითად, სავაჭრო წარ-  
მომადგენლობები, რომლებიც არ სარგებლობენ იურიდიული პირის სტატუ-  
სით, მოწოდებულნი არიან შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება საბჭოთა კავ-  
შირის სახელით. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით წარმოშობილ სამართლებრივ  
ურთიერთობებს, მათში სახელმწიფოს სახელით უმრავლეს შემთხვევაში იური-  
დიული პირები გამოდიან. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს ეს იურიდიული პირი  
სამეურნეო ორგანიზაცია იქნება თუ საბიუჯეტო დაწესებულება.



# სიხლენი, როგორც მხარდაჭერის ღირსია

ომარ ალავიძე, ალექსანდრე ანჯაფარიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური  
სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტები

ჩვეულებრივ საექსპერტო-კრიმინალისტიკური დაწესებულებები აღჭურვილია შემადარებელი მიკროსკოპებით (მსკ—1), რომელთა დანიშნულებაა ობიექტების კრიმინალისტიკური გამოკვლევა და მათზე არსებული მიკროტრასების ფოტოგადაღება როგორც ცალ-ცალკე ისე ერთდროულად.

დასახელებული მიკროსკოპი საიმედო და უნივერსალურ ტექნიკურ საშუალებად ითვლება და ფართოდ არის გამოყენებული სასამართლო-ბალისტიკური და სასამართლო ტრასოლოგიური ექსპერტიზების ჩატარებისათვის. თუმცა პრაქტიკული მუშაობის მსვლელობაში აღმოჩნდა მათი ნაკლოვანებებიც, რაც გამოიხატება იმაში, რომ ობიექტების ფოტოგრაფირებისას, კერძოდ კი დიდფორმატიანი ტექნიკური ფირის ზომებად დაჭრის, ფირსადების დამუხტვის, ექსპოზიციის დაყენების, გადაღების, ცალკე გამყლაგების და იმავე კადრების დუბლირების დროს მნიშვნელოვნად დიდი დრო იხარჯება. ამას ისიც ემატება, რომ მიკროსკოპზე მუშაობის პროცესი რთული და მოუხერხებელია, რადგან ოპტიკის მქრქალი მინა ისეა დაშორებული გადასაღები ობიექტიდან, რომ ძნელი ხდება გადასაღები ობიექტების კვალთა მიკროტრასების კერძო ნიშნების სიმკვეთრის დაყენება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიკროსკოპზე კონსტრუქციულად და პრაქტიკულად მოუხერხებლად და დაყენებული ფოტოტუბუსი. ასეთ პირობებში გადაღების ოპტიმალური ვარაუდის მოძებნა მომქანცველია მასზე მომუშავე სპეციალისტებისათვის.

გამომდინარე აქედან, ამ მიკროსკოპზე მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ჩვენ დავამუშავეთ სპეციალური დამატებითი მოწყობილობა, რაც მკვეთრად აადვილებს მასზე კვლევისა და სამეცნიერო ფოტოგრაფირების პროცესების ჩატარებას, ზრდის მუშაობის ეფექტიანობას, დაახლოებით 50-60 პროცენტით ამცირებს ექსპერტიზების ჩატარების ვადებს.

მიკროსკოპზე მუშაობის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ხელსაწყო მიკროსკოპს უკეთდება წინა პანელზე, რომელსაც მოეხსნება ბინოკულარული სტერეოსკოპიული ტუბუსი, მის ადგილზე უნდა დადგეს ჩვენს მიერ დაიზადებული ხელსაწყო-მისადგმელი ფოტოაპარატ „ზენიტი“. ეს ხელსაწყო ამცირებს საფოკუსო მანძილს გადასაღებ ობიექტამდე, რაც დადებითად მოქმედებს კვლევის ობიექტების გამოხატულების ხარისხზე. გადასაღები ობიექტის კერძო ნიშნები მკვეთრად ჩანს აპარატის ხედმძებნში და საშუალებაა გვაძლევს უშუალოდ შედარებით კვლევით პროცესში მოვანდინოთ ობიექტების მიკროტრასების შეთავსების მომენტალური ფიქსირება ფოტოფირზე. ეს კი ზემოთ დასახელებულ მიკროსკოპზე არ ხერხდებოდა. მიკროსკოპზე მუშაობის პროცესში ექსპერტიზების ჩატარების ვადების შემცირება გამოიწვია მასში მცირე ფორმატიანი ფოტოკამერის მოწყობამ, რომელშიც ფოტოგადა-

ღებისათვის გამოიყენება 35 მილიმეტრიანი სხვადასხვა მგრძობიარობის ფოტოფირები (მიკრატ—200 და მიკრატ—2300). მათი შერჩევა დამოკიდებულია გადასაღები ობიექტების ხასიათზე (ფერზე), ბზინვალობაზე, განათებაზე და სხვა). ფირსადებში მთლიანად თავსდება 36 კადრი, რასაც თვით ფოტოაპარატის კონსტრუქცია ითვალისწინებს. ობიექტების გადაღება წარმოებს მიყოლებით, სწრაფად და შეუფერხებლად. ისიც აღსანიშნავია, რომ გადაღებული ფოტოფირის გამჟღავნება წარმოებს ერთდროულად, დაახლოებით 10-15 წუთში და ასევე მოკლე დროში ხდება გადაღებული ფოტოფირიდან სურათების დაბეჭდვა. ასე ოპერატიულად ყველაფრის გაკეთება ჩვენგან დამუშავებული ხელსაწყოს გარეშე შეუძლებელი იყო და მართლაც იგი ხშირად რამოდენიმე დღე და ზოგჯერ მთელი კვირაც კი გრძელდებოდა. ჩვენგან დანერგილი სიახლე ხელს უწყობს იმას, რომ შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდეს რთული და მრავალობიექტიანი ექსპერტიზები რაც, ცხადია, წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

აი, ამის დამადასტურებელი ორიოდ მაგალითიც:

შუალამისას, მთვრალმა ბ-მ „ნავანის“ სისტემის რევოლვერიდან განზრახ მოკვლის მიზნით სამჯერ ესროლა ლ-ს და დაჭრა. ასევე მოექცა იგი მოქალაქე ქ-ს და ტყვია მასაც ესროლა, ხოლო შემთხვევის ადგილზე „ყოველით“ მისულ რაიგანყოფილების თანამშრომლებს სამჯერ დაახალა იარაღიდან, რის შედეგადაც ავტომანქანას ორ ადგილზე დაუზიანდა საქარე მინა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იქნა „ნავანის“ სისტემის რევოლვერი 7 ცალი მასრით, ხოლო ქ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოდან 11 ცალი ვაზნა და ერთი ცალი ტყვია. ავტომანქანის დათვალიერების დროს კი მის სალონში იპოვეს სამი ცალი ტყვია. საქმეს დაერთო აგრეთვე ავტომანქანის წინა საქარე მინა, რომელიც ორგან იყო ტყვიით დაზიანებული.

სისხლის სამართლის მეორე საქმე კი ამგვარია: თავის საცხოვრებელ სახლში ვინმე კ-მ ცეცხლმსროლელი იარაღით გაუფრთხილებლობით დაჭრა ს-ი, რომელმაც სხეულის მძიმე ჭარისხის დაზიანება მიიღო. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებულ იქნა ცეცხლმსროლელი იარაღი და ერთი ტყვია.

ორივე საქმე მრავალობიექტიანი იყო. ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დაისვა რთული საკითხები და ეხებოდა ცეცხლმსროლელი იარაღების იდენტიფიკაციას, სროლის მანძილის დადგენას, იარაღის ვარგისიანობას და სხვა. იმისათვის, რომ დასკვნები გაცემულიყო შემჭიდროებულ ვადებში, გამოვიყენეთ ჩვენთან დანერგილი ზემოთ აღნიშნული ტექნიკური სიახლე, რამაც საშუალება მოგვცა უმოკლეს დროში გავგვეცა პასუხი ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვებისათვის.

მართლაც რომ გაამართლა ამ მეთოდმა, განყოფილებაში უამრავი ბალისტიკური და ტრასოლოგიური რთული მრავალობიექტიანი საქმე იქნა შესწავლილი ჩვენეული შემადარებელი მიკროსკოპით და ექსპერტიზების ჩატარების დაჩქარებასაც უპირველესად სწორედ ამან შეუწყობ ხელი.

ორივე საქმის გამოძიება დროულად და ხარისხიანად დამთავრდა, სასამართლო განხილვამაც გართულელების გარეშე ჩაიარა და დამნაშავენი ღირსეულად დაისაჯნენ. ცხადია, ამ წარმატებებში ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა სწორედ ჩვენგან ჩატარებულმა ექსპერტიზამ თქვა.



# ქანონი სოციალისტურ სამართლებრივ

## სახელმწიფოში

გიორგი ხუჯუა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ასპირანტი

საბჭოთა საზოგადოების თანამიმდევრული დემოკრატიზაციის პროცეს-  
მა გადაწყვეტ ფაზას მიაღწია, რადაც მან უნდა დაასრულოს ჩვენს ქვეყანაში  
სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თავისთავად  
სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ახალი არ არის და მისი პრინციპული დე-  
ბუტლებები მართლაც ისტორიულია. რაც შეეხება სახელმწიფოში კანონის  
უზენაესობას, — მასზე ჯერ კიდევ ძველი დროის მოაზროვნეები — პლატო-  
ნი, არისტოტელე, ციცერონი, შემდგომში კი მონტესკიე, ლოკი, რუსო, გრო-  
ციუსი წერდნენ. სამართლებრივი სახელმწიფოს ფილოსოფიური საფუძვლები  
სრულყოფილად დაამუშავა კანტმა, თუმცა მას ტერმინი „სამართლებრივი სა-  
ხელმწიფო“ არც უხმარია. „სამართლებრივი სახელმწიფო“ ცნება 1813 წელს  
პირველად იხმარა გერმანელმა ისტორიკოსმა კარლ ვერკერმა, რომელიც სა-  
მართლებრივ სახელმწიფოს, დესპოტიასა და თეოკრატიასთან ერთად, მიიჩნე-  
და სახელმწიფოს ერთ-ერთ ფორმად.<sup>1</sup> გერმანიაში ამ თეორიას ჰყავდა ისეთი  
გამოჩენილი მიმდევრები, როგორებიც იყვნენ რუდოლფ ფონ გნეისტი, ოტო  
ბერი, ლორენც ფონ შტეინი და სხვები, ინგლისში — დაისი. თავისი მომხრე-  
ები ჰყავდა მას რევოლუციამდელ რუსეთშიც — კისტიაკოვსკი, კოტლიარევსკი,  
კორკუნოვი, შერშენევიჩი და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში ამ თეორიისადმი ინტერესი რამდენადმე შე-  
ნელდა, ხოლო იმ ფაქტმა, რომ იგი ჰიტლერის სახელმწიფო იდეოლოგიის სა-  
ფუძველი გახდა, მნიშვნელოვნად დასცა მისი ავტორიტეტი. თუმცა, 50-იან  
წლებში სურათი მკვეთრად შეიცვალა, რადგან იგი კვლავ აღორძინდა და ფა-  
თოდ გავრცელდა დასავლეთში. მისი სხვადასხვა ვარიანტები დღეისათვის პი-  
რდაპირაა აღიარებული გფრ-ის, ესპანეთის, იტალიის, კონსტიტუციებით, ხოლო  
უშუალოდ გამომდინარეობს ავსტრიის, აშშ-ის, შვეიცარიის კონსტიტუციათა  
პრინციპებიდან. დასავლეთში შექმნილია აგრეთვე სპეციალური ორგანიზაცია  
— იურისტთა საერთაშორისო კომისია, რომელიც თავის დანიშნულებად ამ  
თეორიის პროპაგანდას მიიჩნევს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემ-  
დეგ სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია ჩვენს ქვეყანაში აღიარებული იქ-  
ნა ანტისოციალისტური, მაგნე შინაარსის მქონე იმთავითვე მცდარ თეორიულ  
დებულებად და იგი გაბატონებული იყო XIX საკავშირო პარტკონფერენცი-  
ამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მანამდეც, ცალკეული საბჭოთა სწა-  
ვლული იურისტები (ვ. მ. ჩხიკვაძე, ვ. ა. ტუმანოვი, ვ. ს. პეტროვი, ა. თ. ჩერ-

<sup>1</sup> Критика современной буржуазной теории права, М: 1969, с. 241.

დანცევი, ვ. მ. სავიცკი) აღიარებდნენ და მხარს უჭერდნენ ამ თეორიის მთელ რიგ პოზიტიურ დებულებებს.<sup>2</sup>

როგორც ცნობილია, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს სახელმწიფოში კანონის უზენაესობა. „კანონი იძენს პირველადი რეგულატორის მნიშვნელობას, ეს კი ნიშნავს, იმას, რომ ხელისუფლებაც, მმართველობაც და მოქალაქეთა ქცევაც თანაბრად უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ კანონს“.<sup>3</sup> კანონის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა, მისი მოქცევა საზოგადოებისათვის მისაღებ, მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოითხოვს სახელმწიფოსა და კანონს შორის ურთიერთმიმართების ახლებურ გააზრებას. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდ დავას იწვევს ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „დიქტატურა არის ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონით არ არის შეზღუდული“;<sup>4</sup> აგრეთვე, „დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვა არას ნიშნავს, თუ არა უშუალოდ ძალადობაზე დაყრდნობილ ხელისუფლებას, რომელიც არაფრით არ არის შეზღუდული, არავითარი კანონებით, აბსოლუტურად არავითარი წესებით არ არის შეზღუდული“.<sup>5</sup>

მოკამათეთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს კანონის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას და აღიარებს სახელმწიფოს უდაო პრიორიტეტს სამართლის წინაშე. სხვები კი მიიჩნევენ, რომ სამართალს, როგორც აბსტრაქტულ პრინციპს, აბსტრაქტულ ნებას ან ჯერარსობის აბსტრაქტულ ნორმას, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური სუბსტანცია, რეალურად არ ძალუძს შეზღუდოს სახელმწიფო, როგორც სუვერენული ძალაუფლება. კანონის მიერ სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ინსტიტუციონალურ დონეზე, როდესაც ცალკეული სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირნი, მოვალენი არიან იმოქმედონ კანონიერების პრინციპის შესაბამისად.<sup>6</sup>

კანონში ერთგვარად უპირისპირდება ერთმანეთს სამართლიანობის მომენტი და პოლიტიკური ძალაუფლების მომენტი. მათ შორის წარმოშობილი დისპარმონიის შემთხვევაში, როგორც წესი, იმარჯვებს ძალა,<sup>7</sup> რაც თავისთავად მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. აქ აუცილებლად უნდა დომინირებდეს სწორედ პირველი მომენტი — კანონი უნდა იყოს „სამართლებრივი“ — უნდა გამომდინარეობდეს საგანთა სამართლებრივი ბუნებიდან.<sup>8</sup>

სამართალი გაცილებით უფრო მდიდარი შინაარსის მქონე მოვლენაა ვიდრე კანონი. მის ფორმირებას უშუალოდ საზოგადოება ახდენს. როგორც სამართლისადმი ე. წ. „სოციეტალური“, „გენეტიკური“ მიდგომის მომხრეები აღნიშნავენ, იგი წარმოადგენს თავისუფლების მასშტაბს, ნორმატიულად გან-

<sup>2</sup> Пеновский Н. Единство и взаимодействие государства и права, М., 1982, с. 120-121.

<sup>3</sup> Тихомиров Ю. А. Закон в социалистическом правовом государстве, «Сов. гос. и право», 1988, № 10, с. 4.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 231.

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 428.

<sup>6</sup> Пеновский Н. Единство и взаимодействие государства и права, М., 1982.

<sup>7</sup> Мушинский В. О. Соотношение политики и права в регулировании социальных интересов, «Сов. гос. и право», 1988, № 2, с. 5.

<sup>8</sup> Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. I, с. 122.

მტკიცებულ სამართლიანობას, რომელიც კანონმდებლობას ერთგვარად ავსებს სხვადასხვა სამართლებრივი პრინციპებით, პრეზუმფციებით, იურიდიული ინსტიტუტებით და გარანტიებით. სამართალი, როგორც ისტორიულად აუცილებელი მოვლენა არ შეიძლება იყოს „კარგი“ ან „ცუდი“, მაშინ როცა შეფასების ეს კრიტერიუმები თავისთავად მისაღებია ამა თუ იმ კონკრეტული კანონის მიმართ. თუმცა სამართლისადმი „სოციალური“ მიდგომის მომხრეები დღესაც დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან, ე. წ. „ეტატიზტური“ გაგების მომხრეთა მხრიდან, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ამ უკანასკნელთა პოზიცია, რომლებიც სახელმწიფოს განიხილავენ როგორც სამართლის ერთადერთ შემოქმედს, უდაოდ არ უნდა იყოს გაზიარებული. მითუმეტეს, რომ იგი ბევრ დასავლეთელ ავტორს საკმაოდ საბაზს აძლევდა იმისათვის, რათა გამოეცხადებინა თითქოს „საბჭოთა კავშირში წინა პლანზეა წამოწეული არა სამართლის ან ადამიანთა უფლებების იდეა, არამედ კოლექტივისტური ეკონომიკისა და სოციალისტური სახელმწიფოს იდეა“.<sup>9</sup>

კანონსა და სამართალს შორის არსებული თვისობრივი ხასიათის განსხვავება ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ძველი კანონი „კვდება“ გაცილებით უფრო ადრე, მის ოფიციალურ გაუქმებამდე, ახალი სამართალი კი ჩნდება უფრო ადრე, ვიდრე იგი გარანტირებული იქნება კანონით. ამიტომ საჭიროა „მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პერიოდი ძველი კანონის აგონიასა და ახალი სამართლის ოფიციალურ აღიარებას შორის“.<sup>10</sup> ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიად უნდა იქცეს საზოგადოებაში ხელისუფლების დანაწილება — ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ხელისუფლების დანაწილება სწორედ საზოგადოებაში და არა სახელმწიფო მექანიზმის შიგნით. უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ფუნქციების ერთგვარი დეცენტრალიზაცია, საზოგადოება უნდა განთავისუფლდეს სახელმწიფოს მხრიდან წვრილმანი მეურვეობისა და „მზრუნველობისაგან“. საჭიროა საბოლოოდ დაეძლიოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციათა ინვერსია, როდესაც სახელმწიფოს ე. წ. „პატერნალისტური“ ფუნქციების ზრდის კვალობაზე შეიზღუდა საზოგადოებრივი თვითრეგულირების პროცესი.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავეთ დგება საკითხი პოლიტიკის განხორციელების არასამართლებრივი ფორმების შესახებ, რამდენადაც საზოგადოებისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობა ხორციელდება როგორც მოქმედი კანონების, აგრეთვე წმინდა ფაქტური, ორგანიზაციული საქმიანობის საფუძველზე. რეალურად, საზოგადოების განვითარების დიალექტიკა სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებშიც გამოიწვევს მისი ბევრი მხარის რეგულირებას სახელმწიფო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმებით (როდესაც სამართლებრივი ფორმა ჯერ არ არსებობს, ხოლო თვითონ არსებული ურთიერთობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მის კონტროლზე აყვანას). კანონს, მისთვის დამახასიათებელი დიალექტიკური წინააღმდეგობის გამო (წინააღმდეგობა კანონის სტატიკურ ბუნებასა და საზოგადოების განვითარების დინამიკურ ხასიათს შორის), ობიექტურად არ ძალუძს ამ პრობლემის

<sup>9</sup> Р. Давид. Основные правовые системы современности, М., 1967, с. 182-183.

<sup>10</sup> Мушинский В. О. Соотношение политики и права в регулировании социальных интересов, «Сов. гос. и право», 1988, № 2, с. 6.

გადაჭრა. ამ შემთხვევაში არც სამართლის უნივერსალური პრინციპი — „ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული“, — შველის საქმეს, რადგანაც მისი გავრცელება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე. აქ უნდა მოქმედებდეს საწინააღმდეგო პრინციპი — არცერთი თანამდებობის პირი და სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით. სახელმწიფო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმებისადმი კონტროლის განხორციელების მექანიზმი ჩვენთან მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. დღესდღეობით ეს ფუნქცია ძირითადად კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტისა და სასამართლოების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ვფიქრობთ, რომ გამართლებულია იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონებით და არა მიმდინარე პოლიტიკის მოთხოვნებით. ამიტომ სასურველი იქნებოდა მათი დაკომპლექტება არა „პოლიტიკისა და სამართლის სპეციალისტებისაგან“, როგორც ეს დღეისათვისაა გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან<sup>11</sup>.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში კანონის როლის ამაღლება უშუალოდაა დაკავშირებული საერთოდ პოლიტიკური სისტემის გარდაქმნასთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წარმომადგენლობითი ორგანოების რეალური ძალაუფლება. იმ ფაქტმა, რომ ეს ძალაუფლება წინა წლებში ფაქტიურად სახელმწიფოს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ხელში მოექცა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის მდგომარეობა, როდესაც ე. წ. „უწყებრივი სამართალშემოქმედების“ აქტებმა წააღიარა კანონთა ისედაც მცირე მასივი. 1978-1986 წლებში მიღებული ნორმატიული აქტების საერთო რიცხვიდან, კანონებმა მხოლოდ 1,4 პროცენტი შეადგინა<sup>12</sup>.

რა თქმა უნდა კანონთა რიცხვის უბრალო მექანიკური ზრდა თავისთავად როდი იძლევა კანონის უზენაესობის გარანტიას. ამ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა საბოლოოდ გარკვეულიყო იმ საკითხთა წრე, რომლებიც თავიანთი განსაკუთრებული მნიშვნელობით აუცილებლად უნდა რეგულირდებოდეს კანონით. უპირველესად ესენია ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც შეადგენენ საზოგადოების ფუნდამენტს, აგრეთვე უშუალოდ მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენისა და განმტკიცებისაკენ მიმართებული აქტები.

ინტენსიური საკანონმდებლო რეგულირების პირობებში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა დადგინდეს მისი საზღვრები. თუ კანონი ადეკვატურად ასახავს საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს, მაშინ ლეგალური რეგულირების სფერო მაქსიმალურ შესაბამისობაში იქნება აუცილებელი რეგულირების სფეროსთან და იდეაში, შეიძლება დაემთხვეს კიდევ. მაგრამ, პრაქტიკაში, გამოირიცხული არაა, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო (სუბიექტური ხასიათის შეცდომები და სხვ.) კანონის ზედმეტმა ჩარევამ

<sup>11</sup> Лазарев В. «Разделение властей» и опыт советского государства, «Коммунист», 1988, № 16, с. 51.

<sup>12</sup> Сильченко Н. В. Количественное соотношение между видами актов и проблемы теории закона, «Сов. гос. и право», 1988, № 2, с. 17.

საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში, გამოიწვიოს არასასურველი შედეგები. ამის თავიდან ასაცილებლად კანონი ყოველმხრივ უნდა ითვალისწინებდეს და ამავე დროს მოქმედების ფართო ასპარეზს უტოვებდეს ეკონომიკას, სოციოლოგიას, ზნეობას. საზოგადოებრივი ცხოვრების ის მხარეები, რომლებსაც თვითრეგულაციის პირობებშიც ძალუძთ ნორმალური ფუნქციონირება, სასურველია საერთოდ დარჩნენ საკანონმდებლო რეგულირების საზღვრებს მიღმა.

განსაკუთრებით საშიშია ობიექტური ეკონომიკური კანონების იგნორირება. დღეს, ეკონომიკური დემოკრატიისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის ზრდის პირობებში, არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს იმ ფაქტს, რომ ჩვენში მოქმედი 30 ათასი ნორმატიული აქტის დაახლოებით 85 პროცენტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანს არეგულირებს. სახელმწიფო მმართველობა უძლურია რეალურად მოიცვას მილიარდობით სამეურნეო კავშირები, რაც აუცილებელია 20 მილიონი სახეობის პროდუქციის წარმოებისათვის.<sup>13</sup>

საყოველთაოდ ცნობილია თუ რა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა ჩვენი ეკონომიკა მმართველობის ასეთმა მეთოდმა. ამიტომ კანონი მოწოდებულია შექმნას სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ფართო შესაძლებლობები, ბევრ შეთხვევაში კი უარი თქვას სამეურნეო კავშირების საკანონმდებლო რეგულირებაზე.

სამართლებრივ სახელმწიფოში მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ იმ შეფასებითი, სიტუაციური ხასიათის იურიდიულ ნორმათა რაოდენობა, რომლებიც არ ადგენენ რეგულირების მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებს, მოითხოვენ შემდგომ ნორმატიულ კონკრეტუზაციას. ამ მხრივ საკმაოდ სცოდავენ ამ ბოლო პერიოდში მიღებული კანონებიც. მაგალითად, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონის 23 მუხლი შეიცავს 25 მითითებას სხვა ნორმატიულ აქტებზე<sup>14</sup>. კანონქვემდებარე აქტებში სწორედ უამრავი საკითხის დეტალური რეგულირების აუცილებლობა იწვევს იმას, რომ მათში „მოქალაქეთა ინტერესებზე, გარდა „ყაზანის“ და „კალუგის“ ინტერესებისა, ზშირად დომინირებდა „რკინიგზის“, „ელექტროტექნიკური“, ადგილობრივი და უწყებრივი ინტერესები“.<sup>15</sup>

ამასთანავე, იურიდიული ნორმების ამა თუ იმ რესპექტაბელურ სამართლებრივ ფორმაში (კანონი, კანონქვემდებარე აქტი) მოქცევა უკვე როდი ნიშნავს იმას, რომ ეს კანონი მოქმედებს, ცოცხლობს. დღეისათვის ჩვენ საკმაოდ მოგვებოვება ისეთი ხასიათის ნორმები, ე. წ. მკვდარი ნორმები, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური ფასადის შელამაზება, რომელთა შესრულებაც არ იყო განმტკიცებული სოციალური, ეკონომიკური და სხვა სახის გარანტიებით. თავისთავად, თუნდაც ისეთი კონსტიტუციური ნორმების არსებობას, როგორცაა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებები, სახელმწიფოს მხრიდან

<sup>13</sup> Нурашвили В. П. Очерк теории государственного управления, М., 1987, с. 49.

<sup>14</sup> Пиголкин А. С. Совершенствование советского законодательства на современном этапе, «Сов. гос. и право», 1988, № 1, с. 17.

<sup>15</sup> Малейн Н. С. Гражданский закон и права личности в СССР, М., 1981, с. 37-58.



შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების გატარების გარეშე, არ ძალუძთ მოგვეცნე მშრომელთა მდგომარეობის რეალური გაუმჯობესება. ხოლო როცა მიღებული კანონი ვერ წყვეტს არსებულ პრობლემას, საზოგადოებაში იკარგება რწმენა სამართლის სოციალური ღირებულებისადმი. ამიტომ, ყოველი კანონის მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, თუ რა რესურსებით (მატერიალური, ფინანსური და სხვ.) შეგვიძლია მათი მოთხოვნების რეალური განხორციელება.

სოციალისტურ სამართლებრივ სახელმწიფოში ახლებური შინაარსით უნდა შეივსოს კანონის ისეთი ფუნქციები, როგორიცაა მოდალურ-ინფორმაციული, რეგულაციური, სოციალური კონტროლის, სოციალური ინტეგრაციის, პროგნოზისტიკული ფუნქციები.

განსაკუთრებით თვისობრივ განახლებას მოითხოვს კანონის პროგნოზისტიკული ფუნქცია. უკანასკნელ დრომდე კანონი, ფაქტიურად ახდენდა რა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების კონსტატაციას, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საზოგადოების განვითარების დინამიკას, რაც განაპირობებდა საერთოდ მის არასტაბილურ ხასიათს — ხშირი იყო კანონთა შეცვლის ან მათში ცვლილებათა შეტანის შემთხვევები. მარტო უკანასკნელი 25 წლის მანძილზე დაახლოებით 28 ათასი ნორმატიული აქტი გაუქმდა<sup>16</sup>. კანონთა სტაბილური დონე შეიძლება შევიწარმოთ მხოლოდ სწორად განსაზღვრული საკანონმდებლო სტრატეგიის პირობებში, როცა გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი განვითარების არა მარტო მიღწეული დონე, არამედ მისი განვითარების პერსპექტივებიც.

კანონიერების პრინციპმა შეიძლება გარკვეული რეაქციული შინაარსი ექი შეიძინოს, თუ იგი რეალურად არ უზრუნველყოფს ხალხის სუვერენიტეტის, მისი დემოკრატიული მოთხოვნების, პიროვნების თავისუფლების ყოველმხრივ განვითარებას. მთლიანად სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის, კანონის ცენტრში უნდა დადგეს პიროვნება. სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია, რომ მოქალაქეთა უფლებები, მათი ინტერესების დამცველი კანონები მიჩნეული იყოს მეორე ხარისხოვნად და უსაფუძვლოდ ჰიანურდებოდეს მათი მიღება. მაგალითად, მთელი 10 წელი მზადდებოდა კანონი „მოქალაქეთა უფლებების შემბლაღავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“, 20 წელი — ბრძანებულება „იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოქალაქეებს უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“.

კანონის გამოცემის პეროგატივა სსრ კავშირში მინიჭებული აქვს ორ ორგანოს — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ამან დღის წესრიგში დააყენა საკითხი მათი საკანონმდებლო უფლებამოსილების გამიჯვნისა და ამ ორგანოთა მიერ მიღებული აქტების სახელწოდების შეცვლის შესახებ. ვფიქრობთ, რომ უდაოდ ყურადსაღებია პროფ. გ. ინწკირველის წინადადება — სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს ეწოდოს „დეკრეტი“, ხოლო უმაღლესი საბჭოს

<sup>16</sup> Пяголкин А. С. Совершенствование советского законодательства на современном этапе, «Сов. гос. и право», 1988, № 1, с. 18.

აქტებს „კანონი“. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „დეკრეტის“ ცნება უცხო არ არის საბჭოთა სამართალშემოქმედებისათვის და ამ შემთხვევაში მას შეუძლია კარგად ასახოს ამ ორგანოთა კონსტიტუციურ სტატუსს შორის არსებული განსხვავება.<sup>17</sup>

სამართლებრივმა რეფორმამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა კანონთა შემუშავებისა და მიღების პროცედურაც. საკანონმდებლო პროცესის სრულყოფის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება უნდა გახდეს ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოების დაკომპლექტება კომპეტენტური, შესაბამისი პროფესიული და პოლიტიკური თვისებების მქონე დეპუტატებით. როგორც პროფ. გ. ინწკირველი აღნიშნავს „სახალხო დეპუტატი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წევრი, რომელიც მონაწილეობს ნორმატიული აქტების მიღებაში, თვითონ კარგად უნდა ერკვეოდეს საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებში“. უნდა იყოს „...სათანადო პოლიტიკური თვისებებისა და სახელმწიფოებრივი საქმიანობისადმი მიდრეკილების მქონე...“<sup>18</sup>

აუცილებელია აგრეთვე საკანონმდებლო პროცესის მეცნიერული საფუძვლების შემდგომი სრულყოფა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია. გარკვეულ ეჭვს იწვევს იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც კანონთა ხარისხის ამაღლებაში გადაამწყვეტ როლს მიაკუთვნებენ რეფერენდუმების სისტემატურ მოწყობას, მათ ფართოდ დანერგვას არა მარტო საკავშირო, არამედ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაჭრელად. უმრავლესობის მოსაზრება ავტომატურად როდი მიუთითებს მის ჭეშმარიტებაზე, ან იმაზე, რომ ის არის საკითხის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზა. ამას, რა თქმა უნდა ვერ მოვთხოვთ სოციალური აპათიის მდგომარეობისაგან ახლად გამოსულ საზოგადოებას. პოლიტიკური ეგალიტარიზმის პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მართვის რთული საქმე თავის თავზე შეუძლია აიღოს საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა. ამიტომ ვფიქრობთ, მხარდაჭერის ღირსია მოსაზრება, რომ საკანონმდებლო ორგანოსთან შეიქმნას სპეციალური საექსპერტო კომისია კომპეტენტური სპეციალისტებით, რომლის მოსაზრებასაც მიეცემოდა გარკვეული იურიდიული მნიშვნელობა და იგი გავლენას მოახდენდა კანონის პროექტის შემდგომ ბედზე.<sup>19</sup>

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების გზაზე, კანონის უდიდესი ზნეობრივ-ეთიკური, რევოლუციური პოტენციალის სრული ძალით ამოქმედება უნდა გახდეს ამ პროცესის შეუქცევადობისა და მისი წარმატებით დამთავრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია.

<sup>17</sup> «Заря Востока», 1988, 23 ноября.

<sup>18</sup> გ. ინწკირველი, დეპუტატთა კორპუსი, გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 12 იანვარი.

<sup>19</sup> Лившиц Р. Совершенствовать законодательство, «Коммунист», 1988, № 16, с. 53-54.

# კლასიკური ნაშრომი და თანამედროვე კალიბრი\*

რენე დავიდის „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი

სისტემების“ ვიდეო რუსული საბჭოთაო სახლი

თაღო ნინია

როგორც ყველა ღირსეულ ნაშრომს, რენე დავიდის წიგნს, აქვს თავისი გამჭოლი იდეა. იგი თანამედროვე სამართლებრივი სისტემების ორიგინალურ კლასიფიკაციაში გამოიხატა.

მსოფლიოს იურიდიულ რუკაზე სამი მთავარი სამართლებრივი ოჯახისა და რელიგიურ-ტრადიციული სისტემების ავტორისეულ მიგნებას ძირითადად იზიარებს თანამედროვე ბუტრუხაზიული კომპარატივისტიკა. ამგვარ კლასიფიკაციას, როგორც სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიის დამატებით ხერხს, მხარს უჭერს სოციალისტური სამართალმცოდნეობაც. საჭიროა გაიარკვეს, თუ რა მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ემყარება ავტორი და რატომ მიიჩნევა მისეული კლასიფიკაცია სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიის მხოლოდ დამატებით საშუალებად სოციალისტურ შედარებით სამართალმცოდნეობაში.

თუ სამართლისა და კანონის ურთიერთმიმართებისადმი ისტორიულად ჩამოყალიბებულ პოზიციებს გავითვალისწინებთ, რენე დავიდი უფრო იურიდიული სამართალგაგების მომხრეა, ვიდრე ლეგისტურის. მისთვის სამართალი როდია მართლდენ კანონების ან სხვა ნორმატიული აქტების ერთობლიობა. ლეგისტური სამართალგაგება, რომელიც სამართალში მხოლოდ ნორმების ერთობლიობას ხედავს, მისი აზრით „ზედაპირული და არასწორია“. სამართალი უფრო მყარი ფენომენია, ვიდრე დროსა და სივრცეში ცვალებადი ნორმები.

ყოველი სამართალი, მეცნიერის აზრით, ემყარება სოციალური წყობილების ამ თუ იმ კონცეფციას, რომელზედაც დამოკიდებულია, თუ როგორ გამოიყენება და ფუნქციონირებს იგი. ყოველ სამართალს გააჩნია განსაზღვრული კატეგორიალური აპარატი და აერთიანებს ნორმათა მისთვის დამახასიათებელ ჯგუფებს. ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი შეიცავს აგრეთვე ნორმათა შემუშავების, სისტემატიზაციისა და ახსნა-განმარტების განსაზღვრულ წესებს და ამ კომპონენტების ერთობლიობა ქმნის სამართლებრივ სისტემას, რომელიც ეროვნულ ფენომენს არ წარმოადგენს.

ავტორის აზრით, სამართლებრივი სისტემები არ იფარგლებიან სახელმწიფოებრივი საზღვრებით. შესაძლოა, ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს, მაგრამ მათი სამართლებრივი სისტემები ემყარებოდნენ სოციალური წყობილების ერთსა და იგივე კონცეფციას, იდენტურ ცნებათა ფონდს, სამართლებრივი წყაროების ერთნაირ სტრუქტურას; ასეთი სისტემები ქმნიან სამართლებრივ ოჯახებს. ამდენად სამართლებრივი ოჯახების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად რენე დავიდი იყენებს იდეოლოგიურ და ფორ-

\* Рене Давид, Основные правовые системы современности, М., Прогресс, 1988.

მალურ კრიტიკურუმებს; თანაც ეს კრიტიკერიუმები გამოყენებულია ერთმანეთისაგან განუყოფლად.

ავტორისეულ კლასიფიკაციაში ძირითადი ყურადღება გადატანილია სამართლებრივი სისტემების იურიდიული ტექნიკის თავისებურებებზე, ნიველირებულია მათი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი. ამას თავისი მსოფლმხედველობრივი საფუძველი აქვს — ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ნაშრომში რენე დავიდი აცხადებს, რომ მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის უკანასკნელი ავირჩიეთა.

სამართლებრივი სისტემების მარტოოდენ ფორმალურ კრიტიკერიუმებზე აგებული კლასიფიკაცია ჩრდილში აყენებს სამართლის კლასობრივ ბუნებას, რომელიც მისი, როგორც სოციალური მოვლენის, განმსაზღვრელი ნიშანია. ფორმალური კრიტიკერიუმებით სამართლებრივი სისტემების დაჯგუფება უგულებელყოფს სამართალს, როგორც სახელმწიფოს ნებას და მას წარმოაჩენს როგორც ზესახელმწიფოებრივ ფენომენს.

მარქსისტული სამართალგაგება საფუძველს უქმნის ორგვარ — გლობალურ და შიდატიპობრივ კლასიფიკაციას.

გლობალური ტიპოლოგიის დროს, უბირველეს ყოვლისა, ინტერესდებიან, თუ რომელი გაბატონებული კლასის ნების გამომხატველია ესა თუ ის სისტემა ანუ რომელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ეკუთვნის, რომელი ისტორიული ტიპისაა იგი. განსაზღვრული ისტორიული ტიპის ჩაჩოებში ხდება სამართლებრივი სისტემების შიდატიპობრივი კლასიფიკაცია, სადაც ურთიერთგამიჯვნის კრიტიკერიუმები ფორმალური, წმინდა იურიდიული ხასიათისაა. გლობალური ტიპოლოგია შიდატიპობრივი კლასიფიკაციის მყარი მეთოდოლოგიური საფუძველია და მათი ერთობლივი გამოყენება სინამდვილის ადეკვატურ პანორამას იძლევა. თუ გლობალური ტიპოლოგია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგანია, შიდატიპობრივი კლასიფიკაცია შედარებით სამართლის სფეროს განეკუთვნება.

ამდენად, თუ სხვადასხვა ისტორიული ტიპის სამართლებრივი სისტემების ურთიერთგამიჯნავად ავტორისეული კრიტიკერიუმები ნაკლებად ვარგისია, ერთტიპიური სამართლებრივი ოჯახების დასაჯგუფებლად ისინი ერთობ მოქნილი საშუალებებია. რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ოჯახების ანალიზით სამართლის ბურჟუაზიული ტიპის თავისებურებათა ჩვენება რენე დავიდის მეცნიერული მიღწევაა.

როცა სამართლებრივი ოჯახების ტექნიკურ-იურიდიულ ასპექტებს აანალიზებთ, რენე დავიდი ზუსტად გადმოსცემს მათ ფორმალურ თავისებურებებს. ავტორისეული მიდგომა ნათლად წარმოაჩენს სამართლის მემკვიდრეობითობის მანამდე უცნობ წახანაგებს, მაგრამ ვითარება იცვლება, როცა ამ თავისებურებათა წარმოშობის მიზეზებს ხსნის.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის ფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ავტორს კონტინენტური ევროპის ქვეყნების საერთო კულტურული ნიადაგი. მიაჩნია, საერთო სამართლისა კი — ინგლისის ისტორიული განვითარების სპეციფიკა. განსხვავებული მიზეზებით ხსნის იგი სოციალისტური სამართლის ფორმირებას.

რომანულ-გერმანული ოჯახის თავისებურებას, რენე დავიდის აზრთ, სამართლის წყაროების იერარქიაში აბსტრაპირებული ნორმების — კანონების, კოდექსების უპირატესობა განსაზღვრავს, მაგრამ ამ თავისებურებათა ჩამოყალი-

ბებას არსებითად კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები განაპირობებდა. კერძოდ, რომანულ-გერმანული ოჯახის ფორმირება მაშინ დაიწყო, როცა დაქუცმაცებული ფეოდალური სამთავროები ძლიერმა ცენტრალიზებულმა სახელმწიფოებმა შეცვალეს და ცენტრალურ ხელისუფლებათა მეშვეობით ბურჟუაზიის ეკონომიკური ბატონობა განმტკიცდა. კანონები, როგორც ფორმალურად განსაზღვრული ნორმები, ამ ხელისუფლებისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ყველაზე ეფექტური საშუალება იყო. ახალი დროის ევროპული სინამდვილე ითხოვდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ზუსტ რეგულირებას. ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები კი საუკუნეების წინათ იყო შემუშავებული რომის სამართლის სახით. მაგრამ რომაული სამართალი თავისი უკიდურესი კაზუსიტურობის გამო, პირვანდელი სახით არ გამოდგება. გლოსატორებმა და პოსტ-გლოსატორებმა მოახდინეს მისი ნორმების აბსტრაქტიზება და ქაოტური კომპილაციების სანაცვლოდ რომის სამართლის ლოგიკურად დახვეწილი პრინციპები ჩამოაყალიბეს. ევროპის ახალ ისტორიაში დიდი საკანონმდებლო მუშაობის შედეგი იყო კოდექსები — ნაპოლეონის კოდიფიკაცია და გერმანული სა-მოქალაქო სჯულდება.

გლობალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით ანალოგიურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზეზებს უნდა უკავშირდებოდეს საერთო სამართლის ოჯახის ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი თავისებურება სამართლის წყაროებს შორის პრეცედენტული სამართლის უპირატესობაში გამოიხატება. ინგლისში, სადაც სამართლის ამ ოჯახს საფუძველი ჩაეყარა, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად, სამეფო სავესტიმინსტრო სასამართლოების გადაწყვეტილებები, სამართლის წყაროს როლს რომ თამაშობდნენ, დაუპირისპირდნენ ჩვეულებით სამართალს. სავესტიმინსტრო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ჩვეულებრივი სამართლის პარტიკულარული ხასიათის სანაცვლოდ, მთელი ინგლისისათვის საერთო-სავალდებულო ძალა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ პრეცედენტი ინგლისურ-ამერიკული სამართლის სახეს ამჟამადაც განაპირობებს, ამ სამართლებრივ ოჯახში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე ცვლილებები არ შეიძლება მარტოოდენ ფორმალური კრიტიკებით აიხსნას.

სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, რაც ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმალურად განსაზღვრულ, ერთგვაროვან რეგულირებას ითხოვს, ინგლისში, ისე როგორც აშშ-ში, ფართოვდება კანონის ანუ სტატუტის როლი. ეს პროცესი გამოიხატება სამართლის წყაროების სისტემაში არა მხოლოდ კანონის ხვედრითი წილის ზრდით, არამედ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს გაფართოებით, რომელიც სამართლით წესრიგდება. თუ წინათ კანონების სტრუქტურაში საჯარო და კერძო სტატუტების ერთგვარი თანაფარდობა შეიმჩნეოდა, უკანასკნელ პერიოდში საჯარო სტატუტების ხვედრითი წილი განსაკუთრებით იზრდება. ის ურთიერთობები, რომლებიც წინათ კერძო სტატუტებით წესრიგდებოდა, ამჟამად უმეტესად დელეგირებული კანონმდებლობით წესრიგდება. ერთი მხრივ, კანონების როლის გაძლიერება და მეორე მხრივ, დელეგირებული კანონმდებლობის ხვედრითი წილის ზრდა სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში დამახასიათებელი პროცესია როგორც საერთო სამართლის, ისე რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახებში. თუ ტრადიციულად საერთო სამართალი არაკოდიფიცირ-

რებულ სამართლად ითვლებოდა და ბენტამის და სტეფენის იდეას ინგლისის სისხლის სამართლის კოდიფიკაციის შესახებ უარი ეთქვა, ამჟამად ამერიკაში მათი მოძღვრები განხორციელებულია და ინგლისური სისხლის სამართლის კოდიფიკაცია ერთ-ერთ საჭირო, თუმცა ძნელად გადასაწყვეტ პრობლემად ითვლება.

საერთო ევროპოცენტრისტული პოზიციების მიუხედავად, რენე დავიდი უპირისპირდება იმ კომპარატივისტებს, რომლებიც სოციალისტურ სამართალს არ მიიჩნევენ ახალი ტიპის, ორიგინალურ სტრუქტურულ ერთობად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავტორის შეხედულებები სოციალისტურ სამართალზე საკმაოდ მოძველებულ იურიდიულ რეალიებს ემყარება. მართალია, უკანასკნელ გამოცემაში ეს ნაკლი ნაწილობრივ შეივსო, მაგრამ პრინციპული ხასიათის ახალი დებულებებით არ გამდიდრებულა.

სოციალისტური სამართლებრივი ოჯახის შიდატიპობრივი კლასიფიკაციის დროს რენე დავიდი სოციალისტური ქვეყნების იურიდიულ ტრადიციებსა და იურიდიული ტექნიკის თავისებურებას ემყარება. ავტორისეული მიდგომა აქ სრულად გამართლებულია, რადგან სხვა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის კრიტერიუმების ძიება ამ სისტემების ერთიანობამდე უფრო მიგვიყვანს, ვიდრე განსხვავებამდე. სოციალისტური ქვეყნების სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაციას ახდენენ სამართლის დარგების ან მათი ფუნდამენტური ინსტიტუტების მიხედვით. ფრიად საინტერესო შედეგებამდე მივყავართ კლასიფიკაციას ისეთი ინსტიტუტის მიხედვით, როგორც საერთო-სახალხო საკუთრებაა.

მართალია, სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ყველა ქვეყანაში საერთო-სახალხო საკუთრება სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიიჩნევა, მაგრამ ამ ქვეყნებში იკვეთება საერთო-სახალხო საკუთრების სამი ურთიერთგანსხვავებული კონცეფცია. საბჭოური კონცეფციის თანახმად, რომელიც გაბატონებულად ითვლება, საერთო-სახალხო საკუთრება განიხილება როგორც სახელმწიფო საკუთრება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფო მხოლოდ უზრუნველყოფს საერთო-სახალხო საკუთრების გამოყენებას, ხოლო ამ საკუთრებით სარგებლობს და მას მართავს სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. ამდენად, საერთო-სახალხო საკუთრება აქ არ მოიაზრება როგორც სახელმწიფოს საკუთრება, სახელმწიფო მხოლოდ ამ საკუთრების ექსპლუატაციის უზრუნველყოფას კისრულობს. თუ საბჭოურ და გერმანულ კონცეფციებში სახელმწიფო საწარმოებს საერთო-სახალხო საკუთრების მეორადი სარგებლობის უფლება გააჩნიათ, იუგოსლავიური კონცეფციის თანახმად, ამ საწარმოებს პირველადი სარგებლობის უფლება აქვთ. იუგოსლავიის კონსტიტუციის მიხედვით, არავის არ აქვს საკუთრების უფლება წარმოების საზოგადოებრივ საშუალებებზე და მათ უშუალოდ ისინი მართავენ, ვინც ამ საშუალებებით სარგებლობენ. საერთო-სახალხო საკუთრების ურთიერთგანსხვავებული გაგება განაპირობებს სახალხო მეურნეობის მართვის ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სტილს — ადმინისტრაციულს და ეკონომიკურს. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის კურსი, რომელიც სსრ კავშირში ვითარდება, უცილობლად შეესაბამება საერთო-სახალხო საკუთრების ახლებურ გაგებასა და ფუნქციონირებას, რომლის ოფიციალური აღიარებაა „სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გა-

ერთიანების) შესახებ“. სოციალისტური სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით ჩამოაყალიბა ჩვენმა იურისტმა ვიქტორ კნაპმა. ჩვენი აზრით, მისეული ტიპოლოგია სწორი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

იურიდიული რეალიები, რომლებსაც რენე დავიდის მსჯელობა ემყარება, ამჟამად სსრ კავშირში, არსებითად იცვლება. უკანასკნელ პერიოდში აღებულია „ზუსტი კანონიერების სახელმწიფოს“ შეცვლის კურსი სამართლებრივი სახელმწიფოთი. XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ სპეციალურ რეზოლუციაში „სამართლებრივი რეფორმის შესახებ“ ჩამოაყალიბა სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია და განსაზღვრა მისი აღმშენებლობის ძირითადი მიმართულებანი.

იურიდიულმა მეცნიერებამ კრიტიკული თვალთ შეხედა ნორმატიულ კონცეფციას, რომელსაც საბჭოეთში ერთადერთ გაბატონებულ მოძღვრებად მიიჩნევს რენე დავიდი. ეს კონცეფცია სამართალსა და კანონს იდენტურ მოვლენებად მიიჩნევს, მან 30-იანი წლებიდან მოიკიდა ფეხი და, საუბედუროდ, რეალობას ასახავდა. ნორმატიული ან ლეგისტური სამართალგაგება თეორიულად ასაბუთებდა ხელისუფლების თუ აღმასრულებელი ორგანოების მიერ სამართლით თვითნებურ მანიპულირებას.

სამართლებრივი რეფორმის ღონისძიებებმა თვისებრივად უნდა შეცვალონ ის რეალიები, რომლის ობიექტურ, ზოგჯერ შეღავათიან, ინტერპრეტაციას იძლევა რენე დავიდი.

თვისებრივი ცვლილებები განიცადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამართლებრივმა სისტემამ. რენე დავიდის თვალსაზრისი, რომელიც ჩინურ ნორმატიულ მექანიზმში მორალის და ზნე-ჩვეულების წესების უპირატესობას ხედავს, — კლასიკური დასავლური კულტურის წარმოდგენებს უფრო შეესაბამება, ვიდრე ჩვენი საუკუნის დამლევის პოლიტიკურ და იურიდიულ რეალიებს. ქვეყანაში, სადაც დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები ხორციელდება, წარსულს ბარდება „კულტურული რევოლუციის“ პერიოდისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ნიჰილიზმი და იურიდიული ზედნაშენი წარმოებითი ურთიერთობების მოთხოვნათა სიმალღეზე დგება.

მუსლიმანურ სახელმწიფოთა სამართლის განვითარების საბოლოო ტენდენციად რენე დავიდს ევროპეიზაცია მიაჩნია. წიგნის ბოლო გამოცემებშიც კი, სამწუხაროდ, ვერ აისახა ის გავლენები, რაც მუსლიმანურმა სამართალმა მოახდინა, ერთი მხრივ, კაპიტალისტურ და მეორე მხრივ, სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებზე უკანასკნელ პერიოდში. დიდი ხანი არაა, რაც საბჭოურ სამართალმცოდნეობაში მუსლიმანურ სამართალს ყურადღება მიექცა და იგი თანამედროვე მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანალიზდა, რამაც საშუალება შექმნა როგორც საკუთრივ მუსლიმანური სამართლის, ისე ზოგადად სამართლის, როგორც იდეოლოგიური მოვლენის შესახებ ჩამოაყალიბებული შეხედულებების გადასასინჯად.

შარიათის, ისე როგორც მსოფლიოს სხვა სამართლებრივი სისტემების შექმნა გვაროვნული წყობილების დაშლის შედეგია. მისი სპეციფიურობა ისაა, რომ მუსლიმანურ სახელმწიფოებს აქტიური სამართალშემოქმედის როლი არ უკისრიათ; მათ არსებული ნორმების სანქციონირება მოახდინეს და შარიათის მხოლოდ გამოყენების უზრუნველყოფაში იღებდნენ მონაწილეობას.

საკრალურმა ბუნებამ ღრმა კვალი დააჩნია მუსლიმანური სამართლის

შემდგომ განვითარებას. მას ნიადაგ ცვალებადი საზოგადოებრივი ურთიერთობანი ისე უნდა მოეწესრიგებინა, რომ ყურანს და სუნას არ მოწყვეტოდა. ამ ამოცანების გადაწყვეტა განსაკუთრებით გასული საუკუნის დამლევს გართულდა, როცა მუსლიმანური ქვეყნები ევროპული კაპიტალის ორბიტაში შევიდნენ. თუმცა პირადი სტატუტი და სამემკვიდრეო თუ საოჯახო ურთიერთობები მუდამ შარიათის ნორმებით წესრიგდებოდა, მაგრამ მუსლიმანური სამართალი X საუკუნიდან XIX საუკუნის ბოლომდე არსებითად ყურანის და სუნას ნორმა-პრინციპებზე აგებულ დებულებებს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მუსლიმანური სამართლის თავწყაროს კონკრეტულ ნორმებს. უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთ ქვეყანაში ვითარება შეიცვალა და სამართლის წყაროს მნიშვნელობა შარიათის მართოდენ ნორმა-პრინციპებს როდი ენიჭება.

ირანში, პაკისტანში, ლიბიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში შარიათის, კონკრეტული წესების მოქმედების სფერო „პირად სტატუტს“ გასცილდა და სისხლის სამართალზე, სისხლის სამართლის პროცესზე, ეკონომიკურ ურთიერთობათა ზოგიერთ სფეროზე და სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებზე გავრცელდა. ეგვიპტის კონსტიტუციის მიხედვით მუსლიმანური სამართალი კანონმდებლობის წყაროდ ითვლება. კონსტიტუციური ნორმის შესაბამისად გამოცემულია კანონები, რომლებიც შარიათს ეფუძნება. შარიათის ნორმები და ინსტიტუტები, რომლებიც ერთ დროს ბურჟუაზიული იურიდიული ინსტიტუტების მოდელვებმა გამოდევნეს, ამჟამად ისევ აღორძინდნენ.

საგულისხმოა ისლამის გავლენა ოფიციალურ იდეოლოგიაზე, სახელმწიფო მექანიზმსა და სამართალშემოქმედებაზე სოციალისტური ორიენტაციის მუსლიმანური აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. ამ ქვეყნებში რევოლუციური დემოკრატიული რეჟიმის სოციალური ბაზის განმტკიცებას ხელს უწყობს ისლამის თავისებური ინტერპრეტაცია, რომელსაც მიმართავენ მმართველი პოლიტიკური პარტიები. ახლებური ინტერპრეტაციის მიხედვით ისლამი არ უარყოფს კლასთა ბრძოლას და რევოლუციური გარდაქმნები, რომლებმაც ადამიანებს მშვიდობა, თანასწორობა და ბედნიერება უნდა მოუტანონ, არ ეწინააღმდეგება ისლამის სოციალურ შინაარსს.

სახელმწიფო სამართლის ერთ-ერთ ფუნქციონალურ პრინციპად ისლამის სახელმწიფოებრივი ხასიათი იქცა. ალჟირის, ავღანეთის თუ იემენის რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და სხვა პოლიტიკური დოკუმენტებისათვის სახელმწიფო რელიგიად ისლამის აღიარებას ხელი არ შეუშლია სინდისის თავისუფლების პრინციპი მოქალაქეთა იურიდიული სტატუსის ერთ-ერთ ელემენტად გამოცეხადებინა.

სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებში სპეციალურ ფორმებში ვლინდება ოფიციალური კანონმდებლობისა და მუსლიმანური სამართლის ურთიერთდამოკიდებულება. შარიათმა მტკიცედ შეინარჩუნა გავლენა პირადი სტატუტის სფეროში. სახელმწიფო, სისხლის, სამოქალაქო კანონმდებლობებში შეტანილია ნორმები, რომლებიც, არცთუ იშვიათად, შინაარსით მუსლიმანურია, ხოლო მათი ფორმა და გამოყენების წესი მუსლიმანურისგან განსხვავდება. მათი მოქმედება, რელიგიური მრწამსის მიუხედავად, ყველა მოქალაქეზე ვრცელდება. სერიოზული სირთულეები იქმნება, როცა ამა თუ იმ სოციალურ ურთიერთობებს რეალური იურიდიული ინსტიტუტები აწესრიგებენ, მაგალითად, როცა კონსტიტუციით ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობა აღიარებულია, მაგრამ კონკრეტულ ქონებრივ თუ არაქონებრივ ურთიერთ-



ბებში შარიათი უპირატესობას მამაკაცს ანიჭებს. არცთუ იშვიათად ისლამის გავლენა ოფიციალურ კანონმდებლობაზე არაპირდაპირია, კერძოდ, სახელმწიფო კანონით ისეთ ურთიერთობას აწესრიგებს, რომელიც რელიგიური მოვალეობის აღსრულებას უკავშირდება. ასეთ შემთხვევებში რელიგიური ინტერესები კანონის მიერ გათვალისწინებული და პატივდებულია.

თანამედროვე იაპონური სამართლის დამახასიათებელ თვისებად რენე დავიდს უცხოური კანონმდებლობის იოლად ათვისების და გადმოღებისაკენ ლტოლვა მიაჩნია, რის გამოც, მეცნიერის აზრით, იაპონურმა სამართალმა ვერ შეინარჩუნა თვითმყოფადი ბუნება და სრული ვესტერნიზაცია განიცადა. ამასთან ერთად, კანონმდებლის მიერ ხელოვნურად გადმოღებული, ადგილობრივი ცხოვრების წესისათვის უცხო სამართალი ვერ იქცა სოციალურ ურთიერთობათა მოწესრიგების სრულფასოვან საშუალებად და ამ ურთიერთობებს ძირითადად ქვეყნის ტრადიციული წესები — გირი განსაზღვრავს.

გირის მნიშვნელობის დავიდისეულმა შეფასებამ ზოგიერთი იაპონელი ავტორის შენიშვნა გამოიწვია. ერთ-ერთი ასეთი ოპონენტია ცუნეო ინაკო, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყნის ტრადიციული წესების შეფასების ნაწილში რენე დავიდი ეყრდნობა იაპონელი იურისტის ნოდა იოსიუკის საფრანგეთში გამოცემულ ნაშრომს, სადაც იაპონური ცხოვრების წესზე გირის გავლენა ჰიპოტროფირებულია. გირი სოციალურ ურთიერთობათა ვიწრო წრეს არეგულირებს, რომელშიაც ახლო ნათესავები ან ის სუბიექტები მონაწილეობენ, რომლებსაც ერთმანეთთან გამუდმებული ურთიერთობა აქვთ. ეს კიდევ მცირეოდენი ნაწილია იმ სოციალური ურთიერთობებისა, რომელთა რეგულირებაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, იაპონიაში გაბატონებული ადგილი რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის სისტემების ნორმებმა დაიკავეს.

რენე დავიდი აფრიკის და მადაგასკარის ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ფრიად კომპეტენტური მკვლევარია და თანამედროვე აფრიკულ სამართალმეცნიერებაშიც დიდი წვლილი შეიტანა: იგი ეთიოპიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ავტორია. მეცნიერმა ცალკე მონოგრაფიაც დაწერა აფრიკის სამოქალაქო სამართლის პრობლემებზე.

წიგნში მოცემულია ხსენებული სისტემების ფორმირების ეტაპები და კონცეპტუალური ანალიზი, თუმცა მათი ანტიკოლონიური სულისკვეთება და შესაბამისი სახელმწიფოების პოლიტიკური ორიენტაციებისადმი შესატყვისობა ერთგვარად ჩრდილში მოექცა. ეს ასპექტები შედარებით მკაფიოდ საბჭოთა სპეციალისტების ნაშრომებში გამოიკვეთა. კერძოდ, დადგენილია, რომ აფრიკის და მადაგასკარის ქვეყნების სამართლებრივი სისტემები რთული სოციალურ-ნორმატიული წარმონაქმნებია და მათში როგორც ტრადიციული, ისე კოლონიური და დამოუკიდებლობის პერიოდების მართლშეგნების თუ იურიდიული პრაქტიკის დანაშრეგები აიჩეკა. ეს სამართლებრივი სისტემები უპირატესად იმ ნორმებსა და ინსტიტუტებს მოიცავენ, რომლებიც შემუშავებულია თანამედროვე აფრიკული სახელმწიფოების მიერ, ამ ნორმებში ჩანს ეროვნული სამართლის სოციალური ბუნება და სამართლებრივი სისტემების განვითარების მიმართულებას სწორედ ისინი განსაზღვრავენ. სამართლებრივი სისტემები შეიცავენ აგრეთვე ყოფილი მეტროპოლიების ნორმებს. საკულისხმოა, რომ სრულ გაუქმებას მეტროპოლიების ის ნორმები დაექვემდებარა, რომლებიც კონსტიტუციურ ურთიერთობებს აწესრიგებდნენ. სისტემებში განსაზღვრული ადგილი უკავიათ ჩვეულებითი და მუსლიმანური სამართლის ელ-

ემენტებს და იმ ნორმებს, რომლებიც რეციპირებულია ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაციის მქონე სხვა სახელმწიფოებიდან, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ორიენტაციას ადგას აფრიკული სახელმწიფო.

აფრიკის ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ტიპოლოგიისათვის პოლიტიკურ ორიენტაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს. კაპიტალისტური ორიენტაციის ქვეყნებში სამართლებრივი სისტემების ფორმირება ძირითადად ორიგინალური სამართალშემოქმედებით და კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობის გავლენით ხდება. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ აფრიკული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფორმირებაზე გავლენას არა ყოფილი მეტროპოლია, არამედ სხვა კაპიტალისტური ქვეყანაც ახდენს. ეს გავლენა ხორციელდება როგორც იურიდიული მემკვიდრეობითობის, ისე სამართლებრივი ნორმების რეცეპციის მეშვეობით. თუ მემკვიდრეობითობის დროს ძირითადად გამოიყენება ბუჩუაზიული სამართლებრივი ფორმები და მათ ახალი სოციალური შინაარსი ენიჭებათ, რეცეპციის დროს ხდება კაპიტალისტური ქვეყნების ნორმების გამოყენება ფორმისა და შინაარსის შეუცვლელად.

განსხვავებულია სამართლებრივი სისტემების ფორმირების პროცესი იმ სახელმწიფოებში, რომლებიც არ ადგანან განვითარების კაპიტალისტურ გზას. ამ სახელმწიფოებში ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტები ვერ თავსდებიან ბუჩუაზიული სამართლის ჩარჩოებში. კერძოდ, ისეთი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორცაა კომუნის სახალხო კრება — ალჟირში, სახალხო საბჭოები — კონგოს რესპუბლიკაში, თავიანთი პოლიტიკური და იურიდიული შინაარსით ახლოს დგანან საბჭოებთან, როგორც პოლიტიკური და სისტემის საფუძველთან. სახელმწიფო საკუთარების დაცვის, უსაფუძვლო გამდიდრებით შეძენილი ქონების ამოღების, კოლექტიური ხელშეკრულების, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის სამართლის ინსტიტუტები ამ ქვეყნებში განაპირობებენ ბუჩუაზიული სამართლისაგან პრინციპულად განსხვავებული სამართლებრივი სისტემების ფორმირებას.

სოციალისტური სამართლის გავლენა აფრიკის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებზე რეალობაა, რასაც რენე დავიდის წიგნში ჯეროვანი ადგილი არ დათმობია.

შენიშვნების ერთი ნაწილი აღძრა სამართლებრივი ოჯახებისადმი ავტორისაგან განსხვავებულმა მეთოდოლოგიურმა მიდგომამ. მეორე ნაწილი კი იმ ფაქტობრივ ცვლილებებს შეეხება, რაც სამართლებრივმა სისტემებმა სამოციანი წლების შედეგ განიცადეს.

შედარებითი სამართალი იურიდიული მეცნიერების ახალგაზრდა დარგია, საკუთარ ისტორიას მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ითვლის; თუმცა როგორც კანონმდებლობის ანალიზის მეთოდი, იგი ისევე ძველია, როგორც საერთოდ — სამართალი. რენე დავიდის წიგნი რუსულ ენაზე პირველად იმ დროს გამოიცა, როცა საბჭოურ იურიდიულ მეცნიერებაში შედარებითი სამართალმცოდნეობის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის სტატუსი სადავო იყო. ნაშრომმა დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კომპარატივისტიკის ჩამოყალიბებას.

განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს საბჭოთა მკვლევარებისათვის ხელი არ შეუშლია, „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“ კლასიკურ ნაშრომად ელიარბინათ.

# ენიუზნელობა\*

ჯონი ხეცურიანი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბინაო პრობლემა კაცობრიობის ერთ-ერთ ჯერჯერობით გადაუჭრელ სოციალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. საბჭოთა სახელმწიფო, თავისი არსებობის ყველა ეტაპზე, ამ პრობლემის გადაჭრას მიიჩნევდა ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის საგნად. ამიტომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კიდევ ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა თუ სოფლებში საბინაო ფონდის გაზრდის, მისი ტექნიკური მდგომარეობის და მართვის გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად ამისა, საბინაო პრობლემა ჩვენში ჯერ კიდევ მეტად მწვავედ დგას.

საბინაო მეურნეობის შემდგომი განვითარების აუცილებლობისა და ჩვენი საზოგადოების სოციალურ განვითარებაში ადრე დაშვებული ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით, სკკპ XXVII ყრილობამ პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო: საუკუნის დამლევისათვის უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული ოჯახი ცალკე საცხოვრებლით, ბინით ან ინდივიდუალური სახლით.

ამ უაღრესად რთული, შეიძლება ითქვას უპრეცედენტო ამოცანის რეალური გადაწყვეტისათვის საჭიროა არა მარტო მატერიალური რესურსების გამოძებნა და მათი რაციონალური გამოყენება, არამედ საბინაო ურთიერთობების სწორი, სამართლებრივი რეგულირება, საბინაო ფონდის განაწილების, სარგებლობისა და მართვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი შესრულება და მისი შემდგომი სრულყოფა. ჩვენი ქვეყნის საბინაო კანონმდებლობაში უკანასკნელ ათწლეულში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა. სერიოზული სახეცვლილება განიცადა მან სულ ახლახანს, გარდაქმნის პროცესების დაწყების შემდეგ. ეს გარემოებები განსაკუთრებით აქტუალურს ხდის საბინაო კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლის, კომენტარებისა და მისი შეფარდების პრაქტიკის სრულყოფის საკითხებს.

საბინაო კანონმდებლობის მეცნიერული გამოკვლევისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარების შექმნაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს შ. ჩიკვაშვილს. სწორედ ამას მოწმობს მისი წიგნი „საბინაო სამართალი“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა მიმდინარე წელს ქართულ და რუსულ ენებზე.

ნაშრომში საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ამომწურავადაა გაშუქებული საბინაო სამართლებრივი ურთიერთობების ყველა ძირითადი საკითხი. წიგნი უპირატესად საბინაო კანონმდებლობის კომენტარების პრინციპებზეა აგებული, რაც განსაკუთრებით ზრდის მისი პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობას. იგი დახმარებას გაუწევს სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, პროფკავშირული, სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებს, აგრეთვე მოსახლეობას, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის პირობების, საცხოვრებელი სადგომის მიცემისა და სარგებლობის წესების, დამ-

\* შ. ჩიკვაშვილი, „საბინაო სამართალი“, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1989.



ქირავებლების, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრების, პირადი შესაკუთრებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებებისა და მოვალეობების, საცხოვრებელი სადგომის გაცვლის, გაყოფისა და გაერთიანების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გარკვევაში და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც საბინაო ურთიერთობებში კანონიერების დაბრუნება მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კანონის მოთხოვნათა არცოდნით ან არასწორი გაგების შედეგად ხდება.

ნაშრომში სრულადაა განხილული ერთიანი საბინაო ფონდის ოთხივე სახეობა: სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და ინდივიდუალური. ვადმოცემულია მათი სამართლებრივი რეჟიმის თავისებურებანი. განსაკუთრებით სრულყოფილადაა გაშუქებული კოოპერაციული ბინათმშენებლობის სამართლებრივი საკითხები. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ავტორს ეს საკითხები საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული თავის აღრიხედელ შრომებში.

ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში საჭიროებისამებრ მოცემულია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობასთან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შეჯერებული ანალიზი, ნაჩვენებია ჩვენი რესპუბლიკის საბინაო კანონმდებლობის თავისებურებანი. სასამართლო პრაქტიკიდან მოტანილი კონკრეტული მაგალითები უფრო თვალსაჩინოს ხდის კანონმდებლობის დებულებათა შინაარსს და კარგ წინაპირობას ქმნის მათი სწორი გაგებისათვის. ნაშრომში შემოთავაზებულია რიგი წინადადებანი საბინაო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით, რაც, ვფიქრობთ, სამართალშემოქმედებით ორგანოებს დიდ დახმარებას გაუწევს მოქმედი კანონმდებლობის გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტისას.

ავტორი საგანგებოდ იხილავს თეორიულ საკითხს „საბინაო კანონმდებლობისა“ და „საბინაო სამართლის“ ურთიერთმიმართების შესახებ. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება. ზოგიერთი სწავლული იურისტი აიგივებს კიდევ მათ. პროფ. შ. ჩიკვაშვილი, ჩვენი აზრით, სწორ პოზიციაზე დგას, როდესაც მიიჩნევს, რომ ამ ნორმათა ერთობლიობა არ ქმნის სამართლის დამოუკიდებელ დარგს. ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ, მაგრამ ამასთანავე დაუსაბუთებელი რჩება, თუ რატომ უწოდებს ავტორი თავის ნაშრომს „საბინაო სამართალს“.

ავტორი არ იხილავს აგრეთვე საბინაო დავების განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის საკითხებს, რომელთა ანალიზი და კომენტარები, ვფიქრობთ, უფრო დასრულებულ სახეს მისცემდა ნაშრომს.

ეს რაც შეეხება ჩვენს სურვილებსა და წინადადებებს, რომლებსაც იმედია, ავტორი მომავალ გამოცემებში გაითვალისწინებს.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. შ. ჩიკვაშვილის ნაშრომის სახით ფრიად სასარგებლო წიგნი შეიძინა ჩვენმა მკითხველმა. მასში იგი საბინაო კანონმდებლობის თითქმის ყველა საკითხზე იპოვის კვალიფიციურ პასუხს.



# ქრიბინალოს ცივის ისტორიიდან

## ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

### თავდასხმა გლაზგო- ლონდონის საფოსტო მატარებელზე

პოლ ბაკი

ნაღვალნი 2681684 ფუნქტი სტარლინგი

კომისარ ჯონ ჩენისაგან დადგენილი ფაქტების თაობაზე.

ფიურტელი თავის მოადგილე ჯორჯ ვილკინსონთან ერთად მივიდა ძარცვის ადგილზე. ბრიდგო ბრიჯში აღმოჩნდა ერთადერთი მტყიცებულეა: შუქნიშნის სიგნალების იმიტაციისათვის გამოყენებული მოწყობილობა და ორ ბოძზე შემოხვეული თეთრი ნაჭერი, რაც მატარებლის გაჩერების ადგილს მიანიშნებდა. ბრიდგო ბრიჯსა და სეარს შორის აღმოაჩინეს სისხლით მოთხვრილი სახვევი თოვის ნაკუწები, რკინიგზელის ქული და სამუხრუჭე შლანგის ნაჭერი. მიუხედავად დანაშაულის ადგილის გულდაგულ გამოკვლევისა, ვერავითარი თითის ანაბეჭდების კვალს ვერ მიაგნეს. შორიასლოს მიტოვებული აეროდრომი იყო, მაგრამ შემოწმებამ დაადასტურა, რომ უკანასკნელ პერიოდში აეროდრომზე თვითმფრინავი არც აფრენილა და არც დაფრენილა.

სკოტლანტ-იარდმა მთავარ კომისარ ჯერალდ მაკ-არტურსა და ინსპექტორ ჯეკ პრიჩარდს დაავალა გამოძიებაში მონაწილეობის მიღება. სკოტლანდ-იარდის აგენტებს, ცხადია, მსგავს საქმეებში დიდი გამოცდილება ჰქონდათ; გარდა ამისა, ისინი საჭირო ტექნიკურ და სხვა დაზმარებას გაცილებით სწრაფად მიიღებდნენ, ვიდრე ადგილობრივი პოლიციის მუშაკები.

მათთვის ხელმისაწვდომი იყო სკოტლანდ-იარდის ორი მნიშვნელოვანი სამსახური: სისხლის სამართლის ცენტრალური არქივი, სადაც ინახებოდა ყველა სამართლისდამრღვევის დაქტილოსკოპიური ბარათები, ფოტო სურათები, დოსიეები და უსაფრთხოების მოზილური ბრიგადა, რომელსაც ლონდონელი დამნაშავეებს საკუთარი დოსიე ჰქონდა.

ხუთშაბათს, 13 საათზე, ლონდონის ცენტრალურ ფოსტამტში თათბირი გაიხსნა. აქ შეიკრიბნენ სკოტლანტ-იარდის სასამართლო პოლიციის უფროსის მოადგილე მაიორი ჯორჯ ჰეტერილი, სკოტლანდ-იარდის სხვა განყოფილებათა ხელმძღვანელები, ფოსტებისა და რკინიგზების ხაზების უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირნი და ორი დაწესებულების მაღალი რანგის ხელმძღვანელები, რათა განეხილათ საქმე და მოესმინათ ფიურტელისა და

ფოსტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი რეჯინალდ ბევინი შეგებულებას ესპანეთში ატარებდა. იგი სასწრაფოდ ჩამოვიდა, რათა პრესის, საზოგადოებისა და პარლამენტისათვის განემარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც საფოსტო მატარებლებს არ გააჩნდათ უსაფრთხოების აუცილებელი სისტემა.

წინასწარი გაანგარიშებით ვარაუდობდნენ, რომ გაიტაცეს მილიონი ფუნტი სტერლინგი, რაც უკვე ყველაზე მსხვილი ძარცვა იყო სკოტლანდ-იარდის ანალებში რეგისტრირებულთა შორის. ხოლო მას შემდეგ, რაც ბანკებმა ზუსტად გამოიანგარიშეს დანაკარგი, აღმოჩნდა, რომ გატაცებული იყო 2631648 გირვანქა სტერლინგი. ეს თანხა რვა ბანკზე ნაწილდებოდა,

გაგრძელება. იხ. უორნად. „ნაბჭოთა სამართალი“, 1987 წლის №№ 2-6 1988 წლის №№ 1-6, 1989 წლის №№ 1-4.



რომელთა შორის ერთმა — „ნიუნლ პროვენსიალ ბენკმა“ დაკარგა 1 100 000 გირვანქა სტერლინგი.

მთავარი ამოცანა იყო გაეგოთ თუ სად შეიძლება შეენახათ მძარცველებს ამდენი ფული. მათ, ცხადია, ჰქონდათ ლონდონში ავტომობილით ჩამოსვლის შესაძლებლობა (პოლიციას გზების ბლოკირების ბრძანება არ მიუღიათ) და ნადავლი შეენახათ საიდუმლო ადგილზე, ვიდრე ყველაფერი მიწყნარდებოდა. ერთ-ერთი განგსტერის მიერ ნასროლმა ფრაზამ: „არაფერი იღონოთ, ვიდრე ნახევარი საათი არ გაეა!“ — შეაფთოთა პოლიცია და ივარაუდეს, რომ ბანკიტებს თავშესაფარი აქვთ, ყოველ შემთხვევაში, მანქანით ნახევარი საათის სავალზე თავდასხმის ადგილიდან, ესე იგი, 40 კილომეტრის რადიუსში. ამ მოსაზრებას ყველა დაეთანხმა და დაიწყეს ბანკიტების თავშესაფრის ადგილის ძებნა.

**გულშემატკივანი ჩხრეკა**

ზემოაღნიშნული პარამეტრებით შემოსაზღვრული ტერიტორია ბეკინჰემის საგრაფოსთან ერთად მდებარეობდა მიდლექსს, ჰერტფორდშირს, ბედფორშირს, ნორტჰემპტონშირს, ოქსფორდშირსა და ბერკშირს. პოლიციამ ბრძანა დაცარიელებული ფერმების გაჩხრეკა, ასევე არხებში ყველა კატერისა და ნავის გაჩხრეკა და შემოწმება. არაფერი არ გამოჩნინთ. პოლიციელები, ქალთა დამხმარე ქვედანაყოფები, ძაღლები — გამონაკლისის გარეშე ყველა მონაწილეობდა ჩხრეკაში. ლაპარაკი იყო არა მარტო საიდუმლო თავშესაფრის მოძებნაზე, არამედ სრულ მზადყოფნაზე ხელკეტებით, ცულებითა და შესაძლო, პისტოლეტებითაც შეიპარალებულ დამნაშავეთა ბანდასთან შეხვედრაზე. თითოეულ რადიოფიციურებულ ავტომანქანაში თორმეტ-თორმეტი პოლიციელი იყო. ასეთი მანქანები ჩასაფრებული იყვნენ სხვადასხვა ადგილას იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმეს დახმარება დასჭირდებოდა.

**ათასობით მოხვარული ღებქატივი**

პრესის ცნობებმა და გავრცელებულმა სმებმა ძებნაში მოსახლეობის აქტიურად ჩაბმის საქმეში თავისი როლი შესარულეს. საშუალო ინგლისელიც კი მოყვარული დეტექტივი გახდა ლონდონის ორი სადაზღვევო ფირმის მიერ შეპირებული დიდი ჯილდოს მიღების იმედით. ჯილდოდ 200 000 გირვანქა სტერლინგი იყო დათქმული; რაც რამდენადმე აღმატებოდა „მიდლენდ ბენკის“ (50 000) და ცენტრალური საფოსტო სამსახურის (10 000) მიერ შეპირე-

ბულ თანებს. ფიქრობდნენ, რომ ასეთ დიდ თანხას შეიძლება ბანდის რომელიმე წევრიც კი „მოეხიბლა“. პოლიციაში გაისმოდა ტელეფონის ზარები ბეკინჰემის საგრაფოს ყოველი კუთხიდან.

ყველა ცნობა მოწმდებოდა, მაგრამ ამას სწრაფად ვერ ახერხებდნენ, რადგან იმდენი რამ იყო დასაზუსტებელი, რომ პოლიციას ხალხი არ ჰყოფნიდა. გამოკითხეს უძრავი ქონებით მოვაჭრე ყველა აგენტი, რათა გაეგოთ უკანასკნელ თვეებში დადებული ყველა გარიგება. ლეზერსლიდის ფერმას ცნობისმოყვარე სოფლის მეურნეობის მუშა რომ არ გადაჰყოფდა, პოლიცია მის შესახებ ცნობებს უძრავი ქონებით მოვაჭრე აგენტისაგან რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყობდა.

მიიღეს ორი მეტისმეტად საინტერესო ცნობა: უეიტბიმ თქვა, რომ მან თითქოსდა შენიშნა თუ ბრიდგო ბრიჯის მახლობლად როგორ ტვირთავდნენ ათტონიან სამხედრო სატვირთო მანქანას; სხვა კაცი ირწმუნებოდა, რომ დაინახა „ლენდროვერი“ და ერთი პატარა სატვირთო ძარცვის ადგილის მახლობლად.

ლონდონში პოლიციის მუშაკები მიდიოდნენ კლუბებში, დუქანებში, კაფეებში და სხვა ადგილებში, სადაც თავს იყრიდნენ ქურდული სამყაროს წარმომადგენლები, უსმინდნენ მათ საუბრებს. ჩვეულებრივ, ინფორმაციას აგროვებდნენ სიტყვაუხევი პირებისაგან, მაგრამ ამჯერად ისინიც ცუმილს ამჯობინებდნენ. თუმცა პოლიციამ ამ დანაშაულის „ხელწერაში“ შეამჩნია ლონდონის აეროპორტში მომხდარ ძარცვისთან მსგავსება და შეუღდა იმ ადამიანების ძებნას, რომლებზეც მაშინ ეჭვი მიიტანეს. თუ ეჭვმიტანილებს არ ექნებოდათ უცილობელი ალიბები, მათ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაიბარებდნენ პოლიციაში და აუცილებლად დააპატიმრებდნენ. სწორედ ეს კარგად იცოდა ჰუდმა და ამიტომაც იყო, რომ იზრუნა „რკინისებური“ ალიბისათვის. სამწუხაროდ, მატარებელზე თავდასხმის ერთი დღით გადავადებამ მთლიანად დაარღვია მისი ბრწყინვალე ჩანაფიქრი.

კვირის დამლევისათვის გამოძიება წინ არ წააწულა. პოლიცია აპირებდა შევეუღმფრენების გამოყენებას, რათა მძარცველები შეეშინებინათ და აეტყუებინათ ისინი გადაადგილებულიყვნენ. ამ გზით შეძლებდნენ მათი შესაძლო საიდუმლო თავშესაფრების მიგნებას, მაგრამ მთავრობის პასუხისმგებლებმა ორგანობმა პოლიციას ასეთი ოპერაციის ჩატარების უფლება არ მისცეს.

ორშაბათს დილით სოფლის მეურნეობის მუშამ ჯონ მერისმა წაიკითხა თუ არა გაზეთი, უცებ გაიფიქრა, რომ ლეზერსლიდის ფერ-



მის ახალი მკვიდრნი მეტად უცნაურად იქცეოდნენ. როცა ფერმის მახლობლად მუშაობდა, ყურადღება მიაქცია, რომ ისინი განცალკევებულნი იყვნენ და არც ერთხელ არ შეხუბან ახლომდებარე მაღაზიებში ან დუქნებში. მაშინ მან გადაწყვიტა ტრაქტორით ვიზიტი გაეკეთებინა მათთვის. ფერმის ეზოში შევიდა და ტრაქტორით გარს შემოაშრა სახლს, საიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფანჯრებზე ჩამოფარებული იყო მწვანე, წითელი და ხაკისფერი საბნები, რომლებსაც გარეთ გახედვისთვის კუთხეებში სამკუთხა ნახვრეტები ჰქონდათ ამოჭრილი. სამზარეულოს კარებთან თოკის გორგალი ედგა. ყვითელი საღებავით უხეშად შეღებილი კაპოტიანი სატვირთო ფარდულში იდგა, რომლის კარებზეც სრულიად ახალი ბოქლომი ეკიდა. ჯონ მერისმა დაუყოვნებლივ დარეკა პოლიციაში და აცნობა მისი ახალი აღმოჩენა. პოლიციელების მოლოდინში მთელი დღე უთვალთვალებდა ფერმას, მაგრამ არავინ გამოჩენილა.

მეორე დღეს დილით გაზეთებიდან შეიტყო, რომ ხელისუფლებამ მიიღო უამრავი ცრუ ცნობები. მაშინ მერისი თვითონ წავიდა პოლიციაში და დაუინებით მოითხოვა, რომ ვინმე სასწრაფოდ წასულიყო ლეზერსლეიდის ფერმაში, აქაოდა ლაპარაკია მეტად სერიოზულ საქმეზე.

### საფოსტო ჩანთა

იმავე დილით დაახლოებით 11 სათზე ფერმაში მოვიდნენ ბრიგადირი რონ ბლექმანი და კონსტებლი (დაბალი ჩინის პოლიციელი. მთარგ.) ვულეი. კარები დაკეტილი იყო. ვულეი ფანჯრიდან გადავიდა და თავის კოლგას შიგნიდან გაუღო იგი. მათ გარშემო როგორც მიტოვებულ ბანაკში, სხვადასხვა ნივთები ეყარა: გაჭურბა, დიდი და პატარა ჩაიდანის, სასადილო ჰურჩული თევზმეტ კაცზე, ათი ყავადანი, კონსერვის დანები, ტაფები, სანთლები... ისინი კვლავ განაგრძობდნენ ძიებას. ვულეიმ სარდაფში ჩასასვლელი მოძებნა და შიგ ჩავიდა. ორი წუთის შემდეგ ამოვიდა და ჩანთას აქნევდა, რომელზეც ნიშანი „პოსტ ოფისი“ (საფოსტო სამსახური) იყო. მათ კიდევ რამდენიმე ცარიელი საფოსტო ჩანთა იპოვეს. დაიხ, მძარცველები იყვნენ ფერმაში და მიიმაღნენ მოპარულ ფულთან ერთად.

ოთხშაბათს, 13 აგვისტოს ჰეტერელი და სკოტლანდ-იარდის სხვა მალალი რანგის პირები ეილსბერგში იყვნენ. შეიტყვეს თუ არა ახალი ამბავი, შეუერთდნენ სამ პირს — მაკარტურს, პრიჩარდს და ფიუტერელს, რომლებსაც ამ საქმის გამოძიება ჰქონდათ დავალე-

ბული და მათთან ერთად გაემართნენ ლეზერსლეიდის ფერმისაკენ. ისინი ყურადღებით ათვალეობდნენ ოთახებს, ხოლო ხელები ჯიბეებში ღრმად ჰქონდათ ჩაყოფილი, რომ არავითარ შემთხვევაში რაიმეს არ მიჰკარებოდნენ. ერთადერთი ნივთი, რაც ხელიდან ხელში გადადიოდა ორი ჩანთა იყო, რომლებიც გატენილი იყო ქალაქის ლენტეხით, რითაც ბანკის მუშაეები და ფოსტის მოსამსახურენი ბეჭდავენ ხოლმე ბანკოტების დასტებს.

სახლში სამზარეულოს მაგიდისა და ორი სკამის გარდა არაფერი ავეჯი არ იყო. ერთადერთ გარეგნულ კომფორტს გადაბრუნებული ყუთები, საძილე ტომრები და საბნები წარმოადგენდა. მთელს ოთახში მიმოხეული ფერფლი და ნამწვავები მეტყველებდა, რომ აქ ბეჭის ეწეოდნენ. ლუდის რამდენიმე გატეხილი ბოთლი სამზარეულოს კედელთან ეყარა. ეს ყველაფერი უეჭველი ნიშანი იყო იმისა, რომ მძარცველები ნერვიულობის განმუხტვას ცდილობდნენ.

სახლის გვერდით, ფარდულში ორმაგბარანი სატვირთო იდგა, ხოლო სრულიად ახალი ბოქლომით დაკეტილ გარაჟში ერთნაირნომრებიანი ორი „ლენდროვერი“ გაეჩერებინათ. ბაღში იპოვეს კოკონის ნარჩენები, რომელშიც კაბუჭონის დანახშირებული ნაკუწები ეყარა; იქვე ნახევრადამარხული საფოსტო ჩანთებით სავსე ორმოს მიაგნეს.


### ტუალეტის ქალაქის 84 რულონი

ლეზერსლეიდის ფერმის სრული აღწერის სიაში შეიტანეს: 628 გირვანქა სტერლინგის, რაც წინადავლის განაწილების ციებცხელებისას დარჩენილია. საფოსტო ჩანთა, წინააღმდეგის გაზეთები, კარტოფლისა და ხახვის პაკეტები, ვაშლისა და ფორთხლის ყუთები, ორასიოდე კვერცხი, ლუდით სავსე, ნახევრად სავსე და ცარიელი ქილები, კონსერვები, ჩაი, შაქარი, ტუალეტის ქალაქის ოცდათოთხმეტი რულონი.

პოლიციამ დაასკვნა, რომ ბოროტმოქმედები ფერმაში აშკარად კარგა ხანს აპირებდნენ დარჩენას, მაგრამ უქანასქნელ მომენტში, როგორც ჩანს, ისინი რაღაცამ შეაშფოთა და გადაწყვიტეს სწრაფად გაქცეულყვენ.

### მითების ანაზავები

მეორე დღეს სკოტლანდ-იარდმა ფერმაში დამატებით სასწრაფოდ გაავაზნა სპეციალისტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: მთავარი კომისარი ტომი ბატლერი, მთავარი ინსპექტორი პიტერ ვაიბარტი, კიდევ ერთი ინსპექტორი, ორი ბრიგადირი და კონსტებლები. მათთან ერ-



თად იყვნენ ოფიციალური ფოტოგრაფები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური სამსახურის თანამშრომლები კომისარ მორის რეემის მეთაურობით. მათ საკმაოდ კარგად იცოდნენ განგსტერების ჩვევები და ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მათ აუცილებლად გადაავიწყდებოდათ ხელთათმანების ჩმარება და ამდენად, თითების ანაბეჭდებს დატოვებდნენ სახლში ან მის გარეთ. ახლა ისლა რჩებოდა, რომ მიეკვლიათ ამ კვლისათვის. სამუშაოს ძირითადი ნაწილი სრულდებოდა ჩვეულებრივი მეთოდებით. კვირის დამლევს მორის რეი და მისი თანამშრომლები ლონდონში დაბრუნდნენ, რათა გაემუქვინებინათ თითების ანაბეჭდების მრავალი სურათი და მოეხდინათ მათი იდენტიფიცირება ცნობილი დამნაშავეების თითების ანაბეჭდებთან შედარებით. საგამოძიებო მუშაობის მეორე მიმართულება იყო ანაბეჭდების ინსტერპრეტირება ე. ი. იმის ცდა, რომ აღედგინათ იმ განგსტერების ყესტები და მოქმედებები, რომლებმაც დატოვეს ეს კვალი. ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები დღემდე დამაჯერებელია.

ავტომობილების იდენტიფიცირება სწრაფად მოახდინეს, მაგრამ ამან ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წასწია წინ გამოძიება.

პოლიციის ცენტრალური ლაბორატორიის ექსპერტმა დოქტორმა პოლდენმა ლეზერსლეიდის ფერმა სკრუპულოზურად გამოიკვლია და ყველაფერი შეკრიბა, რაც მისი აზრით, საინტერესო იყო. კაბიუშონის ნახევრადდამწვარ ნაკუწებში თმის ღერი აღმოაჩინა; მან ვატერკლოზეტშიც ასევე თმებს ნივანო, ფარდულში გაჩერებული სატვირთოს მახლობლად პოლდენმა ყვეთილი საღებავიანი თეთრი თუნუქის ქილა შენიშნა, რომელიც სატვირთოს ბორბალს გაეჭყლიტა. თავდაპირველად ამაში არაჩვეულებრივი ვერაფერი დაინახა: საღებავი უკვე შემშრალიყო და ქილიდან ფუნჯის ტარი მოჩანდა. მაგრამ ცოტა მოგვიანებით ერთ-ერთი „ლენდროვერის“ გადაბმის პედალზე მიაგნო ყვეთილი საღებავის გამხმარ კვალს, რომელიც ასტრით ჩამოფხიკა. მან აგრეთვე დაადგინა, რომ ფარდულის იატაკზე გასრესილი ქილიდან გადმოღვრილ საღებავზე მწოა და ხრეში მიუყრიათ, რათა კვალი არ დარჩენოდათ.

**პირველი დაპატიმრებაანი**

ლონდონში დანაშაულებრივი წრეების „გაცხრილვა“ დაიწყო. შემოწმდა სარეგისტრაციო წიგნები იმ ბიუროში, სადაც იღებოდა სანაძლეოები. ამ გზით შეიძლებოდა იმის გაგება თუ დოღში ყველაზე მეტი თანხა ვინ ჩავიდა. დოღი ხომ კარგი ხერხი იყო. მოპარული ფუ-

ლის გადაცვლისათვის, თანაც ყოველგვარი ეჭვის გამოწვევის გარეშე. ალყაში მოაქციეს ასობით ბინა, სახლი და მალაზია.

თავდამსხმელებმა შეიტყვეს თუ არა, რომ პოლიციამ მიაგნო ლეზერსლეიდის ფერმას, თითოეულმა თავს უშველა საკუთარი შიშისა და რისკის ფასად. მათ კვლავ მიაჩნდათ, რომ სახლში ყველა კვალი განადგურებული იყო და მაკომპრომეტირებული ნივთები, შესაძლოა, მხოლოდ გარეთ დარჩენოდათ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა განგსტერმა სიფრთხილისათვის მიმაღლა ამჯობინა. სხვებმა კი, ვინც ვერ შეიგნო საფრთხე, გააგრძელეს ცხოვრებას ჩვეულებრივი წესი, თითქოსდა არაფერი მომხდარა.

რენოლდსმა, უაიტმა და ედვარდსმა გარეგნობა შეიცვალეს. ჰუდი და ვილსონი გრძობდნენ, რომ ადრე თუ გვიან საქმე ექნებოდათ პოლიციასთან და გარეთ ფეხს არ აღჭამდნენ. მართალი, უცილობელი ალიბები ვერ გაინაღდეს, მაგრამ მაინც არწმუნებდნენ საკუთარ თავს, რომ არ დაუტოვებიათ თითების ანაბეჭდები და ამიტომ მათდამი ბრალდების წყაყენება ძალიან გაჭირდებოდა.

4 ავეისტოს ბარნემუტში განხორციელდა პირველი დაპატიმრებანი. ერთმა ბანდიტმა შიშისაგან თავი დაკარგა და ფულის ფლანგვა დაიწყო, რითაც ყურადღება მიიქცია. მისი დაპატიმრება უკვე დროის საკითხი იყო.

პოლიციელის 67 წლის ქვრივმა ემილია კლარკმა ერთ-ერთი მალაზიის ვიტრინაში გარაჟის არენდით გაცემის თაობაზე განცხადება გამოაკრა. ძველი ნაცნობის ჯერალდ ბოლიციის რეკომენდაციით მასთან მივიდა 50 წლის ტანდაბალი, მწითური როჯერ კორდრი და შესთავაზა სამი თვის თანხის წინასწარ გადახდა. მადამ კლარკის თვალწინ მან ამოიღო ფულის სქელი დასტა და გადაუთვალა ავანსი. ქალმა ყოველივე ეს საეჭვოდ მიიჩნია, მითუმეტეს, რომ ეს პიროვნება საკმაოდ კარგად არ იყო რეკომენდირებული და ადგილობრივი პოლიციაში გაამხილა. იმ მომენტში, როცა კორდრი და ბოლიცი გაარაჟში „ოსტინს“ აჩერებდნენ, რომელიც ის-ის იყო შეიძინეს 210 გირვანქა სტერლინგად, გამოჩნდნენ ბარნემუტის საგამოძიებო პოლიციის აგენტები სტენლი დევსი და ჩარლზ კაიზი. დაინახეს თუ არა ისინი, ეჭვიც არ შეპარვიათ, რომ პოლიციელები იყვნენ და კორდრი და ბოლიცი გაიქცნენ. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ორმა აგენტმა კორდრი შეაჩერეს. როცა კითხვების მიცემა დაიწყო კორდრიმ გაითამაშა აღფრთოვებული კაცის როლი და დაიყვირა: „მიშველეთ! პოლიცია! დამიდევით მოწმედ!“ იგი დიდხანს უწევდა მათ წინააღმდეგობას და გაჩხრეკვის საშუა-



ლებას არ იძლეოდა. ბოლოს და ბოლოს დააშოშინეს და საპოლიციო მანქანაში ჩასვეს. ბოლო იმ სახლში შევარდა, სადაც ღია კარი დახვდა. ჩიხში მოქცეული ყვიროდა, რომ იგი პატივსაცემი საქმიანი კაცია და როგორც კორდრი, ისიც გაჩხრეკის საშუალებას არ იძლეოდა. ისიც მოათვინიერეს და პოლიციაში წაიყვანეს დასაკითხად. კორდრის 160 გირვანქა სტერლინგი აღმოაჩნდა, ბოლოს — 118. მათმა ასეთმა წინააღმდეგობამ, თითქმის პარანოიკულმა ქცევამ, ერთობ დაამტერესა პოლიციელები. გადაწყვიტეს მადამ კლარკის მიერ იჯარით გაცემულ გარაჟში გაჩერებული მანქანის დათვალიერება. საბარგულში საკვოიანი იპოვეს, რომელშიც 5600 გირვანქა სტერლინგი იყო, აგრეთვე დაკმუქნული ქაღალდებით და ფულის დასტების შემოსახვევი ლენტით სავსე ბალოის პირი. კორდრიმ და ბოლომა აღიარეს, რომ ეს ფული გამარცხვული საფოსტო მატარებლიდან იყო. კორდრიმ აგრეთვე თქვა, რომ მას აქვს მეორე ავტომობილი — „როვერი“, რომელიც გაჩერებულია ენდსბერის ქუჩაზე მდებარე გარაჟში. მანვე მისცა მისამართი იმ ბინისა, რომელიც ბოლოთან ერთად ექირავა უიატკორნ როუდზე. „როვერი“ ეწყო ფულის ეუბურებით გაქედილი ექვის ჩემოდანი. ბინაში იპოვეს ასევე ბანკოტებით სავსე პორტფელი.

მაკარტუმი, პრიჩარდი და ფიუტრელი ჩავიდნენ ბარნემუტში რათა წაეყვანათ ორი დაპატიმრებული და თან წაეღოთ ფული (140217 გირვანქა სტერლინგი), შემდეგ კი დაბრუნდნენ ეილსბერში.

**მან ივიდა „როვერი“ და გადაიხდა ნაღდი ფული**

კორდრი მოჰყვა თავის ისტორიას. ძარცვის მეორე დღეს ველოსიპედით მივიდა საოჯახო პანსიონატში, სადაც რამდენიმე დღის წინ ექირავა ოთახი. დარწმუნებული, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, ველოსიპედით გაემგზავრა სოფელ ბლექ ბარტონში. აქ შეიძინა „როვერი“, რომლის გაყიდვის თოხბაზეც დიდი განცხადება წააკითხა ადგილობრივ გაზეთში. მანქანისათვის ნაღდი ფული გადაიხდა და ბოლოთან ერთად ამავე მანქანით პანსიონატში დაბრუნდა. მანქანიდან ორი დიდი ჩემოდანი გადმოიღეს. მეორე დღეს მანქანით გაემგზავრნენ ბარნემუტში, სადაც განცხადებით იუწყებოდნენ, რომ იჯარით ქირავდებოდა ოთახი ყვავილების მალაზიის თავზე. მათ ეს ოთახი დაქირავეს ერთი თვით ადრე და კვირაში იხდიდნენ 14 გინეას. კორდრი ამუშავებდა გეგმას, რომლის თანახმადაც, ყოველგვარი ექვის გა-

მოწვევის გარეშე, ფული უნდა გადაეტანათ ოქსფორდიდან ბარნემუტში. ბოლო დაბრუნდა ლონდონში, წამოიყვანა ცოლი და ოთხი შვილი და მატარებლით ოქსფორდში ჩავიდნენ. აქ იგი შეხვდა კორდრის, რომელიც მანქანით პირდაპირ ბარნემუტიდან ჩამოვიდა. კვირა დილით კორდრიმ და ბოლომა ოჯახებითურთ ჩემოდნებით დატვირთეს ავტომობილი, აქაოდა შეგებულებაში მივემგზავრებითო და ბარნემუტისაკენ გასწიეს. ამ სახის მოგზაურობით, დარწმუნებული იყვნენ, რომ პოლიციის ყურადღებას არ მიიქცევდნენ.

მაღე ბოლოს ოჯახი მატარებლით ბარნემუტიდან ლონდონში დაბრუნდა. შემდეგ კორდრიმ შეიძინა სხვა ავტომობილი, რათა მასში დაემალა ფულის ნაწილი ვიდრე მას მადამ კლარკის გარაჟში ჩაექტავდა.

კორდრისა და ბოლოს დაპატიმრების შემდეგ პოლიციის მობილური ბრიგადის თანამშრომლები ორჯერ იყვნენ ლონდონის სამხრეთ ნაწილში. უწინარესად, ესტუმრნენ ბოლოს მეუღლეს. ღამის სამი საათი იყო, როცა პოლიციელები დაინახა, მადამ ბოლოს არ უცუდია კითხვებისათვის თავის არიდება. პოლიციელებს უთხრა, რომ თუ ფულისთვის მოხვედითო, გაგიოლებთ საქმეს და ბინა გაჩხრიკეთო. და მან გადმოალაგა 330 გირვანქა სტერლინგი, რაც ქმარმა მისცა კვირის დამლევს. აქედან პოლიციელები გაემართნენ მალეზის ქუჩისაკენ ალბერტ და ფლორენს პილგრაიმებთან, რომლებიც საკუთარი ყვავილების მალაზიის თავზე ცხოვრობდნენ. გაჩხრეკის მუქარის შემდეგ მადამ პილგრაიმ თვითონ ამოალაგა 860 გირვანქა სტერლინგი...

პარასკევს, 16 აგვისტოს ეს სხუთი ადამიანი ლენდსლეიდის სასამართლოს წინაშე წარსდგა.

**ზღაპრული ველი**

ამასობაში ამ საქმემ ახალი განვითარება პოვა. ეს მოხდა დორკინგის მახლობლად რედლენდის ტყეში. იმ დილით ერთ-ერთი ქარხნის მოსამსახურეები ჯონ ახერნი და ნინა პარგრევესი მოტოციკლით სამუშაოსაკენ მიეშურებოდნენ. ჩვეულებრივ ისინი ავტომობილით დადიოდნენ, მაგრამ ამჯერად რემონტში იყო და ამიტომ ახერნიმა გარაკიდან თავისი ძველი მოტოციკლი გამოიყვანა. 8 საათი და 30 წუთი იყო, როცა ტყის გავლით კოლდპერბურისაკენ მიემგზავრებოდნენ. ახერნიმა იგრძნო, რომ ძრავა გადახურდა და მოტოციკლი გააჩერა გზის პირზე, რათა დალოდებოდნენ ძრავის გაცივებას. როცა ირგვლივ მიმოიხედა, ახერნიმა ველის შუაგულში ყვისფერი პორტფელი, პლასტმასის სამგზავრო

ტომარა და აქლემის ტყავის საკვოიაჟი შენიშნა. დაინტერესდნენ ამ ნივთებით და ერთერთმა მათგანმა გახსნა საკვოიაჟი, რომელშიც ფულის ბანკური წესით დაბეჭდილი დასტები ეწყო. ახერხმა გააჩერა მიმავალი მანქანა და პოლიციას შეატყობინა. პოლიციაც მალე ადგილზე იყო. ინსპექტორმა ბეზილ უესტმა დაქტილოსკოპიის სამსახურს სთხოვა შეემოწმებინათ ნაპოვნი ნივთები. ამავე დროს სამსახურის ძალები ეძებდნენ კიდევ ერთ ბანკოტებით სავსე ჩემოდანს. ნაპოვნი ფულის საერთო თანხამ 100 900 გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

დაქტილოსკოპიის სამსახურის გამომძიებელმა აილინგმა თითის ანაბეჭდები აიღო პორტფელიდან, ხოლო საკვოიაჟში იპოვნა დასავლეთ გერმანიის სამხრეთში ქალაქ პინდელანდის სასტუმროს ანგარიში.

### გასაიდუმლოებული ავტომობილი

ანგარიში დათარიღებულია 1963 წლის თებერვლით და გამოწერილია ბატონ და ქალბატონ ფილდების სახელზე. 48 საათის შემდეგ ინტერპოლის შუამავლობის წყალობით დასავლეთ გერმანიის პოლიციამ აცნობა ყველა სასარგებლო და ზუსტი ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ გაატარეს შვებულება ბრაიან ფილდმა და მისმა მეორე ცოლმა კარინმა. ბრაიან ფილდის სახელი უკვე იყო დაკავშირებული ლეზერსლეიდის ფერმასთან, რამდენადაც პოლიციამ იცოდა, რომ იგი მონაწილეობდა შესყიდვის გარიგებაში. მაგრამ ვინაიდან ფილდი აქამდე პატიმრობაში არ იყო ნამყოფი საჭირო იყო ცოტა მოეცადათ, შეეგროვებინათ დამატებითი ცნობები და შემდეგ ემოქმედათ.

მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდეს დახმარება აღმოეჩინათ გამოძიებისათვის. ზოგიერთი დამნაშავე, ცხადია, პანიკამ მოიცვა და ცდილობდნენ ფულის თავიდან მოშორებას, თუნდაც ცის ქვეშ გადაეყარათ ან ორმოში ჩა-

ეფლოთ. მოყვარული — დეტექტივები გულმოდგინედ ცხრილავდნენ ბეკინჰემის საგრაფოს, ხოლო მძებრები სხვა ადგილებიდან იტყობინებოდნენ ნებისმიერი საექვო მოქმედების თაობაზე.

კემპინგ „ბოკს ჰილში“ ავტომობილების შემოწმებისას ერთმა პოლიციელმა ყურადღება მიაქცია ავტოფურგონს, რომელსაც ტიხარი ორ ოთახად ჰყოფდა და მითი ფერები განსხვავდებოდა მანქანის შიგა ფერებისაგან. ჩანდა, რომ ტიხარზე ახლახანს შეეცვალათ ფიბრა. როცა ტიხარს ფიბრა ჩამოხსნეს, იქ აღმოაჩინეს ხუთგირვანქა სტერლინგის ბანკოტების 22 დასტა (თითოეულ დასტაში იყო 1400-1600 გირვანქა სტერლინგი).

ქალაქ ჰეიესიდან (მიდლსექსის საგრაფო) მიიდა ცნობა საექვო სპორტულ შავ „ოსტინზე“. ეს მანქანა ოჯახურმა წყვილმა ნაღდ ფულზე შეიძინა „ჩიკერიდ ფლეგ გერეჯის“ ფირმისაგან მატარებლის გაძარცვის მეორე დღეს. მოწმეების აღწერით მიუღწეველი იყო 35 წლის ელევანტურად ჩაცმული სათვალისანი მამაკაცი; ცოლი — მიმქნარი სახის მოსული ქალი იყო, საკმაოდ უგემოვნოდ ეცვა და ლაპარაკობდა ძლიერი პროვინციული აქცენტით. 18 აგვისტოს „ოსტინი“ იპოვეს ფირმა „ჩიკერიდ ფლეგ გერეჯის“ პატრონის სახლის წინ. „ოსტინის“ მფლობელი მოვიდა გარაჟში და იკითხა, შეიძლებოდა თუ არა მანქანის გაჩერება რამდენიმე დღით, რადგან იგი სასწრაფოდ უნდა გაფრენილიყო საზღვარგარეთ. ამასთან, ითხოვა, რომ დაბრუნებისას იგი დაჩეკავდა და მანქანა მიეყვანათ მისთვის აეროპორტში. გარაჟის თანამშრომლებმა მალე ფილის ევანსმა გარაჟში თავისუფალი ადგილი ვერ ნახა და იგი გააჩერა ფირმის მეპატრონის სახლის წინ. შემოვლაზე მყოფმა პოლიციელმა შენიშნა ძეხნილი ნომერი. დაადგინეს ავტომობილის მყიდველი მეუღლეების ვინაობა. ესენი იყვნენ ბრიუს რეინოლდსი და 42 წლის მაღამ მერი მენსონი, რომელიც მისი ბანდის წევრი იყო. ავტომობილი რეგისტრირებული იყო მის სახელზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## **გკითხველთა საყურადღებოდ!**

1989 წლის მაისიდან შურნალი „საბჭოთა სამართალი“ გამოდის უკველთვიურად, ამიტომ მიმდინარე წელს გკითხველები მიიღებენ მის 10 ნომერს. ამ სიახლესთან დაკავშირებით საჭირო გახდა ხელმძღვანელობა, ვისაც იგი 1989 წლისათვის აქვს გამოწერილი, დამატებით გადაიხადონ ოთხი ნომრის ღირებულება.

შურნალის ერთი ნომერი ღირს 60 კპკ. ოთხი ნომრის გადასახდელი თანხა შეადგენს 2 მან. 40 კპკ. ხელმძღვანელობა ეს თანხა დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოს „სოიუზკაჩატის“ ბანკოვლივებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან შურნალის მიღება შეზღუდვებულად.

---

**«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»). № 5, 1989 (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР Верховного Суда ГССР.**

---

**Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.**

---

**Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.**

13/118



ფასი 60 კპპ

ინდექსი 76195

